

►B

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია

(EC) No 810/2009

გაერთიანების საავიზო კოდექსის შემოღების შესახებ

(სავიზო კოდექსი)

(OJ L 243, 15.9.2009, p.1)

შევიდა ცვლილებები შემდეგი რეგულაციებით:

		ოფიციალური ჟურნალი	
		No	გვერდი თარიღი
►M1	კომისიის რეგულაცია (ევროკავშირი) №977/2011, 3 ოქტომბერი, 2011 წ.	L 258	9 4.10.2011
►M2	ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია (ევროკავშირი) №154/2012, 15 თებერვალი, 2012 წ.	L 58	3 29.2.2012
►M3	ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია (ევროკავშირი) №610/2013, 26 ივნისი, 2013 წ.	L 182	1 29.6.2013

▼B

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია

(EC) No 810/2009

გაერთიანების საავიზო კოდექსის შემოღების შესახებ

(სავიზო კოდექსი)

ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, კერძოდ მის 62-ე მუხლის (2)(ა) და (ბ)(ii) პუნქტებს
ითვალისწინებენ რა კომისიის წინადადებას,
მოქმედებენ რა ხელშეკრულების 251-ე მუხელში მოცემული პროცედურების ⁽¹⁾ შესაბამისად,
ვინაიდან:

- (1) ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 61-ე მუხლის შესაბამისად, ისეთი სივრცის შექმნას, სადაც ადამიანებს შეეძლებათ თავისუფლად გადაადგილება, თან უნდა ახლდეს გარე საზღვრების კონტროლის, თავშესაფრის და იმიგრაციის შესახებ ზომების მიღება.
- (2) ხელშეკრულების 62(2)-ე მუხლის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთის შესახებ სამართლებრივი აქტები უნდა ადგენდეს წესებს ვიზის გაცემის შესახებ

არაუმეტეს სამი თვის დარჩენის უფლებით, ასევე - წვერი სახელმწიფოების მიერ ვიზების გაცემის წესსა და პროცედურებს.

- (3) რაც შეეხება სავიზო პოლიტიკას, კანონმდებლობის 'საერთო კორპუსის' შემოღება, განსაკუთრებით, *შენგენის კანონმდებლობის* (1985 წლის ⁽²⁾) 14 ივლისის შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის შესაბამისი დებულებები და *საერთო საკონსულო ინსტრუქციები* ⁽³⁾ გაერთიანებისა და ჩამოყალიბების გზით, ერთ-ერთი ძირეული კომპონენტია „შემდგომი საერთო სავიზო პოლიტიკის, როგორც მრავალდონიანი სისტემის ნაწილის, შემუშავების თვალსაზრისით, რომლის მიზანია ლეგიტიმური გადაადგილების ხელშეწყობა და არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლა, ეროვნული კანონმდებლობისა და ადგილობრივ საკონსულოებში პრაქტიკის შემდგომი ჰარმონიზაციის გზით“, როგორც ეს განსაზღვრულია ჰააგის პროგრამაში: თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის განმტკიცება ევროპის კავშირში ⁽⁴⁾.
- (4) ვიზების გაცემის მიზნით, წვერი სახელმწიფოები უნდა იმყოფებოდნენ, ან წარმოდგენილნი უნდა იყვნენ ყველა მესამე ქვეყანაში, რომელთა მოქალაქეებზეც ვრცელდება სავიზო მოთხოვნები. წვერი სახელმწიფოები, რომელთაც არ აქვთ საკონსულოები რომელიმე მესამე ქვეყანაში, ან მოცემული მესამე ქვეყნის რომელიმე ნაწილში, წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებების დადებისაკენ უნდა მიისწრაფვოდნენ, რათა თავიდან აიცილონ ვიზაზე განმცხადებლების არაპროპორციული ძალისხმევა საკონსულოებზე წვდომის მიზნით.
- (5) არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის მიზნით, აუცილებელია განისაზღვროს აეროპორტების საერთაშორისო ზონებში გადაადგილების წესები. ამრიგად, მესამე ქვეყნების ერთიან სიაში შეტანილი მესამე ქვეყნის მოქალაქეებს აეროპორტის ტრანზიტული ვიზის ქონა მოეთხოვებათ. თუმცა, გადაუდებელ სიტუაციებში, უკანონო იმიგრანტების ნაკადის მოზღვაებისას, წვერ სახელმწიფოებს უფლება უნდა მიეცეთ, რომ ამგვარი მოთხოვნები შემოიღონ იმ მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ არიან ზემოაღნიშნულ ერთიან სიაში შეტანილი. წვერი ქვეყნების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ყოველწლიურად უნდა გადაიხედოს.
- (6) განმცხადებლების მიღების წესები ადამიანის ღირსების სათანადო პატივისცემით უნდა განხორციელდეს. სავიზო განაცხადების დამუშავება უნდა განხორციელდეს პროფესიონალურად, პატივისცემით და დასახული მიზნის პროპორციულად.
- (7) წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოებისათვის შეთავაზებული მომსახურების მაღალი ხარისხი და სათანადო ადმინისტრაციული პრაქტიკის დაცვა. მათ უნდა გაანაწილონ მომზადებული პერსონალის შესაბამისი რაოდენობა და ასევე საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ გაამარტივონ ვიზის მიღების პროცესი. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ “ერთი ფანჯრის” პრინციპის გამოყენება ყველა განმცხადებლის მიმართ.
- (8) გარკვეული პირობების შესრულებისას, გაიცემა მრავალჯერადი შესვლის ვიზები იმისათვის, რომ შემცირდეს დატვირთვა წვერ სახელმწიფოთა საკონსულოებზე და ასევე გაადვილდეს გადაადგილება ხშირი ან რეგულარული მოგზაურებისათვის. აპლიკანტებმა, რომლებიც საკონსულოსთვის პატიოსნებითა და საიმედოობით არიან ცნობილნი, შეძლებისდაგვარად გამარტივებული პროცედურებით უნდა ისარგებლონ.
- (9) სავიზო საინფორმაციო სისტემაში ბიომეტრიული იდენტიფიკატორების რეგისტრაციიდან გამომდინარე, რაც დაწესებულია სავიზო საინფორმაციო სისტემისა და წვერ სახელმწიფოთა შორის მოკლევადიანი ვიზების შესახებ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე (სავიზო საინფორმაციო სისტემის რეგულაცია) ⁽⁵⁾ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის (EC) # 767/2008 რეგულაციით, განმცხადებლის პირადად გამოცხადება – სულ მცირე, პირველი განაცხადის გაკეთებისას - ვიზის განაცხადის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა.
- (10) იმისათვის, რომ ყოველი შემდგომი განაცხადისას ვიზის მიღების პროცედურები გამარტივდეს, შესაძლებელი უნდა იყოს თითის ანაბეჭდების აღება სავიზო ინფორმაციის სისტემაში მათი

პირველად შეტანიდან 59 თვის განმავლობაში. ამ დროის გასვლის შემდგომ თითის ანაბეჭდები თავიდან უნდა იქნას აღებული.

- (11) ნებისმიერი დოკუმენტი, მონაცემი ან ბიომეტრიული იდენტიფიკატორი, რომელსაც წვერი სახელმწიფო სავიზო განაცხადის დამუშავების პროცესის მიმდინარეობისას იღებს, მიჩნეულ უნდა იქნას საკონსულდო დოკუმენტად, 1963 წლის 24 აპრილის საკონსულდო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად და განხილულ უნდა იქნას შესაბამისი წესით.
- (12) ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივა ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ამ მონაცემთა თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით ⁽⁶⁾ ვრცელდება წვერ სახელმწიფოებზე მათ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას აღნიშნული რეგულაციის თანახმად.
- (13) იმისათვის, რომ გამარტივდეს პროცედურები, თანამშრომლობის რამდენიმე ისეთი ფორმა უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორიცაა, შეზღუდული წარმომადგენლობა, საერთო მდებარეობა, განაცხადების საერთო ცენტრები, საპატიო კონსულებისადმი მიმართვა და მომსახურების გარე მომწოდებელთან თანამშრომლობა 95/46/EC დირექტივის გათვალისწინებით. წვერმა სახელმწიფოებმა არსებული რეგულაციის პირობების შესაბამისად უნდა განსაზღვრონ ორგანიზაციული სტრუქტურის ის ტიპი, რომელსაც ისინი თითოეულ მესამე ქვეყანაში გამოიყენებენ.
- (14) აუცილებელია რეგულაციის შემუშავება ისეთი სიტუაციისათვის, როდესაც წვერი სახელმწიფო სავიზო განაცხადების მისაღებად მომსახურების გარე მომწოდებელთან თანამშრომლობის გადაწყვეტილებას იღებს. ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებულ იქნას განსაკუთრებული გარემოებების ან ადგილობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ მიზეზთა გამო, თუ სხვა წვერ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა წარმომადგენლობების, შეზღუდული წარმომადგენლობის, საერთო მდებარეობის ან განაცხადების საერთო ცენტრის ფორმით მოცემული წვერი სახელმწიფოსათვის მიუღებელი აღმოჩნდება. თანამშრომლობის ასეთი პირობები ვიზების გაცემის ზოგადი პრინციპებისა და პირადი მონაცემების დაცვის შესახებ 95/46/EC დირექტივის შესაბამისად უნდა განისაზღვროს. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კანდიდატების მიერ ტერიტორიული დაქვემდებარების დარღვევა ვიზის აღების მიზნით და სხვა საკონსულოებისათვის/საელჩოებისათვის მიმართვის თავიდან აცილების აუცილებლობა.
- (15) როდესაც წვერი სახელმწიფო მომსახურების გარე მომწოდებელთან თანამშრომლობას გადაწყვეტს, მან უნდა შეუნარჩუნოს ყველა განმცხადებელს განაცხადის უშუალოდ მათ დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულოებში შეტანის შესაძლებლობა.
- (16) წვერმა სახელმწიფომ მომსახურების გარე მომწოდებელთან უნდა ითანამშრომლოს სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებშიც ზუსტად იქნება განსაზღვრული მისი მოვალეობები, პირდაპირი და სრული წვდომა მის შენობა-ნაგებობებზე, ინფორმაცია განმცხადებლებისათვის, კონფედენციალურობა და თანამშრომლობის შეჩერების ან შეწყვეტის გარემოებები, პირობები და პროცედურები.
- (17) წინამდებარე რეგულაცია, რომელიც წვერ სახელმწიფოებს აძლევს უფლებას, განაცხადების მიღებისათვის ისარგებლონ მომსახურების გარე მომწოდებლით და შემოიღონ “ერთი ფანჯრის” პრინციპი, ნაწილობრივ აუქმებს საერთო წესს, რომელიც ითვალისწინებს განმცხადებლის პირადად გამოცხადებას დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულდოში. ეს არ ზღუდავს განმცხადებლის გასაუბრებაზე მოწვევის შესაძლებლობას.
- (18) შენგენის ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო სავიზო პოლიტიკის ჰარმონიზებისა და მიგრაციის ან/და უსაფრთხოების რისკების სათანადო შეფასების თვალსაზრისით. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი გარემოებები განსხვავებულია, კონკრეტული საკანონმდებლო დებულებების პრაქტიკული გამოყენება უნდა შეფასდეს წვერ

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულოებში ინდივიდუალურად მათი მდებარეობის მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას საკანონმდებლო ნორმების პარამონიზებული გამოყენება და თავიდან იქნას აცილებული აპლიკანტების მიერ ტერიტორიული დაქვემდებარების დარღვევა ვიზის აღების მიზნით და სხვა საკონსულოებისათვის/საელჩოებისათვის მიმართვა და ვიზის განმცხადებლების მიმართ განსხვავებული მოპყრობის არსებობა.

- (19) სტატისტიკური მონაცემები მიგრაციული ნაკადების მონიტორინგის მნიშვნელოვანი საშუალებაა და შეიძლება მართვის ეფექტურ ინსტრუმენტად იქნას გამოყენებული. ამიტომ, ასეთი მონაცემები რეგულარულად, ერთიან ფორმატში უნდა იქნას შედგენილი.
- (20) წინამდებარე დირექტივის განსახორციელებლად საჭირო ზომები უნდა შეესაბამებოდეს 1999 წლის 28 ივნისის საბჭოს გადაწყვეტილებას 1999/468/EC, რომელიც კომისიაზე დაკისრებული უფლებების განხორციელების პროცედურებს აწესებს⁽⁷⁾.
- (21) სახელდობრ, კომისიას წინამდებარე დირექტივაში დანართის სახით შესწორებების შეტანის უფლება უნდა ჰქონდეს. ვინაიდან ეს რეგულაციები ზოგადი შინაარსისაა და განკუთვნილია წინამდებარე რეგულაციაში უმნიშვნელო ცვლილებების შესატანად, მათ შორის მისი ახალი, არაარსებითი ელემენტების შევსების გზით, ისინი მიღებულ უნდა იქნას არსებული ნორმატიული პროცედურების დაცვითა და კონტროლით, რომელიც გათვალისწინებულია 1999/468/EC გადაწყვეტილების 5 ა მუხლში.
- (22) წინამდებარე რეგულაციის პარამონიზებულად განხორციელების მიზნით, ინსტრუქციები უნდა შემუშავდეს იმ პრაქტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა სავიზო განაცხადების დამუშავებისას უნდა დაიცვან.
- (23) შენგენის წარმოჩენის გასაუმჯობესებლად და ერთიანი სავიზო პოლიტიკის გამოსახატად, ვიზის საერთო ინტერნეტ გვერდი უნდა შეიქმნას. ასეთი საიტი ფართო საზოგადოებას მიაწვდის ვიზის მიღებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციას.
- (24) წინამდებარე რეგულაციის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისათვის სათანადო ზომები უნდა იქნას მიღებული.
- (25) სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 15 მარტის (EC) No 562/2006 რეგულაცია, რომლითაც შემოღებულია ევროკავშირის საზღვრებზე ადამიანების გადაადგილების შესახებ კოდექსი (შენგენის საზღვრების კოდექსი)⁽⁸⁾ წინამდებარე რეგულაციის გათვალისწინებით უნდა შესწორდეს.
- (26) გაერთიანებასა და მესამე ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები, რომელიც მიმართულია სავიზო განაცხადების დამუშავების გამარტივებისაკენ, შესაძლოა წინამდებარე რეგულაციებიდან გადახვევას წარმოადგენდეს.
- (27) როდესაც წევრი სახელმწიფო მასპინძლობს ოლიმპიურ ან პარაოლიმპიურ თამაშებს, ოლიმპიური ოჯახის წევრებისათვის ვიზის გაცემისას გამოყენებულ უნდა იქნას კონკრეტული გამარტივებული სქემა.
- (28) ვინაიდან წინამდებარე რეგულაციის მიზანი - ტრანზიტული ვიზების გაცემის პროცედურებისა და პირობების დადგენა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ტრანზიტით გავლის, ან არაუმეტეს სამი თვით დარჩენის მიზნით ნებისმიერ ექვსთვიან პერიოდში - ვერ იქნება დამაკმაყოფილებლად მიღწეული წევრ სახელმწიფოთა მიერ და უკეთესი შედეგების მიღწევა შესაძლებელია ევროგაერთიანების დონეზე, გაერთიანებამ შესაძლოა მიიღოს ზომები აღნიშნული ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად. ამ მუხლით განსაზღვრული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, წინამდებარე რეგულაცია არ ითვალისწინებს დამატებით ღონისძიებებს, რომელიც არ არის საჭირო ამ მიზნის მისაღწევად.

- (29) წინამდებარე რეგულაცია პატივს სცემს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციითა და ევროკავშირის ძირითად ძირითად უფლებათა ქარტიით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და პრინციპებს.
- (30) წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე შესვლის და ვიზების გაცემის მარეგულირებელი პირობები სამგზავრო დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ამჟამად მოქმედ წესებზე გავლენას არ ახდენს.
- (31) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლის თანახმად, რომელიც თან ერთვის ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, დანია არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და განხორციელების ვალდებულება მასზე არ ვრცელდება. ვინაიდან წინამდებარე რეგულაცია ეყრდნობა შენგენის კანონმდებლობას, რომელიც ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების IV კარის მესამე ნაწილს შეესაბამება, დანია ვალდებულია, ოქმის მე-5 მუხლის თანახმად, წინამდებარე რეგულაციის მიღების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება, დანერგავს თუ არა რეგულაციის ნორმებს ეროვნულ კანონმდებლობაში.
- (32) რაც შეეხება ისლანდიას და ნორვეგიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის რეგულაციების განვითარებას იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც დადებულია ევროკავშირისა და ისლანდიის რესპუბლიკას, ასევე ნორვეგიის სამეფოს შორის და შეეხება ამ ორი სახელმწიფოს ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის ⁽⁹⁾ განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემდგომ შემუშავებასთან, რაც განეკუთვნება საბჭოს 1999/437/EC ⁽¹⁰⁾ გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის „ბ“ პუნქტში მითითებულ მოქმედების სფეროს ამ შეთანხმების განხორციელების მიზნით გარკვეული ზომების მიღების შესახებ.
- (33) მიღებულ უნდა იქნას იმგვარი ზომა, რომ ისლანდიისა და ნორვეგიის წარმომადგენლები დაკავშირებული იყვნენ იმ კომიტეტების მუშაობასთან, რომლებიც კომისიას თავისი უფლებების განხორციელებაში წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად უწევნ დახმარებას. ეს ზომა გათვალისწინებულია ევროკავშირის საბჭოს მიმოწერებში ისლანდიასა და ნორვეგიასთან იმ კომიტეტებთან დაკავშირებით, რომლებიც ევროკომისიას თავისი სააღსრულებო უფლებების განხორციელებაში ეხმარება ⁽¹¹⁾, რომელიც თან ერთვის ზემოაღნიშნულ შეთანხმებას. კომისიამ ევროკავშირის საბჭოს ამ ზომის შესახებ მოლაპარაკებების წარმოების მიზნით რეკომენდაციის პროექტი წარუდგინა.
- (34) რაც შეეხება შვეიცარიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების განვითარებას იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც გაფორმებულია ევროკავშირს, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის, რომელიც შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის ხელშეკრულების ⁽¹²⁾, განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემდგომ შემუშავებასთან, რაც განეკუთვნება საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების, 1-ელი მუხლის „ბ“ პუნქტში მითითებულ მოქმედების სფეროს და ზემოაღნიშნული შეთანხმების შესახებ საბჭოს 2008/146/EC ⁽¹³⁾, გადაწყვეტილებასთან, ერთად უნდა იკითხებოდეს.
- (35) რაც შეეხება ლიხტენშტეინს, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის რეგულაციების განვითარებას იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც დადებულია ევროკავშირს, ევროპის გაერთიანებას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინის საგრაფოს შორის ევროკავშირს, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციისა და ლიხტენშტეინის საგრაფოს შორის ლიხტენშტეინის საგრაფოს იმ ხელშეკრულების წევრად გახდომის შესახებ, რომელიც გაფორმებულია ევროკავშირს, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის და შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის დაკავშირებას შენგენის ხელშეკრულების განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემდგომ შემუშავებასთან, რაც განეკუთვნება საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების, 1-ელი მუხლის „ბ“ პუნქტში მითითებულ მოქმედების სფეროს და აღნიშნული ოქმის ხელმოწერის შესახებ საბჭოს 2008/261/EC გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან

ერთად უნდა იკითხებოდეს ⁽¹⁴⁾.

- (36) წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების გაგრძელებას, რომელშიც გაერთიანებული სამეფო არ იღებს მონაწილეობას საბჭოს 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების, 2000/365/EC, შესაბამისად, რომელიც შეეხება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის თხოვნას, რომ მონაწილეობა მიიღოს შენგენის ხელშეკრულების ⁽¹⁵⁾ ზოგიერთი რეგულაციის განხორციელებაში. ამდენად, გაერთიანებული სამეფო არ მონაწილეობს წინამდებარე რეგულაციის დამტკიცებაში და ამიტომ მისი განხორციელების ვალდებულება მასზე არ ვრცელდება.
- (37) წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების გაგრძელებას, რომელშიც ირლანდია არ იღებს მონაწილეობას საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის 2002/192/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც შეეხება ირლანდიის თხოვნას მონაწილეობა მიიღოს შენგენის ხელშეკრულების ⁽¹⁶⁾ ზოგიერთი რეგულაციის განხორციელებაში. ამდენად, ირლანდია არ მონაწილეობს წინამდებარე რეგულაციის დამტკიცებაში და მისი განხორციელების ვალდებულება მასზე არ ვრცელდება.
- (38) წინამდებარე რეგულაცია, მე-3 მუხლის გამოკლებით, შეადგენს შენგენის კანონმდებლობაზე დაფუძნებული დებულებებს ან 2003 წლის მიერთების აქტის მე-3(2) მუხლის განმარტებით და 2005 წლის მიერთების აქტის, მე- 4(2) მუხლის, სხვაგვარად უკავშირდება მას.

მიიღო წინამდებარე რეგულაცია:

კარი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ამოცანა და მოქმედების სფერო

▼M3

1. წინამდებარე რეგულაცია განსაზღვრავს ტრანზიტული ვიზების გაცემის პროცედურებსა და პირობებს წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ტრანზიტით გავლის, ან არაუმეტეს 90 დღით ღარჩენის მიზნით ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში.

▼B

2. წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული წესები ვრცელდება ყველა იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეზე, რომელთაც შენგენის ვიზა მოეთხოვებათ წვერი სახელმწიფოების საზღვრების გადაკვეთისათვის საბჭოს 2001 წლის 15 მარტის (EC) No 539/2001 რეგულაციის შესაბამისად, რომელიც შეიცავს ყველა იმ მესამე ქვეყნის სიას, რომელთა მოქალაქეებსაც საზღვრის გადაკვეთისას მოეთხოვებათ ვიზა და იმ ქვეყნების სიას, რომელთა მოქალაქეებიც გათავისუფლებული არიან ამ მოთხოვნისაგან ⁽¹⁷⁾, შემდეგი უფლებების შეუზღუდავად:

(ა) მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების უფლება, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრები არიან;

(ბ) თანაბარი უფლებები, რომლითაც მესამე ქვეყნების მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ, ერთი მხრივ, გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, აქვთ თავისუფალი გადაადგილების უფლება, რომელიც თანაბარია იმ უფლებების, რომლითაც კავშირის მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ.

3. წინამდებარე რეგულაცია ასევე შეიცავს იმ მესამე ქვეყნების სიას, რომელთა მოქალაქეებს ჩიკაგოს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენციის მე-9 დანართით გათვალისწინებული თავისუფალი სატრანზიტო პრინციპის გამონაკლისის სახით მოეთხოვებათ აეროპორტისთვის ტრანზიტული ვიზები და ადგენს წვერი სახელმწიფოების აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიის ფარგლებში ტრანზიტით გავლის მიზნით ვიზების გაცემის პროცედურებსა და პირობებს.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე რეგულაციაში გამოყენებულ განსაზღვრებებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

1. „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ხელშეკრულების მე-17(1) მუხლის თანახმად არ არის კავშირის მოქალაქე;

2. „ვიზა“ ნიშნავს წვერ სახელმწიფოთა მიერ გაცემულ ნებართვას:

▼M3

(ა) წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ტრანზიტით გავლისათვის ან არაუმეტეს 90 დღით ღარჩენის მიზნით ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში;

▼B

(ბ) ტრანზიტით გავლისათვის წვერ სახელმწიფოების აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიის ფარგლებში.

3. „ერთიანი ვიზა“ ნიშნავს წვერი სახელმწიფოების მთელ ტერიტორიაზე მოქმედ ვიზას;

4. „შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზა“ ნიშნავს, რომ ვიზა მოქმედებს ერთი ან მეტი, მაგრამ არა ყველა წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

5. „აეროპორტის ტრანზიტული ვიზა“ არის ვიზა, რომელიც მოქმედებს ტრანზიტით გავლისათვის ერთი ან მეტ წვერ სახელმწიფოთა აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიის ფარგლებში.

6. „ვიზის ბლანკი“ ნიშნავს ვიზების ერთიან ფორმატს, როგორც ეს განისაზღვრება საბჭოს 1995 წლის 29 მაისის რეგულაციით, (EC) # 1683/95, რომელშიც წარმოდგენილია ვიზების საერთო ფორმატი⁽¹⁸⁾;

7. „აღიარებული სამგზავრო დოკუმენტი“ ნიშნავს სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც ვიზების დატანის მიზნით აღიარა ერთმა ან რამდენიმე წვერმა სახელმწიფომ.

8. „ცალკე ფურცელი ვიზის დასატანად“ ნიშნავს ვიზების დასატანად განკუთვნილი ბლანკების ერთიან ფორმატს, რომელთაც წვერი სახელმწიფოები გასცემენ ისეთი სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირთათვის, რომელიც არ არის აღიარებული ბლანკის შემდგენელი წვერი სახელმწიფოს მიერ, რომელიც მას შეადგენს საბჭოს 2002 წლის 18 თებერვლის რეგულაციით, (EC) # 333/2002, განსაზღვრული ვიზის დასატანი ბლანკების ერთიანი ფორმატის მიხედვით, რომელთაც წვერი სახელმწიფოები გასცემენ ისეთი სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირთათვის, რომელიც არ არის აღიარებული ბლანკის შემდგენელი წვერი სახელმწიფოს მიერ⁽¹⁹⁾;

9. „საკონსულო“ ნიშნავს წვერი სახელმწიფოს დიპლომატიურ მისიას, ან წვერი სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებას, რომელიც უფლებამოსლია გასცეს ვიზები და რომელსაც ხელმძღვანელობს შტატიანი საკონსულო თანამდებობის პირი როგორც ამას განსაზღვრავს 1963 წლის 24 აპრილის საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენცია.

10. „განაცხადი“ ნიშნავს ვიზის მიღების თაობაზე განაცხადს.

11. „კომერციული შუამავალი“ ნიშნავს კერძო ადმინისტრაციულ სააგენტოს, სატრანსპორტო კომპანიას, ან ტურისტულ სააგენტოს (ტუროპერატორი ან საცალო მოვაჭრე)

კარი II

აეროპორტის ტრანზიტული ვიზა

მუხლი 3

მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც აეროპორტის ტრანზიტული ვიზის ქონა მოეთხოვებათ

1. IV დანართში ჩამოთვლილი მესამე ქვეყნების მოქალაქეები ვალდებული არიან, იქონიონ აეროპორტის ტრანზიტული ვიზა, როდესაც ისინი ტრანზიტით კვეთენ წვერი სახელმწიფოების ტერიტორიებზე განთავსებული აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიას.

2. არალეგალური ემიგრანტების მასიური შემოდინების გადაუდებელ შემთხვევებში, ცალკეულმა წვერმა სახელმწიფოებმა შეიძლება მესამე ქვეყნის მოქალაქეებისაგან, 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი მესამე ქვეყნის მოქალაქეების გამოკლებით, მოითხოვოს ტრანზიტული ვიზები, როდესაც ისინი ტრანზიტით კვეთენ მათ ტერიტორიებზე განთავსებული აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიას. წვერმა სახელმწიფოებმა ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა აცნობონ კომისიას იმ დრომდე, სანამ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შევა, ასევე უნდა აცნობონ კომისიას აეროპორტის ტრანზიტული ვიზის მოთხოვნის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები.

3. 52-ე მუხლის (1) პუნქტში მითითებული კომიტეტის ფარგლებში ასეთი შეტყობინებები ყოველწლიურად უნდა გადაიხედოს შესაბამისი მესამე ქვეყნის IV დანართით გათვალისწინებულ სიაში შეტანის მიზნით.

4. თუ მესამე ქვეყანა არ იქნება შეტანილი IV დანართში წარმოდგენილ სიაში, შესაბამისმა წევრმა ქვეყანამ შეიძლება კვლავ მოითხოვოს, ან გააუქმოს აეროპორტის ტრანზიტული ვიზის მოთხოვნა, იმ პირობით, რომ დაცული იქნება მე-2 მუხლის მოთხოვნები.

5. 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებული აეროპორტის ტრანზიტული ვიზის მოთხოვნისაგან თავისუფლდებიან შემდეგი კატეგორიის პირები:

(ა) ერთიანი მოქმედი ვიზის, გრძელვადიანი ეროვნული ვიზის მფლობელები, ან წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვის მფლობელები.

▼M2

(ბ) მესამე ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც აქვთ იმ წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინადრობის მოქმედი ნებართვა, რომელიც არ მონაწილეობს წინამდებარე რეგულაციის მიღებაში, ან იმ წევრი ქვეყნის მიერ, რომელიც ჯერ მთელი მოცულობით არ ახორციელებს შენგენის კანონმდებლობის რეგულაციებს, ან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ V დანართით გათვალისწინებულ ბინადრობის მოქმედ ნებართვებს, რომელიც გაცემულია ანდორას, კანადის, იაპონიის, სან მარინოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ მფლობელის უპირობო რეადმისიას.

(გ) მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ იმ წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ მოქმედ ვიზას, რომელიც არ მონაწილეობს წინამდებარე რეგულაციის მიღებაში, ან იმ წევრი ქვეყნის მიერ, რომელიც ჯერ მთელი მოცულობით არ ახორციელებს შენგენის კანონმდებლობის დებულებებს, ან კანადის, იაპონიის, ან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაცემულ მოქმედ ვიზას, როდესაც ისინი მგზავრობენ ვიზის გამცემ ქვეყანაში, ან ნებისმიერ სხვა მესამე ქვეყანაში, ან როდესაც ვიზით სარგებლობის შემდეგ ბრუნდებიან ვიზის გამცემ ქვეყნიდან.

▼B

(დ) ევროკავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრები, როგორც ეს განსაზღვრულია 1(2)(a) პუნქტით;

(ე) დიპლომატიური პასპორტების მფლობელები;

(ვ) ეკიპაჟის წევრები, რომლებიც საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები არიან.

კარი III

ვიზების გაცემის პროცედურები და პირობები

თავი I

სავიზო განაცხადებთან დაკავშირებულ პროცედურებში მონაწილე უფლებამოსილი ორგანოები

მუხლი 4

უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც კომპეტენტური არიან მონაწილეობა მიიღონ განაცხადებთან დაკავშირებულ პროცედურებში

1. განაცხადების მიღება და განხილვა ხდება საკონსულოს მიერ.

2. 1-ელი პუნქტიდან გადახვევის გზით, განაცხადები შეიძლება განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს წევრ სახელმწიფოთა საზღვრებს მიღმა იმ უფლებამოსილმა ორგანოებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პირთა შემოწმებაზე, 35-ე და 36-ე მუხლების თანახმად.
3. წევრი სახელმწიფოთა ზღვისიქითა ტერიტორიებზე, განაცხადები შეიძლება განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს მოცემული წევრი სახელმწიფოს მიერ მითითებულმა უფლებამოსილმა ორგანოებმა.
4. წევრ სახელმწიფოს შეუძლია, 1-ელი და მე-2 პუნქტებით გამოყოფილი უფლებამოსილი ორგანოების გარდა, დამატებით მოითხოვოს სხვა უფლებამოსილი ორგანოების ჩართვა განაცხადების მიღებასა და განხილვაში.
5. წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ სხვა წევრმა სახელმწიფომ კონსულტაციები გაიაროს მასთან, ან მოახდინოს მისი ინფორმირება 22-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად.

მუხლი 5

განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე წევრი სახელმწიფო

1. ერთიანი ვიზის მოთხოვნის განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე წევრი სახელმწიფო უნდა იყოს:
 - (ა) წევრი სახელმწიფო, რომლის ტერიტორია ვიზიტ(ებ)ის ერთადერთი დანიშნულების ადგილია;
 - (ბ) თუ ვიზიტი ითვალისწინებს ერთზე მეტი დანიშნულების ადგილს, ის წევრი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაც წარმოადგენს ვიზიტ(ებ)ის ძირითადი დანიშნულების ქვეყანას, ვიზიტის ხანგრძლივობის ან დანიშნულების თვალისაზრისით; ან
 - (გ) იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ერთადერთი დანიშნულების ქვეყნის დადგენა, ის წევრი სახელმწიფო, რომლის გარე საზღვრის გადაკვეთასაც აპირებს ვიზის მიღების მსურველი, რათა შევიდეს სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
2. ტრანზიტული ვიზის მიღების მიზნით ერთიანი ვიზის მოთხოვნის განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე წევრი სახელმწიფო უნდა იყოს:
 - (ა) მხოლოდ ერთი წევრი სახელმწიფოს ტრანზიტით გავლის შემთხვევაში, შესაბამისი წევრი სახელმწიფო; ან
 - (ბ) რამდენიმე წევრი ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტით გავლის შემთხვევაში, ის წევრი სახელმწიფო, რომლის გარე საზღვრის გადაკვეთითაც ვიზის მსურველს განზრახული აქვს დაიწეოს ტრანზიტით გავლა.
3. აეროპორტის ტრანზიტული ვიზის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე უნდა იყოს:
 - (ა) იმ შემთხვევაში, თუ ერთი აეროპორტის გავლით ხორციელდება ტრანზიტი, წევრი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს სატრანზიტო აეროპორტი; ან
 - (ბ) იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი აეროპორტის გავლით ხორციელდება ტრანზიტი, ის წევრი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს პირველი სატრანზიტო აეროპორტი.
4. წევრი სახელმწიფოები უნდა თანამშრომლობდნენ იმისათვის, რომ არ წარმოიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც 1-3 პუნქტების შესაბამისად, ვიზის განაცხადის მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე წევრ ქვეყანას არ გააჩნია წარმომადგენლობა, ან არ არის

წარმოდგენილი იმ მესამე ქვეყანაში, სადაც ვიზის მიღების მსურველმა მე-6 მუხლის შესაბამისად შეიტანა განაცხადი.

მუხლი 6

საკონსულოს ტერიტორიული კომპეტენცია

1. განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კომპეტენტური წევრი სახელმწიფოს საკონსულო, რომლის იურისდიქციაშიც არის განმცხადებლის იურიდიული მისამართი.
2. კომპეტენტური წევრი სახელმწიფოს საკონსულო განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის მიერ შემოტანილ განაცხადზე, რომლის იურიდიული მისამართი ექვემდებარება კომპეტენტური წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს, თუმცა, იგი არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, თუ განმცხადებელი წარმოადგენს დასაბუთებას, თუ რატომ მიმართა მან მოცემულ საკონსულოს.

მუხლი 7

წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ლეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის ვიზების გაცემის კომპეტენცია

მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მოეთხოვებათ ვიზა იმისათვის, რომ გადაკვეთონ ერთი ან რამდენიმე სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორია, ვალდებული არიან მიმართონ კომპეტენტური წევრი სახელმწიფოს საკონსულოს მე-5 (1) ან (2) მუხლის თანახმად.

მუხლი 8

წარმომადგენლობითი მექანიზმები

1. წევრი სახელმწიფო შესაძლოა დათანხმდეს წარმოადგინოს სხვა წევრი სახელმწიფო, რომელიც მე-5 მუხლის შესაბამისად, კომპეტენტურია, განიხილოს განაცხადები და გასცეს ვიზები მოცემული წევრი სახელმწიფოს სახელით.
წევრმა სახელმწიფომ შესაძლოა ასევე წარმოადგინოს სხვა წევრი სახელმწიფო შეზღუდული ფორმით და შეაგროვოს მხოლოდ განაცხადები და განახორციელოს ბიომეტრიული იდენტიფიკატორების აღება და შენახვა.
2. როდესაც წარმოდგენი წევრი სახელმწიფოს საკონსულო ფიქრობს უარის თქმას ვიზის გაცემაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად განაცხადი უნდა შევიდეს წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებში, რათა განაცხადის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას 23(1),(2) და (3) პუნქტებით-დადგენილ ვადაში.
3. წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოსათვის შეგროვებული ფაილებისა და მონაცემების გადაცემა უნდა განხორციელდეს მონაცემთა უსაფრთხოებისა და დაცვის წესების შესაბამისად.
4. წარმომდგენ წევრ სახელმწიფოსა და წარმოდგენილ წევრ სახელმწიფოს შორის უნდა გაფორმდეს ორმხრივი შეთანხმება, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:
(ა) ამგვარი წარმომადგენლობის ხანგრძლივობა, თუ იგი მხოლოდ დროებითია და მისი შეწყვეტის პროცედურები;

(ბ) იგი შესაძლოა შეიცავდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოდგენილ წევრ სახელმწიფოს მოცემული მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე აქვს საკონსულო, დებულებებს წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს მიერ შენობით, თანამშრომლებით და შრომის ანაზღაურებით უზრუნველყოფის შესახებ.

(გ) იგი შესაძლოა შეიცავდეს პირობას, რომ მესამე ქვეყნის გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი განაცხადები წარმომდგენი წევრი სახელმწიფოს მიერ უნდა გაიდაიგზავნოს წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებში წინასწარი კონსულტაციისათვის, 22-ე მუხლის შესაბამისად.

(დ) მე-2 პუნქტიდან გადახვევის გზით, შეთანხმებით წარმომდგენი წევრი სახელმწიფოს საკონსულოს შესაძლოა ვიზის გაცემაზე უარის უფლება მიეცეს განაცხადის განხილვის შემდეგ.

5. წევრი სახელმწიფოები, რომელთაც არ აქვთ საკმარისი საკუთარი საკონსულოები მესამე ქვეყანაში, უნდა შეეცადონ, რომ წარმომადგენლობის შესახებ შეთანხმებები გააფორმონ სხვა წევრ სახელმწიფოებთან, რომელთაც საკონსულოები აქვთ მოცემულ მესამე ქვეყანაში.

6. იმისათვის, რომ არასათანადო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ ან დიდი მანძილის გავლის საჭიროებამ კონკრეტულ რეგიონში ან გეოგრაფიულ არეალში, არ გამოიწვიოს განმცხადებელთა ერთი ნაწილის მიერ არაპროპორციული ძალისხმევის გაწევა იმისათვის, რომ საკონსულოსთან პქონდეთ წვდომა, ის წევრი სახელმწიფოები, რომელთაც არ აქვთ საკმარისი საკონსულოები მოცემულ რეგიონში ან ტერიტორიაზე, უნდა შეეცადონ, რომ შეთანხმებები გააფორმონ იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთაც აქვთ საკონსულოები მოცემულ რეგიონში ან გეოგრაფიულ არეალში.

7. წარმოდგენილი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, კომისიას წარმომადგენლობის შესახებ შეთანხმებების გაფორმების ან შეწყვეტის შესახებ აცნობოს, სანამ ისინი ძალაში შევა ან შეწყდება.

8. ამავდროულად, წარმომდგენი წევრი სახელმწიფოს საკონსულომ წარმომადგენლობის შესახებ შეთანხმებების თაობაზე ან მათი შეწყვეტის შესახებ, მათი ძალაში შესვლამდე ან შეწყვეტამდე, უნდა აცნობოს როგორც სხვა წევრ სახელმწიფოებს, ასევე კომისიის დელეგაციას მოცემულ იურისდიქციაში.

9. იმ შემთხვევაში, თუ წარმომდგენი წევრი სახელმწიფოს საკონსულო მიიღებს გადაწყვეტილებას, ითანამშრომლოს მომსახურების გარე მომწოდებელთან 43-ე მუხლის შესაბამისად, ან აკრედიტებულ კომერციულ შუამავლებთან, როგორც ამას ითვალისწინებს 45-ე მუხლი, ასეთი თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს წარმომადგენლობის შესახებ დადებული შეთანხმებებით გათვალისწინებულ განაცხადებს. წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები ასეთი თანამშრომლობის პირობების შესახებ წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

თავი II

განაცხადი

მუხლი 9

განაცხადის წარდგენის პრაქტიკული პირობები

1. განაცხადი შეტანილ უნდა იქნას არაუმეტეს სამი თვით ადრე განზრახული ვიზიტის დაწყებამდე. ისეთი მრავალჯერადი ვიზის მფლობელებს, რომელიც ძალაშია არანაკლებ ექვსი თვე, შეუძლიათ, ვიზის განაცხადები შეიტანონ ამ ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

2. განაცხადის შეტანისათვის, განმცხადებელს შესაძლებელია მოეთხოვოს შეხვედრის დანიშვნა. შეხვედრა, როგორც წესი, იმართება არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც მოთხოვნილ იქნა შეხვედრის დანიშვნა.

3. დასაბუთებული გადაუდებლობის შემთხვევაში, საკონსულომ შესაძლოა განმცხადებელს მისცეს ნება, წინასწარი ჩაწერის გარეშე შეიტანოს განაცხადი ან დაუყოვნებლივ დაუნიშნოს მას გასაუბრება.

4. განაცხადი საკონსულოში შეიძლება შეიტანოს განმცხადებელმა, ან აკრედიტებულმა კომერციულმა შუამავალმა 45(1) პუნქტის თანახმად, ისე, რომ არ შეიზღუდოს მე-13 მუხლის მოთხოვნები, ან 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად.

მუხლი 10

განაცხადის შეტანის ზოგადი წესები

1. მე-13, 42-ე, 43-ე, და 45-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებების შეუზღუდავად, განმცხადებელი უნდა გამოცხადდეს პირადად, როდესაც შეაქვს განაცხადი.

2. საკონსულოებმა, შესაძლოა, უარი თქვან 1-ელ პუნქტში მითითებულ მოთხოვნაზე, როდესაც განმცხადებელი ცნობილია მათთვის, როგორ პატიოსანი და საიმედო პიროვნება.

3. განაცხადის შეტანისას, განმცხადებელი ვალდებულია:

(ა) წარმოადგინოს განაცხადის ფორმა, მე-11 მუხლის შესაბამისად;

(ბ) წარმოადგინოს სამგზავრო დოკუმენტი, მე-12 მუხლის შესაბამისად;

(გ) წარმოადგინოს ფოტო ევროკავშირის (EC) #1683/95 რეგულაციით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად, ან იქ, სადაც სავიზო საინფორმაციო სისტემა ფუნქციონირებს - სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ რეგულაციის 48-ე მუხლის შესაბამისად, წინამდებარე რეგულაციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტების მიხედვით.

(დ) მისი თითების ანაბეჭდების აღების ნება მისცეს მე-13 მუხლის შესაბამისად, სათანადო შემთხვევაში;

(ე) გადაიხადოს სავიზო მოსაკრებელი, მე-16 მუხლის შესაბამისად;

(ვ) წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-14 მუხლის და II დანართის შესაბამისად;

(ზ) სათანადო შემთხვევაში, წარმოადგინოს სამოგზაურო ჯანმრთელობის დაზღვევის სათანადო და მოქმედი დოკუმენტი, მე-15 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11

განაცხადის ფორმა

1. თითოეული განმცხადებელი ვალდებულია, წარადგინოს შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა, როგორც ეს მოცემულია დანართში I. განმცხადებლის სამგზავრო დოკუმენტში შეტანილმა პირებმა ცალკე განაცხადის ფორმა უნდა წარადგინონ. არასრულწლოვანმა უნდა წარადგინოს განაცხადი, რომელიც ხელმოწერილი იქნება მუდმივად ან დროებით მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის, ან კანონიერი მეურვის მიერ.

2. საკონსულომ უსასყიდლოდ უნდა უზრუნველყოს განაცხადის ფორმის ფართო და მარტივი ხელმისაწვდომობა განმცხადებლებისათვის.

3. ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგ ენებზე:

(ა) იმ წვერი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე (ენებზე), რომლისთვისაც ითხოვენ ვიზას;

(ბ) მასპინძელი ქვეყნის ოფიციალური ენაზე (ენებზე);

(გ) მასპინძელი ქვეყნის ოფიციალური ენაზე (ენებზე) და იმ წვერი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე(ენებზე), რომლისთვისაც ითხოვენ ვიზას; ან

(დ) წარმომადგენლობის არსებობის შემთხვევაში, წარმომადგენელი წვერი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე (ენებზე).

(ა) ქვეპუნქტში მითითებული ენის (ენების) გარდა, განაცხადის ფორმა, შესაძლოა, წარმოდგენილ იქნას ევროკავშირის ინსტიტუტების ოფიციალურ ენაზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის ფორმა არ არის ხელმისაწვდომი მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე (ენებზე), ამ ენაზე (ენებზე) თარგმანი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს განმცხადებლისათვის ცალ-ცალკე.

5. განაცხადის ფორმის მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე (ენებზე) თარგმანი იწარმოება შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობით, რომელსაც ითვალისწინებს 48-ე მუხლი.

6. საკონსულო აცნობებს განმცხადებლებს იმ ენის (ენების) შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას განაცხადის ფორმის შევსებისას.

მუხლი 12

სამგზავრო დოკუმენტი

განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

(ა) მისი მოქმედების ვადა უნდა მოიცავდეს წვერი სახელმწიფოს ტერიტორიიდან სავარაუდო გამგზავრების თარიღის შემდეგ სამ თვეს ან, რამდენიმე ვიზიტის შემთხვევაში, წვერი სახელმწიფოს ტერიტორიიდან ბოლო გამგზავრების თარიღიდან სამ თვეს. თუმცა, დასაბუთებულ და გადაუდებელ შემთხვევაში, ეს ვალდებულება შეიძლება მოიხსნას;

(ბ) იგი უნდა შეიცავდეს მინიმუმ ორ ცარიელ გვერდს;

(გ) იგი გაცემული უნდა იქნას ბოლო 10 წლის განმავლობაში.

მუხლი 13

ბიომეტრიული იდენტიფიკატორები

1. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა შეაგროვონ განმცხადებლების ბიომეტრიული იდენტიფიკატორები, რომელიც შეიცავს მათ სურათებს და ათი თითის ანაბეჭდს, დაცვის იმ მექანიზმების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციით.

2. პირველი განაცხადის შეტანისას განმცხადებელი უნდა გამოცხადდეს პირადად. ამ დროისათვის შემდეგი ბიომეტრიული იდენტიფიკატორები უკვე შეგროვებული უნდა იყოს:

— სკანირებული ან განაცხადის შეტანისას გადაღებული ფოტოსურათი და

— განმცხადებლის 10 თითის ანაბეჭდი, აღებული და ციფრული სახით შენახული.

3. როდესაც განმცხადებლის თითის ანაბეჭდები პირველი განაცხადის შეტანისას უკვე აღებულია და ახალი განაცხადის გაკეთების თარიღამდე 59 თვე არ არის გასული, ისინი გადატანილ უნდა იქნას ამ მომდევნო განაცხადში.

თუმცა, როდესაც განმცხადებლის ვინაობასთან დაკავშირებით არსებობს გონივრული ეჭვი, საკონსულომ თითის ანაბეჭდები უნდა შეაგროვოს პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში.

გარდა ამისა, თუ განაცხადის შეტანისას შეუძლებელია დაუყოვნებლივ დადასტურდეს, რომ თითის ანაბეჭდების აღება განხორციელდა პირველი ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს, რომ მოხდეს თითის ანაბეჭდების აღება.

4. სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ რეგულაციის მე-9(5) პუნქტის თანახმად, თითოეულ განაცხადზე დართული ფოტო შეტანილ უნდა იქნას სავიზო საინფორმაციო სისტემაში. ამ მიზნით განმცხადებლის პირადად გამოცხადება სავალდებულო არ არის.

ფოტოს ტექნიკური მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) 9303 დოკუმენტში, ნაწილი 1, მე-6 გამოცემა.

5. თითის ანაბეჭდები აღებულ უნდა იქნას ICAO-ს სტანდარტისა და კომისიის 2006 წლის 22 სექტემბრის #2006/648/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელშიც ჩამოყალიბებულია ბიომეტრიული მახასიათებლების სტანდარტები სავიზო საინფორმაციო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით ([20](#)).

6. ბიომეტრიული იდენტიფიკატორები უნდა შეგროვდეს კომპეტენტური ორგანოების კვალიფიციური და სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, მე-4(1)(2) და (3) მუხლის შესაბამისად. საკონსულოების ზედამხედველობის ქვეშ ბიომეტრიული იდენტიფიკატორები ასევე შეიძლება შეგროვდეს საპატიო კონსულის კვალიფიციური და სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, როგორც ეს მითითებულია 42-ე მუხლში, ან მომსახურების გარე მიმწოდებლის მიერ, როგორც ეს მითითებულია 43-ე მუხლში. რაიმე ეჭვის შემთხვევაში, დაინტერესებულმა წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა) უნდა უზრუნველყოს მომსახურების გარე მომწოდებლის მიერ აღებული თითის ანაბეჭდების გადამოწმების შესაძლებლობა საკონსულოში.

7. თითის ანაბეჭდის აღების ვალდებულებისაგან თავისუფლებიან შემდეგი განმცხადებლები:

(ა) 12 წლამდე ასაკის ბავშვები;

(ბ) იმ შემთხვევაში, თუ თითის ანაბეჭდების აღება ფიზიკურად შეუძლებელია. თუ შესაძლებელია 10-ზე ნაკლები თითიდან ანაბეჭდის აღება, აღებულ უნდა იქნას მაქსიმალური რაოდენობის თითის ანაბეჭდები. თუმცა, თუ თითის ანაბეჭდების აღება დროებით შეუძლებელია, განმცხადებელს შესაძლოა მოსთხოვონ თითის ანაბეჭდების აღება შემდგომ ჯერზე განაცხადის წარდგენისას. მე-4(1)(2) და (3) მუხლის შესაბამისად, კომპეტენტურ ორგანოებს უფლება აქვთ, მოითხოვონ დამატებითი ახსნა-განმარტება, თუ რატომ არის დროებით შეუძლებელი თითი ანაბეჭდების აღება. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პროცედურების არსებობა, რომელიც დაიცავს განმცხადებლის ღირსებას თითის ანაბეჭდების აღებისას;

(გ) სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურები, ეროვნული მთავრობის წევრები მათი თანმხლები მეუღლეებით და მათი ოფიციალური დელეგაციის წევრები, როდესაც ისინი მოწვეულნი არიან წევრი სახელმწიფოების მთავრობების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოფიციალური მიზნით;

(დ) მონარქები და სამეფო ოჯახის წევრები, როდესაც ისინი მოწვეულნი არიან წვერი სახელმწიფოების მთავრობების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოფიციალური მიზნით.

8. მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, სავიზო ინფორმაციის სისტემაში გაკეთდება ჩანაწერი 'არ არის შესაბამისი', სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების მე-8(5) მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14

დამადასტურებელი დოკუმენტაცია

1. ერთიან ვიზაზე განაცხადის შეტანისას განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

(ა) დოკუმენტები, რომელშიც მითითებულია მოგზაურობის მიზანი;

(ბ) დოკუმენტი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის შესახებ, ან საცხოვრებელით უზრუნველყოფისათვის სათანადო სახსრების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი;

(გ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებელს საკმარისი საარსებო საშუალებები აქვს, რათა საზღვარგარეთ ყოფნისათვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში იცხოვროს და შემდეგ დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში, ან ტრანზიტით გავლის დროს მესამე ქვეყანაში, სადაც დარწმუნებულია, რომ შეუშვებენ, ან ისეთი მდგომარეობა აქვს, რომ შეუძლია ასეთი საშუალებები კანონიერად მოიპოვოს.

(დ) ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს განმცხადებლის მიზანი, ვიზის მოქმედების ამოწურვამდე დატოვოს წვერი სახელმწიფოს ტერიტორია.

2. აეროპორტის ტრანზიტულ ვიზაზე განაცხადის გაკეთებისას, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

(ა) დოკუმენტები მოგზაურობის საბოლოო დანიშნულების ადგილამდე გაგრძელების შესახებ სავარაუდო აეროპორტის ტრანზიტით გავლის შემდგომ;

(ბ) ინფორმაცია, რომელიც იძლევა საშუალებას, შეფასდეს განმცხადებლის განზრახვა, არ შევიდეს წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

3. დამადასტურებელი დოკუმენტების არასრული ჩამონათვალი, რომელიც შესაძლოა საკონსულომ მოითხოვოს, რათა შემოწმდეს იმ პირობების შესრულება, რომლებიც ჩამოთვლილია II დანართის 1-ელ და მე-2 პუნქტებში.

4. წვერმა სახელმწიფომ, შესაძლოა, განმცხადებელს მოსთხოვოს სპონსორობის ან/და კერძო პირის მიერ საცხოვრებელით უზრუნველყოფის დადასტურება გარკვეული ფორმის შევსებით, რომელსაც თითოეული წვერი სახელმწიფო თვითონ ადგენს. ამ ფორმაში კონკრეტულად მითითებული უნდა იყოს:

(ა) არის თუ არა მისი მიზანი სპონსორობის ან/და საცხოვრებელით უზრუნველყოფის დადასტურება;

(ბ) არის თუ არა მასპინძელი პირი, კომპანია ან ორგანიზაცია;

(გ) მასპინძელის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

(დ) მოწვეული განმცხადებელი (განმცხადებლები)

(ე) საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

(ვ) დარჩენის ხანგრძლივობა და მიზანი;

(ზ) შესაძლო ოჯახური კავშირი მასპინძელთან.

წვერი სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) გარდა, ფორმა ასევე უნდა შეივსოს ევროკავშირის ინსტიტუტების, სულ მცირე, ერთ განსხვავებულ ოფიციალურ ენაზე. ფორმით ხელმომწერმა პირმა უნდა მიიღოს ის ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია საეიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ რეგულაციის 37(1)-ე მუხლით. ფორმის ნიმუშის შესახებ უნდა ეცნობოს კომისიას.

5. შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში, დამადასტურებელი დოკუმენტების სიის შევსებისა და პარმონიზების საჭიროების საკითხი უნდა შეფასდეს თითოეულ იურისდიქციაში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინების მიზნით.

6. საკონსულოებს შეუძლიათ, არ მოითხოვონ პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მოთხოვნის დაკმაყოფილება, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მათთვის ცნობილია, როგორც პატიოსანი და საიმედო, განსაკუთრებით იმით, რომ მან კანონიერად გამოიყენა წარსულში გაცემული ვიზები და თუ არ არსებობს ეჭვი, რომ იგი არ დაიცავს შენგენის საზღვრების კოდექსის მე-5(1) მუხლის მოთხოვნებს წვერი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთისას.

მუხლი 15

სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა

1. ერთიანი ვიზის მსურველებმა ერთი ან ორი ვიზიტისათვის უნდა წარმოადგინონ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ფლობენ სათანადო და მოქმედ სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევას ნებისმიერი ხარჯის დასაფარად, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას სამედიცინო მიზეზების გამო რეპატრაციის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ან/და გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობის, ან გარდაცვალების შემთხვევაში, წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში.

2. ერთიანი ვიზის მსურველებმა ერთი, ან ორი ვიზიტისათვის (მრავალჯერადი შემოსვლა) უნდა წარმოადგინონ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ფლობენ სათანადო და მოქმედ სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევას, რომელიც მოიცავს მათი პირველი განზრახული ვიზიტის პერიოდს. გარდა ამისა, ამგვარი განმცხადებლები ხელს აწერენ განაცხადის ფორმაში მოცემულ განცხადებას, რომ ისინი ინფორმირებული არიან ქვეყანაში ყოველი შემდგომი ყოფნისათვის სამედიცინო დაზღვევის საჭიროების შესახებ.

3. დაზღვევა მოქმედი უნდა იყოს წვერი სახელმწიფოს მთლიან ტერიტორიაზე და მოიცავდეს პირის ქვეყანაში ყოფნის ან ტრანზიტით გავლის მთელ პერიოდს. მინიმალური დაფარვის თანხა უნდა იყოს 30 000 ევრო.

როდესაც ვიზა გაიცემა შეზღუდული ტერიტორიული მოქმედებით და მოიცავს ერთ ან მეტ წვერ სახელმწიფოს, დაზღვევა უნდა მოქმედებდეს, სულ მცირე, მოცემულ წვერ სახელმწიფოებში.

4. , ძირითადად, განმცხადებლებმა დაზღვევა უნდა აიღონ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში. თუ ეს შეუძლებელია, მათ უნდა სცადონ დაზღვევის მიღება ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

როდესაც განმცხადებლის სახელით სხვა პირი იღებს დაზღვევას, მოქმედებს მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

5. სადაზღვევო დაფარვის ადეკვატურობის შემოწმებისას, საკონსულომ უნდა გადაამოწმოს, რომ სადაზღვევო კომპანიის მიმართ წარდგენილი სადაზღვევო მოთხოვნები წვერ სახელმწიფოში ანაზღაურდება.

6. სადაზღვევო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, როდესაც დადგინდება, რომ განმცხადებლის პროფესიიდან გამომდინარე, იგი ფლობს სათანადო ღონის დაზღვევას. სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის წარდგენისაგან თავისუფლდება კონკრეტული პროფესიული ჯგუფები, როგორიცაა მეზღვაურები, რომლებიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ფლობენ სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევას.

7. დიპლომატიური პასპორტის მფლობელები თავისუფლდებიან სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის მოთხოვნისაგან.

მუხლი 16

ვიზის მოსაკრებელი

1. განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს ვიზის მოსაკრებელი 60 ევროს ოდენობით.

2. ექვსიდან 12 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ვიზის მოსაკრებელი არის 35 ევრო.

3. ვიზის მოსაკრებელი უნდა გადაიხედოს რეგულარულად, რათა ასახოს ადმინისტრაციული ხარჯები.

4. ვიზის მოსაკრებელი უნდა მოეხსნას განმცხადებლებს, რომლებიც შემდეგ კატეგორიებს განეკუთვნებიან:

(ა) ბავშვები ექვსი წლის ასაკამდე;

(ბ) მოსწავლეები, სტუდენტები, ასპირანტები და თანმხლები მასწავლებლები, რომლებიც რჩებიან სწავლის ან ტრენინგის გავლის მიზნით;

(გ) მკვლევარები მესამე ქვეყნებიდან, რომლებიც მოგზაურობენ კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 28 სექტემბრის No 2005/761/EC რეკომენდაციის თანახმად. ამ რეკომენდაციის მიზანია, ხელი შეუწყოს წვერი სახელმწიფოების მიერ ერთგვაროვანი ხანმოკლე ვიზების გაცემას მესამე ქვეყნების მკვლევარებისათვის, რომლებიც მოგზაურობენ ევროკავშირის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევების განხორციელების მიზნით (²¹);

(დ) არაკომერციული ორგანიზაციების 25 წლის, ან უფრო ნაკლები ასაკის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გამართულ სემინარებში, კონფერენციებში, სპორტულ, კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებებში.

5. სავიზო მოსაკრებელი შეიძლება მოეხსნას:

(ა) ბავშვებს ექვსი წლის ასაკიდან 12 წლის ასაკამდე;

(ბ) დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელებს;

(გ) არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გამართულ სემინარებში, კონფერენციებსა და სპორტულ, კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილე 25 წლის ან უფრო ნაკლები ასაკის მონაწილეები;

შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში, წვერი სახელმწიფოები მიზნად უნდა ისახავდნენ განმცხადებლებისათვის ამ გამონაკლისების გამოყენების ჰარმონიზებას.

6. ცალკეულ შემთხვევებში, სავიზო მოსაკრებელი შეიძლება გაუქმდეს, ან შემცირდეს, თუ ეს ემსახურება კულტურულ ან სპორტულ ინტერესებს, ასევე საგარეო პოლიტიკის, განვითარების პოლიტიკისა და სხვა არსებითი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სფეროების ინტერესებს ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

7. სავიზო მოსაკრებელი გადაიხდება ევროში, მესამე ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში ან იმ ვალუტით, რომელიც. როგორც წესი, გამოიყენება იმ მესამე ქვეყანაში, სადაც ხდება განაცხადის შეტანა. მოსაკრებელი არ ბრუნდება უკან, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც მითითებულია მე-18 (2) და მე-19(3) მუხლებში.

როდესაც სავიზო მოსაკრებელი გადაიხდება არა ევროში, არამედ სხვა ვალუტაში, მოსაკრებლის რაოდენობა იგივე უნდა იყოს, რაც ევროში, ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. თანხის ოდენობა შეიძლება დამრგვალდეს. საკონსულომ უნდა უზრუნველყოს მსგავსი გადასახადის მიღება შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის შესაბამისად.

8. განმცხადებელს უნდა გადაეცეს სავიზო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მუხლი 17

მომსახურების მოსაკრებელი

1. დამატებითი მომსახურების მოსაკრებელი შეიძლება დაკისრებული იქნას მომსახურების გარე მიმწოდებლის მიერ, რომელიც მოხსენიებულია 43-ე მუხლში. დაკისრებული მომსახურების საფასური მომსახურების გარე მიმწოდებლის მიერ 43(6)-ე მუხლში მითითებული ერთი ან მეტი დავალების შესრულების ხარჯების პროპორციული უნდა იყოს.

2. მომსახურების მოსაკრებელი უნდა განისაზღვროს 43(2)-ე მუხლში მითითებული სამართლებრივი დოკუმენტით.

3. შენგენის თანამშრომლობის ფარგლებში, წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მომსახურების მოსაკრებელმა სათანადოდ ასახოს მომსახურების გარე მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული მომსახურება და ადაპტირებული იყოს ადგილობრივ პირობებთან. გარდა ამისა, მათი მიზანი მომსახურების დაწესებული მოსაკრებლის ჰარმონიზება უნდა იყოს.

4. მომსახურების მოსაკრებელი არ უნდა აღემატებოდეს ვიზის მოსაკრებლის ნახევარს, რომელიც განსაზღვრულია მე-16(1) მუხლში, მიუხედავად მე-16 მუხლის (2), (4), (5) და (6) პუნქტებით გათვალისწინებული ვიზის მოსაკრებლის შემცირების, ან მისგან გათავისუფლების შესაძლებლობისა.

5. წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა) უნდა უზრუნველყონ ყველა განმცხადებლის მიერ განაცხადის პირდაპირ მის (მათ) საკონსულოებში შეტანის შესაძლებლობა.

თავი III

განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

მუხლი 18

საკონსულოს კომპეტენციის დადასტურება

1. როდესაც განაცხადი შედის საკონსულოში, საკონსულომ უნდა გადაამოწმოს, არის თუ არა იგი უფლებამოსილი, განიხილოს განაცხადი და მიიღოს გადაწყვეტილება მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, თუ საკონსულო კომპეტენტური არ არის, მან დაყოვნების გარეშე უნდა დაუბრუნოს განმცხადებელს შევსებული განაცხადის ფორმა და თანდართული დოკუმენტები და

აუნაზღაუროს მას ვიზის მოსაკრებელი, ასევე უნდა მიუთითოს, რომელი საკონსულო არის უფლებამოსილი, მიიღოს ეს განაცხადი.

მუხლი 19

დასაშვებობა

1. კომპეტენტური საკონსულო ამოწმებს:

- განაცხადი შეტანილია თუ არა მე-9(1) მუხლში მითითებულ ვადაში;
- განაცხადი შეიცავს თუ არა მე-10(3), (ა) - (გ) მუხლში მითითებულ საბუთებს;
- მიღებულია თუ არა განმცხადებლის ბიომეტრიული მონაცემები, და
- გადახდილია თუ არა ვიზის მოსაკრებელი.

2. როდესაც კომპეტენტური საკონსულო მიიჩნევს, რომ 1-ელი პუნქტის მითითებები შესრულდა, განაცხადი დასაშვებია და საკონსულო ვალდებულია:

— დაიცვას სავიზო საინფორმაციო სისტემის დებულების მე-8 მუხლში აღწერილი პროცედურები, და

— განახორციელოს განაცხადის შემდგომი განხილვა.

სავიზო საინფორმაციო სისტემაში მონაცემები შეიტანება მხოლოდ საკონსულოს უფლებამოსილი პერსონალის მიერ, მე-6(1), მე-7, მე-9(5) და მე-9(6) მუხლების შესაბამისად.

3. როდესაც კომპეტენტური საკონსულო დაადგენს, რომ 1-ელი პუნქტით განსაზღვრული პირობები არ შესრულდა, განაცხადის მიღება დაუშვებელია და საკონსულო ვალდებულია დაუყოვნებლივ:

- დაუბრუნოს განმცხადებელს განაცხადის ფორმა და ნებისმიერი დოკუმენტი,
- გაანადგუროს შეგროვებული ბიომეტრიული მასალა,
- აანაზღაუროს ვიზის მოსაკრებელი, და
- არ განიხილოს განაცხადი.

4. 1-ელი პუნქტით განსაზღვრულ პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განსაზღვრული პირობებიდან გადახვევის გზით, განაცხადი შეიძლება დასაშვებად ჩაითვალოს ჰუმანიტარული მიზნების ან ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 20

განაცხადის დასაშვებობის დამადასტურებელი ბეჭედი

1. როდესაც განაცხადი დასაშვებია, საკონსულო განმცხადებლის სამგზავრო დოკუმენტს ბეჭდით ადასტურებს. ბეჭედი უნდა შეესაბამებოდეს III დანართში მოცემულ ნიმუშს და დაიცვას აღნიშნული დანართით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად.

2. დიპლომატიური, სამსახურებრივი/ოფიციალური და სპეციალური პასპორტები არ საჭიროებს შტამპის დასმას.

3. წინამდებარე მუხლის დებულებები ვრცელდება წვერი სახელმწიფოების საკონსულოებზე იმ დრომდე, სანამ სავიზო საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირება არ მოიცავს ყველა რეგიონს, სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ რეგულაციის 48-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 21

შესვლის პირობების შემოწმება და რისკების შეფასება

1. ერთიანი ვიზის განაცხადის განხილვისას უნდა დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი შენგენის საზღვრების კოდექსის მე-5 მუხლის(1) პუნქტის (ა), (გ), (დ) და (ე) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირობებს და განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს განმცხადებლის შეფასებას, წარმოადგენს თუ არა იგი რისკს არალეგალური ემიგრაციის, ან წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით და აქვს თუ არა განმცხადებელს განზრახვა, დატოვოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორია მოთხოვნილი ვიზის მოქმედების ამოწურვამდე.

2. თითოეულ განაცხადთან მიმართებით უნდა გამოყენებოდეს სავიზო ინფორმაციის სისტემა, სავიზო საინფორმაციო სისტემის დებულების მე-8 (2) და მე-15 მუხლების შესაბამისად. წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სრულად იქნას გამოყენებული ძიების ყველა კრიტერიუმი, სავიზო საინფორმაციო სისტემის დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად, რათა თავიდან იქნას აცილებული უსაფუძვლო უარი ან არასწორი იდენტიფიკაცია.

3. შესვლის პირობებთან განმცხადებლის შესაბამისობის შემოწმებისას, საკონსულო ამოწმებს:

(ა) რომ წარმოდგენილი სამგზავრო დოკუმენტი არ არის ყალბი, ცრუ ინფორმაციის შემცველი ან ფალსიფიცირებული;

(ბ) განმცხადებლის დასაბუთებას მოგზაურობის მიზნისა და პირობების შესახებ და რომ განმცხადებელს აქვს საკმარისი საარსებო საშუალებები, რათა საზღვარგარეთ ყოფნისათვის განკუთვნილი დროის მონაკვეთში იცხოვროს და შემდეგ დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში, ან ტრანზიტით გავლის დროს მესამე ქვეყანაში, სადაც დარწმუნებულია, რომ შეუშვებენ, ან ისეთი მდგომარეობა აქვს, რომ შეუძლია, ასეთი საშუალებები კანონიერად მოიპოვოს.

(გ) არის თუ არა განმცხადებელი პირი, რომელზედაც შენგენის საინფორმაციო სისტემაში შეტანილია გაფრთხილება მისთვის შესვლაზე უარის თქმის შესახებ;

(დ) განმცხადებელი არ წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფო პოლიტიკის, შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით, როგორც ეს განსაზღვრულია შენგენის საზღვრების კოდექსის მე-2(19) მუხლით, ან - ნებისმიერი სხვა წევრი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაფრთხილება არ არის შეტანილი წევრი ქვეყნების ეროვნული მონაცემთა ბაზის ფარგლებში ამავე მიზეზებით მათთვის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის შესახებ;

(ე) აქვს თუ არა განმცხადებელს ადეკვატური და მოქმედი სამგზავრო სამედიცინო დაზღვევა შესაბამის შემთხვევაში.

4. საჭიროების შემთხვევაში, საკონსულომ უნდა გადაამოწმოს წინა ვიზიტის ხანგრძლივობა და გადაატარა თუ არა განმცხადებელმა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისათვის განკუთვნილ დროს, მიუხედავად გრძელვადიანი ეროვნული ვიზით შესაძლო ნებადართული ყოფნისა და სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვისა.

5. არსებობის საშუალებები უნდა შეფასდეს სავარაუდო ვიზიტის მიზნების და ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს წევრ სახელმწიფო(ებ)ში არსებული საშუალო ფასები კვების და საცხოვრებლისათვის, გამრავლებული განკუთვნილი დღეების რაოდენობაზე, რომელიც დადგენილია წევრი სახელმწიფოების მიერ შენგენის საზღვრების კოდექსის 34 (1) (გ) მუხლის შესაბამისად. საკმარისი საარსებო საშუალების მტკიცებულებად ასევე მიიჩნევა სპონსორობისა და კერძო მასპინძლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. აეროპორტის ტრანზიტული ვიზის მოთხოვნის შესახებ განაცხადის განხილვისას, საკონსულტო განსაკუთრებით უნდა შეამოწმოს:

(ა) რომ წარმოდგენილი სამგზავრო დოკუმენტი არ არის ცრუ ინფორმაციის შემცველი, ყალბი ან ფალსიფიცირებული;

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქის გამგზავრების და დანიშნულების პუნქტები, ასევე განზრახული მარშრუტის და სატრანზიტო აეროპორტის ლოგიკურობა;

(გ) საბოლოო დანიშნულების პუნქტისაკენ მოგზაურობის გაგრძელების მტკიცებულება.

7. განაცხადის შემოწმება განსაკუთრებით უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და საიმედოობასა და განმცხადებლის მიერ გაკეთებული განცხადებების სიზუსტესა და საიმედოობას.

8. განაცხადის გამოკვლევისას, ცალკეულ დასაბუთებულ შემთხვევებში საკონსულტოს შეუძლია გამოიძახოს განმცხადებელი გასაუბრებაზე ან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

9. წარსულში ვიზის გაცემაზე მიღებული უარი არ შეიძლება გახდეს ახალ განაცხადზე ავტომატური უარის საფუძველი. ახალი განაცხადი ყველა არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.

მუხლი 22

სხვა წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების წინასწარი კონსულტაცია

1. ცალკეული მესამე ქვეყნების მოქალაქეების ან ამ მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიების მიერ წარმოდგენილი განაცხადების განხილვისას, წევრმა სახელმწიფომ სხვა წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოებისაგან შესაძლოა მოითხოვოს განაცხადის განხილვისას კონსულტაციების გამართვა. ასეთი კონსულტაციები არ შეეხება აეროპორტების ტრანზიტული ვიზების მიღებაზე წარმოდგენილ განაცხადებს.

2. ცენტრალურმა ორგანოებმა, რომლებთანაც მიმდინარეობდა კონსულტაციები, საბოლოო პასუხი შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში უნდა გასცენ. პასუხის არ არსებობა მოცემული დროის ამოწურვის შემგომ ნიშნავს იმას, რომ მათ არ აქვთ ვიზის გაცემაზე უარის თქმის არანაირი მიზეზი.

3. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა შეატყობინონ წინასწარი კონსულტაციებით სარგებლობის მოთხოვნის შემოდგომის, ან ამ მოთხოვნის გაუქმების შესახებ, სანამ იგი ძალაში შევა. ეს ინფორმაცია ასევე წარდგენილი უნდა იყოს შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში შესაბამისი იურისდიქციისათვის.

4. კომისიამ უნდა მოახდინოს წევრი სახელმწიფოების ინფორმირება ამგვარი შეტყობინებების მიღების შესახებ.

5. შენგენის საკონსულტაციო ქსელის ჩანაცვლების დღიდან როგორც ეს მითითებულია სავიზო საინფორმაციო სისტემის დებულების 46-ე მუხლში, წინასწარი კონსულტაციები ხორციელდება ამ დებულების მე-16(2) მუხლის შესაბამისად.

მუხლი 23

გადაწყვეტილება განაცხადთან დაკავშირებით

1. განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს განაცხადის შეტანიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, მე-19 მუხლის შესაბამისად.
2. ცალკეულ შემთხვევებში, ეს პერიოდი შეიძლება გაიზარდოს 30 კალენდარულ დღემდე, როდესაც საჭიროა განაცხადის დამატებითი გამოკვლევა ან როდესაც წევრი სახელმწიფოს მთავრობა კონსულტაციებს აწარმოებს.
3. გამონაკლისის სახით, როდესაც განსაკუთრებულ შემთხვევებში საჭიროა დამატებითი დოკუმენტაცია, ეს პერიოდი შეიძლება 60 კალენდარულ დღემდე გაიზარდოს.
4. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი არ იქნა გატანილი, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას, რომ:
 - (ა) გაიცეს ერთიანი ვიზა, 24-ე მუხლის შესაბამისად;
 - (ბ) გაიცეს შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზა, 25-ე მუხლის შესაბამისად;
 - (გ) უარი ეთქვას ვიზის გაცემაზე, 32-ე მუხლის შესაბამისად; ან
 - (დ) შეწყდეს განაცხადის განხილვა და იგი წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს გადაეცეს, მე-8(2) მუხლის თანახმად.ის ფაქტი, რომ თითის ანაბეჭდების აღება ფიზიკურად შეუძლებელია, მე-13(7) (ბ) პუნქტის შესაბამისად, ვიზის გაცემის, ან გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებაზე გავლენას არ ახდენს.

თავი IV

ვიზის გაცემა

მუხლი 24

ერთიანი ვიზის გაცემა

1. გაცემული ვიზის მოქმედების ხანგრძლივობა და დარჩენის ნებადართული პერიოდი უნდა ეფუძნებოდეს 21-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებულ განხილვას.

ვიზა შეიძლება გაიცეს ერთი, ორი ან მრავალჯერადი შესვლისათვის. მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს.

ტრანზიტის შემთხვევაში ვიზის მოქმედება უნდა ვრცელდებოდეს დროის იმ მონაკვეთზე, რაც საჭიროა ტრანზიტის განსახორციელებლად.

მე-12(ა) მუხლის დარღვევის გარეშე, ვიზის მოქმედების ვადა უნდა მოიცავდეს დამატებით 15-დღიან 'შეღავათიან პერიოდს'.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონარ გაითვალისწინონ ასეთი შეღავათიანი პერიოდი სახელმწიფო პოლიტიკის, ან ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების გამო.
2. მე-12(ა) მუხლის შეუზღუდავად მრავალჯერადი ვიზები გაიცემა ექვსი თვიდან ხუთ წლამდე მოქმედების ვადით, შემდეგი პირობების დაცვით:
 - (ა) განმცხადებელი ადატურებს, რომ ესაჭიროება ხშირად ან/და რეგულარულად გამგზავრება, განსაკუთრებით თანამდებობრივი ან ოჯახური მდგომარეობის გამო, როგორცაა საქმიანი პირები, საჯარო მოხელეები, რომელთაც რეგულარული ოფიციალური კონტაქტები აქვთ წევრ ქვეყნებთან და ევროკავშირის ინსტიტუტებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც მიემგზავრებიან საგანმანათლებლო ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის

მისაღებად, ევროკავშირის მოქალაქეთა ოჯახის წევრები, წევრ სახელმწიფოებში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების ოჯახის წევრები და მეზღვაურები; და

(ბ) განმცხადებელი ადატურებს თავის სანდოობას და საიმედოობას, განსაკუთრებით, წარსულში აღებული ერთიანი ან შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის მართლზომიერი გამოყენებით, წარმოშობის ქვეყანაში თავისი ეკონომიკური მდგომარეობითა და ჭეშმარიტი განზრახვით, ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე დატოვოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორია.

3. სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების მე-10(1) პუნქტით განსაზღვრული მონაცემები შეტანილ უნდა იქნას სავიზო საინფორმაციო სისტემაში მაშინ, როდესაც ასეთი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მოღებული იქნება.

მუხლი 25

შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის გაცემა

1. შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზა გაიცემა შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:

(ა) როდესაც დაინტერესებული წევრი სახელმწიფო აუცილებლად მიიჩნევს ამას ჰუმანიტარული მოსაზრებების, ეროვნული ინტერესების, ან საერთაშორისო ვალდებულებების გამო.

(i) იმ პრინციპიდან გადახვევისას, რომლის მიხედვითაც შენგენის საზღვრების კოდექსის მე-5 მუხლის (1) პუნქტის (ა), (გ), (დ) და (ე) პუნქტებით გათვალისწინებული საზღვარზე შესვლის პირობები უნდა შესრულდეს;

(ii) ვიზის გაცემისას, მიუხედავად იმ წევრი სახელმწიფოს უარისა ერთიანი ვიზის გაცემის შესახებ, რომელთანაც კონსულტაციები გაიმართა 22-ე მუხლის შესაბამისად; ან

(iii) ვიზის გაცემისას გადაუდებელი აუცილებლობის გამო, 22-ე მუხლით გათვალისწინებული წინასწარი კონსულტაციების გამართვის გარეშე;

ა6

▼M3

(ბ) როდესაც იმ მიზეზთა გამო, რომელთაც საკონსულო გამართლებულად მიიჩნევს, იმავე 180-დღიან პერიოდში ახალი ვიზა გაიცემა განმცხადებელზე, რომელმაც უკვე გამოიყენა ამ 180-დღიან პერიოდში ერთიანი ან შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების 90 დღიანი ვიზა.

▼B

2. შეზღუდული ტერიტორიული ვიზა გამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდეს. გამონაკლისის სახით, იგი შეიძლება ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებდეს, ყოველი ასეთი წევრი სახელმწიფოს თანხმობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ფლობს სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც არ არის აღიარებული ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს, მაგრამ არა ყველა სახელმწიფოს მიერ, გაცემულ უნდა იქნას ვიზა, რომელიც ერცელებოდა მხოლოდ იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რომლებიც აღიარებენ გაცემულ სამგზავრო დოკუმენტს. თუ ვიზის გამცემი სახელმწიფო არ აღიარებს განმცხადებლის სამგზავრო დოკუმენტს, ვიზა უნდა გაიცეს მხოლოდ ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებისათვის.

4. როდესაც შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზა გაიცემა 1(ა) პუნქტით აღწერილ შემთხვევებში, ვიზის გამცემი წევრი სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანოებმა ეს ინფორმაცია

დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ სხვა წევრი სახელმწიფოების ცენტრალურ ორგანოებს, სავიზო საინფორმაციო სისტემის რეგულაციის მე-16(3) მუხლით განსაზღვრული პროცედურების მეშვეობით.

5. სავიზო საინფორმაციო სისტემის რეგულაციის მე-10(1) მუხლით განსაზღვრული მონაცემები სისტემაში ამგვარი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ უნდა აისახოს.

მუხლი 26

აეროპორტის ტრანზიტული ვიზის გაცემა

1. აეროპორტის ტრანზიტული ვიზა მოქმედებს მხოლოდ ტრანზიტის განხორციელებისას წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე არსებული აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიის ფარგლებში.

2. მე-12(ა) მუხლის შეუზღუდავად, ვიზის მოქმედების ვადა უნდა მოიცავდეს დამატებით 15-დღიან 'შეღავათიან პერიოდს'.

წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს. არ გასცეს ასეთი შეღავათიანი პერიოდი, სახელმწიფო პოლიტიკის და ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების გამო.

3. მე-12(ა) პუნქტის შეუზღუდავად, მრავალჯერადი ვიზები გაიცემა ერთიანი მოქმედების ვადით, მაქსიმუმ ექვს თვემდე.

4. აეროპორტის ტრანზიტული მრავალჯერადი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებით მიზანშეწონილია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

(ა) განმცხადებლის ტრანზიტით გავლის ხშირი ან/და რეგულარული საჭიროება; და

(ბ) განმცხადებლის სანდოობა და საიმედოობა, კერძოდ, წარსულში აღებული ერთიანი ან შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის მართლზომიერი გამოყენებით, საკუთარ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობით და მისი შემდგომი მოგზაურობის წინასწარი განზრახვით.

5. თუ განმცხადებელს რეგულაციის მე-3(2) მუხლის შესაბამისად მოეთხოვება აეროპორტის ტრანზიტული ვიზა, აეროპორტის ტრანზიტული ვიზა ძალაშია მხოლოდ ტრანზიტისათვის წევრი სახელმწიფოების აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ზონაში.

6. სავიზო საინფორმაციო სისტემის დებულების მე-10(1) მუხლში მოცემული მონაცემები სისტემაში ასეთი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ უნდა აისახოს.

მუხლი 27

ვიზის ბლანკის შევსება

1. როდესაც ვიზის ბლანკები ივსება, VII დანართში მოცემული სავალდებულო ინფორმაცია შეტანილ უნდა იქნას მანქანურად წაკითხვად ზონაში, როგორც ეს გათვალისწინებულია ICAO-ს 9303 დოკუმენტის მე-2 ნაწილით.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაამატონ ეროვნული ჩანაწერები ვიზის ბლანკის 'კომენტარების' ნაწილში, რომელიც არ უნდა იმეორებდეს VII დანართით გათვალისწინებულ სავალდებულო ჩანაწერებს.

3. ვიზის ბლანკის ყველა ჩანაწერი უნდა ჩაიბეჭდოს და დაბეჭდილ ვიზის ბლანკში ხელნაწერის სახით რაიმე ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
4. ვიზის ბლანკი შეიძლება ხელით შეივსოს მხოლოდ ტექნიკური ფორს-მაჟორული მდგომარეობის დროს. ხელით შევსებულ ვიზის ბლანკში დაუშვებელია ცვლილებების შეტანა.
5. როდესაც ვიზის ბლანკი შევსებულია ხელით ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ეს ინფორმაცია სავიზო საინფორმაციო სისტემაში უნდა იქნას შეტანილი, სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების მე-10(1)(კ) მუხლის შესაბამისად.

მუხლი 28

შევსებული ვიზის ბლანკის გაუქმება

1. ვიზის ბლანკში შეცდომის აღმოჩენისას, მის სამგზავრო დოკუმენტზე დატანამდე, ვიზის ბლანკი უნდა გაუქმდეს.
2. ვიზის ბლანკში შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, როდესაც იგი უკვე დატანილია სამგზავრო დოკუმენტზე, ვიზის ბლანკი უნდა გაუქმდეს ვიზის ბლანკის მოუშორებელი მელნიტ ჯვარედინად გადახაზვის გზით, ხოლო ახალი ვიზის ბლანკი სამგზავრო დოკუმენტის სხვა გვერდზე უნდა იქნას დატანილი.
3. იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა აღმოჩენილია მას შემდეგ, რაც არსებული მონაცემები სავიზო საინფორმაციო სისტემაში უკვე შეტანილია, ამ სისტემის რეგულაციის მე-10(1) მუხლის შესაბამისად, შეცდომა უნდა გამოსწორდეს ამ დებულების 24(1)-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 29

ვიზის ბლანკის დატანა

1. დაბეჭდილი ვიზის ბლანკი, რომელიც შეიცავს 27-ე მუხლითა და VII დანართით განსაზღვრულ მონაცემებს, სამგზავრო დოკუმენტს VIII დანართით გათვალისწინებული წესების შესაბამისად უნდა იქნას დატანილი.
2. იმ შემთხვევაში, თუ წვერი სახელმწიფო არ აღიარებს განმცხადებლის სამგზავრო დოკუმენტს, ვიზის დასატანად სხვა ფურცელი უნდა იქნას გამოყენებული.
3. როდესაც ვიზის ბლანკის დატანა ხდება ცალკე ფურცელზე, ეს ინფორმაცია შეტანილ უნდა იქნას სავიზო საინფორმაციო სისტემაში, ამ სისტემის შესახებ მე-10(1)(კ) მუხლის შესაბამისად.
4. ინდივიდუალური ვიზები, რომელიც გაიცემა იმ პირებზე, ვინც მითითებულია განმცხადებლის სამგზავრო დოკუმენტში, დატანილ უნდა იქნას ამ სამგზავრო დოკუმენტზე.
5. იმ შემთხვევაში, თუ იმ სამგზავრო დოკუმენტს, რომელშიც მითითებულნი არიან ამგვარი პირები, არ აღიარებს ვიზის გამცემი წვერი სახელმწიფო, ინდივიდუალური ვიზის ბლანკის დატანა ხდება ცალკე ფურცლებზე, რომლებიც განკუთვნილია ვიზების დასატანად.

მუხლი 30

ვიზის მიღების შედეგად წარმოშობილი უფლებები

მხოლოდ ერთიანი ვიზის ან შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის ფლობა პირს ქვეყანაში ავტომატურად შესვლის უფლებას არ ანიჭებს.

მუხლი 31

სხვა წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების ინფორმირება

1. ნებისმიერმა წევრმა სახელმწიფომ შესაძლოა მოითხოვოს, რომ მისი ცენტრალური ორგანოები ინფორმირებული იყვნენ იმ ვიზების შესახებ, რომელთაც სხვა წევრი სახელმწიფოების საკონსულოები გასცემენ ცალკეული მესამე ქვეყნების მოქალაქეებზე, ან ამ მოქალაქეების გარკვეულ კატეგორიებზე, გარდა აეროპორტის ტრანზიტული ვიზებისა.
2. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა შეატყობინონ ასეთი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევების ან გაუქმების შესახებ, ვიდრე ის შევა ძალაში. ეს ინფორმაცია ასევე მიწოდებული უნდა იყოს შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში შესაბამისი იურისდიქციისათვის.
3. კომისიამ წევრ სახელმწიფოებს ამგვარი შეტყობინებების მიღების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.
4. სავიზო საინფორმაციო სისტემის რეგულაციის 46-ე მუხლში მითითებული თარიღიდან ინფორმაცია ამ დებულების მე-16(3) მუხლის შესაბამისად უნდა გადაიცეს.

მუხლი 32

ვიზის გაცემაზე უარი

1. 25(1)-ე მუხლის შეუზღუდავად, ვიზა არ გაიცემა:
 - (ა) თუ განმცხადებელ(ი)მა:
 - (i) წარმოადგინა სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ცრუ ინფორმაციას, ყალბი ან ფალსიფიცირებულია.
 - (ii) არ დაასაბუთა საზღვარგარეთ განზრახული ყოფნის მიზანი და პირობები;
 - (iii) არ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ აქვს საკმარისი საარსებო საშუალებები, განკუთვნილ დროის მონაკვეთში საზღვარგარეთ ყოფნისათვის და შემდეგ თავისი წარმოშობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნებისათვის, ან ტრანზიტით გავლისთვის მესამე ქვეყანაში, სადაც დარწმუნებულია, რომ შეუშვებენ, ან ისეთი მდგომარეობა აქვს, რომ შეუძლია ასეთი საშუალებები კანონიერად მოიპოვოს.
- ▼M3**
 - (iv) წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდა 90 დღის განმავლობაში 180-დღიან მიმდინარე პერიოდში ერთიანი ვიზის ან შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის საფუძველზე.
- ▼B**
 - (v) არის პირი, რომელზედაც შენგენის საინფორმაციო სისტემაში შეტანილია გაფრთხილება მისთვის შესვლაზე უარის თქმის შესახებ;

(vi) განმცხადებელი წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფო პოლიტიკის, შიდა უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით, როგორც ეს განსაზღვრულია შენგენის საზღვრების კოდექსის მე-2(19) მუხლით, ან - ნებისმიერი სხვა წევრი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წევრი ქვეყნების ეროვნული მონაცემთა ბაზებში ამავე მიზეზებით მათთვის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის შესახებ გაფრთხილება არ არის შეტანილი; ან

(vii) ვერ წარმოადგენს სათანადო და მოქმედი სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის ქონის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ა6

(ბ) თუ არსებობს გონივრული ეჭვი განმცხადებლის მიერ წარდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის ან მათი შინაარსის ნამდვილობის და განმცხადებლის მიერ გაკეთებული განცხადებების სიზუსტისა და საიმედოობის შესახებ, ან განმცხადებლის წინასწარი განზრახვის შესახებ, ვიზის მოქმედების ამოწურვამდე დატოვოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორია.

2. ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების საფუძვლები განმცხადებელს VI დანართით განსაზღვრული სტანდარტული ფორმის მეშვეობით ეცნობება.

3. განმცხადებელს, რომელსაც უარი ეთქვა ვიზაზე, აქვს გასაჩივრების უფლება. საჩივარი შეტანილ უნდა იქნას იმ წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც მოცემულ სავიზო განაცხადთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. წევრმა სახელმწიფოებმა განმცხადებლებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურების შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია VI დანართით.

4. მე-8(2) მუხლში მითითებულ შემთხვევებში, წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს წარმომდგენი წევრი სახელმწიფოს საკონსულო აცნობებს.

5. სავიზო საინფორმაციო სისტემაში ვიზის გაცემაზე უარის შესახებ ინფორმაცია სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების მე-12 მუხლის შესაბამისად უნდა აისახოს.

თავი V

გაცემული ვიზის შესწორება

მუხლი 33

მოქმედების ვადის გაგრძელება

1. გაცემული ვიზის მოქმედების ვადა ან/და ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს, როდესაც წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო გადაწყვეტს, რომ ვიზის მფლობელმა წარმოადგინა მტკიცებულება ფორს-მაჟორის ან ჰუმანიტარული მიზეზების თაობაზე, რომლებიც მას ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვამდე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვებაში ხელს უშლის. ვადის ასეთი გაგრძელება უფასოდ უნდა განხორციელდეს.

2. გაცემული ვიზის მოქმედების ვადა ან/და ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ ვიზის მფლობელი უზრუნველყოფს მტკიცებულების წარმოდგენას სერიოზული პირადი მიზეზების თაობაზე, რაც ამართლებს ვიზის მოქმედების ან ყოფნის ვადის გაგრძელებას. ვადის ასეთი გაგრძელების მოსაკრებელი იქნება 30 ევრო.

3. თუ სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს უფლებამოსილი ორგანო, რომელიც აგრძელებს ვიზის მოქმედებას, გაგრძელებული ვიზის ტერიტორიული მოქმედება იგივე რჩება, როგორც თავდაპირველ ვიზაში.
4. ორგანო, რომელიც კომპეტენტურია, გააგრძელოს ვიზის მოქმედების ვადა, იმ წევრ სახელმწიფოს უნდა წარმოადგენდეს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მესამე ქვეყნის მოქალაქე ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნის მომენტში.
5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას იმ ორგანოების შესახებ, რომლებიც კომპეტენტურნი არიან ვიზის მოქმედების ვადა გააგრძელონ.
6. ვიზის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ხდება ჩაკრული ვიზის სახით.
7. ვიზის მოქმედების ვადის გახანგრძლივების შესახებ ინფორმაცია სავიზო საინფორმაციო სისტემაში სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ რეგულაციის მე-14 მუხლის შესაბამისად უნდა აისახოს.

მუხლი 34

გაბათილება და გაუქმება

1. ვიზა გაბათილდება იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ვიზის გაცემის დროს ვიზის გაცემის პირობები არ იქნა დაკმაყოფილებული. კერძოდ, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ვიზა თაღლითობის გზით იქნა მოპოვებული. ძირითადად, ვიზას აბათილებს წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო, რომელმაც გასცა ვიზა. ვიზის გაბათილების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სხვა წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმაც და ასეთ შემთხვევაში, ვიზის გამცემ წევრი სახელმწიფოს ორგანოს ვიზის ბათილად ცნობის შესახებ უნდა ეცნობოს.
2. ვიზა უნდა გაუქმდეს მაშინ, როდესაც ცხადი გახდება, რომ მისი გაცემის პირობები აღარ სრულდება. ძირითადად ვიზას აუქმებს წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო, რომელმაც გასცა ვიზა. ვიზის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სხვა წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურმა და ასეთ შემთხვევაში, ვიზის გამცემ წევრი სახელმწიფოს ორგანოს ვიზის გაუქმების შესახებ უნდა ეცნობოს.
3. ვიზა შესაძლოა გაუქმდეს მისი მფლობელის თხოვნით. ვიზის გამცემი წევრი სახელმწიფოების ორგანოები ასეთი გაუქმების შესახებ ინფორმირებული უნდა იყვნენ.
4. თუ ვიზის მფლობელი საზღვარზე ვერ წარმოადგენს მე-14(3) მუხლში მითითებულ ერთ ან მეტ დამადასტურებელ დოკუმენტს, ეს ავტომატურად არ განაპირობებს ვიზის გაბათილების, ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.
5. ვიზის გაბათილების ან გაუქმების შემთხვევაში, მასზე დაიტანება ბეჭედი აღნიშნით „გაბათილებულია“ ან „გაუქმებულია“ და ვიზის ბლანკის ოპტიკურად ცვალებადი ნიშანი, ასევე დამცავი ნიშანი „ფარული გამოსახულების ეფექტი“ და სიტყვა „ვიზა“ გაუქმდება მათი გადახაზვის გზით.
6. ვიზის გაბათილების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, ისევე როგორც ამ გადაწყვეტილების მიზეზები, განმცხადებელს VI დანართით განსაზღვრული სტანდარტული ფორმის მეშვეობით უნდა ეცნობოს.

7. ვიზის მფლობელს, ვისი ვიზაც გაბათილდა ან გაუქმდა, უფლება აქვს, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მისი თხოვნით, მე-3 პუნქტის შესაბამისად გაუქმდა. საჩივარი შეტანილი უნდა იქნას გაბათილების, ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები წვერი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მოცემული წვერი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. წვერმა სახელმწიფოებმა გასაჩივრების შემთხვევაში განმცხადებლებს ინფორმაცია უნდა მიაწოდონ გასაჩივრების პროცედურების შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია VI დანართში.

8. ინფორმაცია ვიზის გაბათილების ან გაუქმების შესახებ სავიზო საინფორმაციო სისტემაში სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ რეგულაციის მე-13 მუხლის შესაბამისად უნდა აისახოს.

თავი VI

გარე საზღვართან გაცემული ვიზები

მუხლი 35

გარე საზღვართან ვიზის მიღებაზე განაცხადის გაკეთება

1. გამონაკლის შემთხვევაში, ვიზა შეიძლება გაიცეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში, თუ დაკმაყოფილებული იქნება შემდეგი პირობები:
 - (ა) განმცხადებელი აკმაყოფილებს შენგენის კოდექსის მე-5 მუხლის (1) პუნქტის (ა)-(გ), (დ) და (ე) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირობებს;
 - (ბ) განმცხადებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, წინასწარ გაეკეთებინა განაცხადი ვიზაზე და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგენს ყველა დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს სახელმწიფოში შესვლის წინასწარ განუჭვრეტად და გადაუდებელ მიზეზებს.
 - (გ) განმცხადებლის დაბრუნება თავის წარმოშობის ქვეყანაში, მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში, ან ტრანზიტით გავლა წვერი სახელმწიფოების გარდა სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც სრულად ახორციელებენ შენგენის კანონმდებლობას, შეფასებულია, რომ ნამდვილად მოხდება.
 2. როდესაც ვიზის მიღებაზე განაცხადი კეთდება გარე საზღვართან, სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის შესახებ მოთხოვნა შესაძლოა გაუქმდეს, როდესაც ამგვარი სამედიცინო დაზღვევის მიღება სასაზღვრო პუნქტში ან პუმიანტარული მიზეზების გამო შეუძლებელია.
 3. გარე საზღვართან უნდა გაიცეს ერთიანი ვიზა, რაც მის მფლობელს მაქსიმუმ 15 დღით ყოფნის უფლებას მისცემს საზღვარგარეთ განზრახული ყოფნის მიზნისა და პირობების გათვალისწინებით. ტრანზიტით გავლის შემთხვევაში, ნებადართული ყოფნის ვადა მოცემულ შემთხვევაში ტრანზიტით გავლისათვის საჭირო დროს უნდა შეესაბამებოდეს.
 4. იმ შემთხვევაში, თუ შენგენის კოდექსის მე-5 მუხლის (1) პუნქტის (ა)-(გ), (დ) და (ე) ქვეპუნქტების პირობები არ არის დაკმაყოფილებული, საზღვარზე ვიზის გაცემაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა შესაძლოა გასცენ შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზა, წინამდებარე დებულების 25(1)-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ ვიზის გამცემი წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესასვლელად.
 5. მესამე ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც შედიან პირთა იმ კატეგორიაში, ვისთვის ვიზის გაცემაზე საჭიროებს წინასწარ კონსულტაციებს, 22-ე მუხლის შესაბამისად, ვიზა გარე საზღვართან არ უნდა გაიცეს.
- მიუხედავად ამისა, გამონაკლის შემთხვევაში, ასეთ პირებზე დასაშვებია შეზღუდული ტერიტორიული ვიზის გაცემა, გარე საზღვართან 25(1)(ა) მუხლის შესაბამისად.

6. 32(1)-ე მუხლით განსაზღვრული იმ მიზეზების გარდა, რომელთა საფუძველზეც არ გაიცემა ვიზა, ვიზა არ უნდა გაიცეს საზღვრის გადაკვეთის პუნქტთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 1(ბ) პუნქტში მითითებული პირობები არ არის დაკმაყოფილებული.

7. ვიზის გაცემაზე უარის თქმის დასაბუთებისა და უარის თქმის შემთხვევაში, შეტყობინების შესახებ მოქმედებს 32(3)-ე მუხლითა და VI დანართით განსაზღვრული დებულებები.

მუხლი 36

მეზღვაურებისთვის გარე საზღვართან ტრანზიტით გავლისას გაცემული ვიზები

1. მეზღვაურზე, რომელსაც წვერი სახელმწიფოების გარე საზღვრების გადაკვეთისას ვიზის ფლობა მოეთხოვება, შესაძლოა გაიცეს ვიზა საზღვარზე ტრანზიტით გავლის მიზნით, როდესაც:

(ა) ის აკმაყოფილებს 35(1)-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს; და

(ბ) ის გადაკვეთს საზღვარს, ვინაიდან ჩამოვიდა, ან უნდა ავიდეს, ან განმეორებით ავიდეს გემზე, რომელზეც მან უნდა იმუშაოს ან მუშაობს მეზღვაურად.

2. საზღვართან მეზღვაურზე ვიზის გაცემაზე, კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა უნდა დაიცვან IX დანართის 1 ნაწილით გათვალისწინებული წესები და დარწმუნდნენ, რომ მოცემული მეზღვაურის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია გაცვლილ იქნა სათანადოდ შევსებული ტრანზიტით მყოფი მეზღვაურებისათვის განკუთვნილი ფორმის მეშვეობით, როგორც ამას ითვალისწინებს IX დანართის მე-2 ნაწილი.

3. ეს მუხლი უნდა შესრულდეს 35-ე მუხლის (3),(4) და (5) პუნქტების დარღვევის გარეშე.

კარი IV

ადმინისტრაციული მართვა და ორგანიზება

მუხლი 37

სავიზო განყოფილებების ორგანიზება

1. წვერი სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან თავიანთი საკონსულოების სავიზო განყოფილებების ორგანიზებაზე.

ყურადღების დონის შესუსტების თავიდან ასაცილებლად და ადგილობრივ დონეზე პერსონალის ზეწოლისაგან დაცვისათვის, სადაც შესაძლებელია, შემოღებულ უნდა იქნას იმ პერსონალის მორიგეობის გრაფიკები, რომელთაც განმცხადებლებთან პირდაპირი ურთიერთობა აქვთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოს ცხად სტრუქტურირებას და პასუხისმგებლობების განაწილებას/დაყოფას განაცხადებზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით. სავიზო საინფორმაციო სისტემასა და შენგენის საინფორმაციო სისტემაში არსებულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე დაშვება უნდა ჰქონდეს მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილი პერსონალის შეზღუდულ რაოდენობას. ამგვარ მონაცემთა ბაზებზე არაუფლებამოსილი წვდომის თავიდან ასაცილებლად მიღებული უნდა იყოს სათანადო ზომები.

2. სავიზო ბლანკების შენახვა სავიზო ბლანკების და დამუშავება უნდა დაექვემდებაროს უსაფრთხოების ზომებს, რათა თავიდან იქნას აცილებული თაღლითობა ან დანაკლისი. თითოეული საკონსულო ვალდებულია, აწარმოოს თავისი სავიზო ბლანკების მარაგების აღრიცხვა და რეგისტრაციაში გაატაროს თითოეული გამოყენებული სავიზო ბლანკი.

3. წვერი სახელმწიფოების საკონსულოები ვალდებული არიან, აწარმოონ განაცხადების არქივი. თითოეული საქმე უნდა შეიცავდეს განაცხადის ფორმას, თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, განხორციელებული შემოწმებების შესახებ ჩანაწერებსა და გაცემული ვიზის ნომერს, რათა საჭიროების შემთხვევაში, პერსონალმა შეძლოს იმ მონაცემების აღდგენა, რომლის საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება.

განაცხადების შესახებ შედგენილი ინდივიდუალური საქმეები შენახული უნდა იყოს მინიმუმ ორი წლის განმავლობაში განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან 23 (1)-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 38

განაცხადების განხილვისა და საკონსულოების მონიტორინგის რესურსები

1. საზოგადოებისთვის გონივრული და ჰარმონიზებული ხარისხის მომსახურების მიწოდების მიზნით, წვერმა სახელმწიფოებმა განაცხადების განხილვასთან დაკავშირებული ამოცანების განსახორციელებლად საკმარისი რაოდენობის შესაბამისი პერსონალი უნდა გაანაწილონ.
2. შენობები შესაბამის ფუნქციურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს და უსაფრთხოების სათანადო ზომების მიღების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.
3. წვერი სახელმწიფოების ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი პერსონალის სათანადო გადამზადება და მათთვის ევროგაერთიანებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესახებ სრული, ზუსტი და განახლებული ინფორმაციის მიწოდება.
4. წვერი სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ განაცხადების შემოწმების ხშირი და სათანადო მონიტორინგი და გაატარონ გამოსასწორებელი ღონისძიებები წინამდებარე რეგულაციით გათვალისწინებული დებულებებიდან გადახვევის გამოვლენის შემთხვევაში.

მუხლი 39

პერსონალის ქცევის წესი

1. წვერი სახელმწიფოების საკონსულოებმა უნდა უზრუნველყონ განმცხადებლების თავაზიანად მიღება.
2. მოვალეობების შესრულებისას, საკონსულოს პერსონალმა პატივი უნდა სცეს ადამიანის ღირსებას. ნებისმიერი გატარებული ღონისძიება იმ ამოცანების პროპორციული უნდა იყოს, რომელთა მიღწევასაც ეს ღონისძიებები ისახავს მიზნად.
3. ამოცანების შესრულებისას, საკონსულოს პერსონალმა არ უნდა დაუშვას დისკრიმინაცია სქესის, რასის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის ან რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

მუხლი 40

თანამშრომლობის ფორმები

1. განაცხადის განხილვისათვის საჭირო პროცედურების ორგანიზებაზე პასუხისმგებელია ყოველი წვერი სახელმწიფო. ძირითადად, განაცხადი წვერი სახელმწიფოს საკონსულოს უნდა მიეწოდოს.
2. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) აღჭურვილ საკონსულტაციო და საზღვართან ვიზის გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანოები, ასევე საპატიო კონსულების ოფისები, როდესაც სარგებლობენ მათი მომსახურებით, ბიომეტრიული იდენტიფიკატორების აღებისათვის საჭირო მასალით, რათა ბიომეტრიული იდენტიფიკატორები 42-ე მუხლის შესაბამისად შეაგროვონ; და/ან

(ბ) ითანამშრომლოს ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოსთან შენგენის თანამშრომლობის ფარგლებში ან სხვა შესაბამისი კონტაქტების საფუძველზე, შეზღუდული წარმომადგენლობის, საერთო მდებარეობის ან განაცხადების საერთო ცენტრის ფორმით, 41-ე მუხლის თანახმად.

3. განსაკუთრებული ვითარების ან ადგილობრივ სიტუაციასთან დაკავშირებულ მიზეზების გამო, მაგალითად, როდესაც:

(ა) დიდი რაოდენობის განაცხადების არსებობის გამო, განაცხადების დროულად და ღირსეულ პირობებში მიღება შეუძლებელია; ან

(ბ) მესამე ქვეყნის გარკვეული ტერიტორიის სათანადოდ დაფარვა რაიმე სხვა გზით შეუძლებელია; და როდესაც მე-2(ბ) პუნქტით განსაზღვრული თანამშრომლობის ფორმა არ აღმოჩნდება მართებული მოცემული წევრი სახელმწიფოსათვის, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში, ითანამშრომლოს მომსახურების გარე მომწოდებლის მომსახურებით, 43-ე მუხლის შესაბამისად.

4. მე-21(8) მუხლით გათვალისწინებული უფლების შეუზღუდავად, რომელიც განმცხადებლის გასაუბრებაზე გამოძახებას ითვალისწინებს, ორგანიზების ამა თუ იმ ფორმის შერჩევის გამო განმცხადებელს ერთზე მეტ ადგილას გამოცხადება განაცხადის შეტანისათვის არ უნდა მოეთხოვოს.

5. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, აცნობონ კომისიას, თუ როგორ აპირებენ ისინი განაცხადებებთან დაკავშირებული პროცედურების ორგანიზებას თითოეულ საკონსულოში.

მუხლი 41

წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა

1. როდესაც აირჩევა „საერთო მდებარეობა“, ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოს საკონსულოს თანამშრომლებმა უნდა განახორციელონ იმ განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურები (მათ შორის, ბიომეტრიული იდენტიფიკატორების აღება), რომელთა ადრესატებიც ისინი არიან სხვა წევრი სახელმწიფოს საკონსულოში და გამოიყენონ ამ სახელმწიფოს ტექნიკური აღჭურვილობა. მოცემული წევრი სახელმწიფოები უნდა შეთანხმდნენ საერთო მდებარეობის ხანგრძლივობისა და შეწყვეტის პირობების შესახებ, ასევე სავიზო მოსაკრებელის პროპორციულ წილზე, რომელიც იმ წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს, რომლის საკონსულოც არის გამოყენებული.

2. როდესაც იქმნება „განაცხადების საერთო ცენტრები“, ორი ან მეტი წევრი სახელმწიფოს საკონსულოების პერსონალი ერთ შენობაში მუშაობს, რათა განმცხადებლებმა განაცხადები (ბიომეტრიული იდენტიფიკატორების ჩათვლით) შეიტანონ. ვიზის მიღების მსურველები გადამისამართდებიან იმ წევრ სახელმწიფოზე, რომელიც კომპეტენტურია, განიხილოს და წარმოდგენილ განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს. წევრი სახელმწიფოები უნდა შეთანხმდნენ ამგვარი თანამშრომლობის ხანგრძლივობისა და შეწყვეტის პირობების, ასევე, მონაწილე წევრ სახელმწიფოებს შორის ხარჯების განაწილების შესახებ. ერთ-ერთი სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა იყოს ლოგისტიკისასთან დაკავშირებულ კონტრაქტებსა და მასპინძელ ქვეყანასთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

3. სხვა წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შეწყვეტისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სრული მომსახურების უწყვეტობა.

მუხლი 42

საპატიო კონსულისადმი მიმართვა

1. საპატიო კონსულს შეუძლია შეასრულოს 43(6)-ე მუხლით განსაზღვრული რამდენიმე ან ყველა მოვალეობა. უსაფრთხოებასთან და მონაცემთა დაცვასთან მიმართებით მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები.
2. როდესაც საპატიო კონსული არ არის წევრი სახელმწიფოს საჯარო მოხელე, ამოცანების შესრულება უნდა შეესაბამებოდეს X დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებს, იმ დებულებების გამოკლებით, რომლებიც ამ დანართის დ(გ) პუნქტშია მოცემული.
3. როდესაც საპატიო კონსული წევრი სახელმწიფოს საჯარო მოხელეა, მოცემული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს გამოყენებული მოთხოვნების იმ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რომლებიც გავრცელდებოდა იმ შემთხვევებში, თუ ამოცანებს მისი საკონსულო განახორციელებდა.

მუხლი 43

თანამშრომლობა მომსახურების გარე მომწოდებლებთან

1. წევრი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, მომსახურების გარე მომწოდებლებთან ერთ ან რამდენიმე სხვა წევრ სახელმწიფოსთან ერთად ითანამშრომლონ, ისე, რომ არ შეიზღუდოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების წესები.
2. მომსახურების გარე მიმწოდებელთან თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც X დანართით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი იქნება.
3. წევრმა სახელმწიფოებმა შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში უნდა გაცვალონ ინფორმაცია მომსახურების გარე მომწოდებლების შერჩევისა და შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების პირობების შემოღების შესახებ.
4. განაცხადების, გასაუბრებების (შესაბამის შემთხვევებში) განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება განაცხადების თაობაზე და სავიზო ბლანკის ამობეჭდვასა და დატანაზე ხორციელდება მხოლოდ საკონსულოში.
5. მომსახურების გარე მომწოდებლებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეთ წვდომა სავიზო საინფორმაციო სისტემაზე. სავიზო საინფორმაციო სისტემაზე წვდომა ექსკლუზიურად მხოლოდ საკონსულოს უფლებამოსილ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ.
6. მომსახურების გარე მომწოდებელს, შესაძლოა, დაეკისროს ერთი ან რამდენიმე შემდეგი ამოცანის შესრულება:
 - (ა) ვიზის მოთხოვნებისა და განაცხადის ფორმების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება;
 - (ბ) განმცხადებლის ინფორმირება მოთხოვნილი დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ საკონტროლო ჩამონათვალის მიხედვით;
 - (გ) მონაცემებისა და განაცხადების შეგროვება (მათ შორის, ბიომეტრიული იდენტიფიკატორები) და საკონსულოში გადაცემა;

(დ) საეიზო მოსაკრებლის შეგროვება;

(ე) საკონსულოში ან გარე მომსახურების მომწოდებელთან პირადად გამოცხადების მიზნით შეხვედრების ორგანიზება;

(ვ) საკონსულოდან სამგზავრო დოკუმენტების შეგროვება, შესაბამის შემთხვევებში, განმცხადებლისათვის ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებების დართვით, და მათი განმცხადებლისათვის დაბრუნება.

7. მომსახურების გარე მომწოდებლის შერჩევისას, შესაბამისი წევრი სახელმწიფო(ები) ამოწმებს კომპანიის გადახდისუნარიანობასა და საიმედოობას, მათ შორის საჭირო ლიცენზიებს, კომერციულ რეგისტრაციას, კომპანიის წესდებებსა და საბანკო ხელშეკრულებებს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

8. შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ შერჩეული მომსახურების გარე მომწოდებელმა მე-2 პუნქტში მითითებული სამართლებრივი დოკუმენტით განსაზღვრული პირობები შეასრულოს.

9. წევრი სახელმწიფო(ები) ინარჩუნებენ პასუხისმგებლობას მონაცემების დამუშავებისას მონაცემთა დაცვის წესების დაცვაზე და მათზე ზედამხედველობა 95/46/EC დირექტივის 28-ე მუხლის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

მომსახურების გარე მომწოდებელთან თანამშრომლობა არ უნდა ზღუდავდეს ან გამორიცხავდეს წევრი სახელმწიფო(ები)ს რაიმე სახის პასუხისმგებლობას, რომელიც განმცხადებლების პირადი მონაცემების დამუშავებისას ან მე-6 პუნქტში მითითებული ერთი ან რამდენიმე ამოცანის შესრულებისას მათ მიერ არსებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის წარმოიქმნება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ნორმა არ ზღუდავს არანაირ ქმედებას, რომელიც შესაძლოა პირდაპირ განხორციელდეს მომსახურების გარე მომწოდებლის წინააღმდეგ, შესაბამისი მესამე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

10. შესაბამისი წევრი სახელმწიფო(ები) ვალდებულია, უზრუნველყოს მომსახურების გარე მომწოდებლის გადამზადება და საჭირო ცოდნითა და საკმარისი ინფორმაციით აღჭურვა იმისათვის, რომ მან განმცხადებლებს შესაბამისი და საკმარისი მომსახურება შესთავაზოს.

11. შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა) მჭიდრო მონიტორინგი უნდა განახორციელონ მე-2 პუნქტში მითითებული სამართლებრივი ინსტრუმენტების განხორციელებაზე, მათ შორის შემდეგზე:

(ა) მომსახურების გარე მომწოდებლის მიერ განმცხადებლებისათვის ვიზის მოთხოვნების და განაცხადის ფორმების შესახებ მიწოდებული ზოგადი ინფორმაცია;

(ბ) ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომა, რომელიც მოითხოვება პერსონალური მონაცემების დასაცავად მათი შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, ან შემთხვევითი დაკარგვის, შეცვლის, არასანქცირირებული გაცხადების ან ხელმისაწვდომობისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანამშრომლობა გულისხმობს დოკუმენტებისა და მონაცემების გადაგზავნას შესაბამისი წევრი სახელმწიფო(ები)ს საკონსულოში, ასევე მონაცემთა დამუშავების სხვა არაკანონიერი ფორმებისაგან;

(გ) ბიომეტრიული იდენტიფიკატორების შეგროვება და გადაცემა;

(დ) მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად გატარებული ზომები.

ამ მიზნით შესაბამისი წევრი სახელმწიფო(ები)ს საკონსულო(ები) მომსახურების გარე მომწოდებლის შენობა-ნაგებობებში რეგულარულ ადგილზე შემოწმებას აწარმოებს.

12. გარე მომსახურების მომწოდებელთან თანამშრომლობის შეწყვეტისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სრული მომსახურების უწყვეტობა.

13. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა მიაწოდონ სამართლებრივი დოკუმენტის ასლი, რომელიც მე-2 პუნქტშია ნახსენები.

მუხლი 44

მონაცემთა გადაცემის უსაფრთხოება და დაშიფვრა

1. იმ შემთხვევაში, თუ წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს შეთანხმებები წარმომადგენლობაზე, წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობა მომსახურების გარე მომწოდებლებთან და საპატიო კონსულებისადმი მიმართვის შესაძლებლობა, წარმოდგენილმა წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა) ან შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა) უნდა უზრუნველყონ წარმომდგენი წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მონაცემების სრულად დაშიფვრა მათი ელექტრონული სახით ან ფიზიკურად, ელექტრონული მატარებლის საშუალებით გადაცემის შემთხვევაში, წარმოდგენილი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) უფლებამოსილი ორგანოებისათვის, ან როდესაც მომსახურების გარე მიმწოდებლის, ან საპატიო კონსულის მიერ გადაცემა შესაბამისი წევრი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) უფლებამოსილ ორგანოებს.

2. მესამე ქვეყნებში, სადაც იკრძალება წარმომდგენი წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ ელექტრონულად გადასაცემა მონაცემების დაშიფვრა წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) უფლებამოსილი ორგანოებისათვის, ან - მომსახურების გარე მიმწოდებლის, ან საპატიო კონსულის მიერ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) უფლებამოსილი ორგანოებისათვის გადასაცემა მონაცემების დაშიფვრა, წარმოდგენილმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა), ან შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა) მონაცემების ელექტრონულად გადაცემის ნება არ უნდა დართონ წარმომდგენ წევრ სახელმწიფოს, ან მომსახურების გარე მიმწოდებელს, ან საპატიო კონსულს.

ამ შემთხვევაში, წარმოდგენილმა წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა), ან შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ (სახელმწიფოებმა) უნდა უზრუნველყოს მონაცემების სრულად დაშიფვრული ფორმით, ელექტრონული მონაცემების მატარებლის საშუალებით გადაცემა წარმომდგენი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოებიდან წამოდგენილი წევრი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) უფლებამოსილი ორგანოებისათვის, მომსახურების გარე მიმწოდებლისთვის ან საპატიო კონსულის მიერ შესაბამისი წევრი სახელმწიფოსათვის (სახელმწიფოებისათვის) წევრი სახელმწიფოს საკონსულოს თანამშრომლის ან, როდესაც მონაცემების ამგვარი გადაცემა მოითხოვს არაპროპორციული ან გაუმართლებელი ღონისძიებების გატარებას, მათი გადაცემა უნდა განხორციელდეს სხვა უსაფრთხო და დაცული გზით, მაგალითად, განსაკუთრებული კატეგორიის დოკუმენტებისა და მონაცემების შესაბამის მესამე ქვეყანაში გადატანა გამოცდილი ოპერატორების მეშვეობით.

3. ყველა შემთხვევაში, მონაცემების გადატანის უსაფრთხოების დონე უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა განსაკუთრებულ კატეგორიას.

4. წევრი სახელმწიფოები ან გაერთიანება შესაბამის მესამე ქვეყნებთან შეთანხმების მიღწევას უნდა ცდილობდნენ, რათა მოიხსნას იმ მონაცემების დაშიფვრის აკრძალვა, რომელიც ელექტრონული სახით უნდა გადასცენ წარმომდგენი სახელმწიფოს უფლებამოსილმა ორგანოებმა წარმოდგენილ წევრ სახელმწიფოს (სახელმწიფოებს), ან - მომსახურების გარეშე მომწოდებელმა ან

საპატიო კონსულმა - შესაბამისი წვერი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) უფლებამოსილ ორგანოებს.

მუხლი 45

წვერი სახელმწიფოების თანამშრომლობა კომერციულ შუამავლებთან

1. განაცხადების მიღებისას, ბიომეტრული იდენტიფიკატორების შეგროვების გამოკლებით, წვერი სახელმწიფოებს შეუძლიათ, ისარგებლონ კომერციული შუამავლების მომსახურებით .

2. ასეთი თანამშრომლობა დაფუძნებული უნდა იყოს წვერი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ აკრედიტაციაზე. აკრედიტაცია, განსაკუთრებით, უნდა ეფუძნებოდეს შემდეგი ასპექტების გადამოწმებას:

(ა) კომერციული შუამავლის მიმდინარე სტატუსი: მოქმედი ლიცენზია, კომერციული რეგისტრაცია, კონტრაქტები ბანკებთან;

(ბ) წვერი სახელმწიფოებში დაფუძნებულ კომერციულ პარტნიორებთან არსებული ხელშეკრულებები, რომლებიც სთავაზობენ საცხოვრებელით უზრუნველყოფასა და ტურისტული პაკეტებით გათვალისწინებულ სხვა მომსახურებებს;

(გ) ხელშეკრულებები სატრანსპორტო კომპანიებთან, რომლებიც დანიშნულების პუნქტამდე ჩაყვანასა და უკან დაბრუნებას ითვალისწინებს.

3. აკრედიტირებული კომერციული შუამავლების მიმართ რეგულარული შერჩევითი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს, რაც მოიცავს განმცხადებლების პირად ან სატელეფონო გამოკითხვას, მგზავრობისა და განთავსების გადამოწმებას, გადამოწმებას სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა სათანადოა თუ არა და მოიცავს თუ არა თითოეულ ტურისტს ინდივიდუალურად და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის დაბრუნებასთან დაკავშირებული დოკუმენტების გადამოწმებას.

4. შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში, აკრედიტებული კომერციული შუამავლების მუშაობის შესახებ უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცვლა, რომელიც ეხება აღმოჩენილ დარღვევებსა და კომერციული შუამავლების მიერ წარმოდგენილ განაცხადებზე უარის გაცემას, სამგზაურო დოკუმენტების გაყალბების სხვადასხვა ფორმების აღმოჩენასა და დაგეგმილი მოგზაურობის განუხორციელებლობას.

5. შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში უნდა მოხდეს ყველა იმ კომერციული შუამავლის სიების გაცვლა, რომელთათვისაც მოხდა თითოეული საკონსულოს მიერ აკრედიტაციის გაცემა და რომელთაც ჩამოერთვათ აკრედიტაცია, იმ მიზეზების მითითებით, რაც გაუქმების შესახებ ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაედო საფუძველად.

თითოეულმა საკონსულომ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოებას პქონდეს ინფორმაცია იმ აკრედიტებული კომერციული შუამავლების ჩამონათვალის შესახებ, რომელთანაც ის თანამშრომლობს.

მუხლი 46

სტატისტიკის შედგენა

წვერმა სახელმწიფოებმა ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემები ვიზების შესახებ XII დანართში მოცემული ცხრილის შესაბამისად უნდა შეადგინონ. წინა კალენდარული წლის სტატისტიკური მონაცემები წარდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 1 მარტისა.

მუხლი 47

ინფორმაცია ფართო საზოგადოებისათვის

1. წვერი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოები და საკონსულოებო უზრუნველყოფენ ფართო საზოგადოებისათვის ვიზის განაცხადის შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის მიწოდებას, კერძოდ:

(ა) ვიზის განაცხადის შეტანის კრიტერიუმები, პირობები და პროცედურები;

(ბ) საჭიროების შემთხვევაში, გასაუბრების დანიშვნის პროცედურები;

(გ) განაცხადის წარდგენის ადგილი (კომპეტენტური საკონსულო, განაცხადების საერთო ცენტრის ან მომსახურების გარე მიმწოდებელი);

(დ) აკრედიტებული კომერციული შუამავლები;

(ე) ფაქტი, რომ შტამპს, რომელიც განხილულია მე-20 მუხლში, არ აქვს იურიდიული შედეგები;

(ვ) განაცხადის განხილვისათვის განსაზღვრული ვადები, რომელიც მოცემულია 23-ე მუხლის (1), (2) და (3) პუნქტებში;

(ზ) მესამე ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც ან მოქალაქეთა კატეგორიები, რომლებიც წინასწარ კონსულტაციებს ან ინფორმაციას ექვემდებარება.

(თ) უარყოფითი გადაწყვეტილებისას, განმცხადებელს უნდა ეცნობოს უარისა და იმ მიზეზების შესახებ, რომელთა საფუძველზეც მიღებული იყო გადაწყვეტილება. მას ასევე უნდა ეცნობოს, რომ აქვს გასაჩივრების უფლება და მიეწოდოს ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურებისა და ღონისძიებების, კომპეტენტური ორგანოსა და გასაჩივრების დროის ლიმიტის შესახებ.

(ი) მხოლოდ ვიზის მფლობელობა არ ნიშნავს ქვეყანაში შესვლის უფლებას, ვიზის მფლობელმა უნდა წარადგინოს მტკიცებულება, რომ ასრულებს გარე საზღვრის გადაკვეთის ყველა პირობას, როგორც ეს განსაზღვრულია შენგენის საზღვრების კოდექსის მე-5 მუხლით.

2. წარმომადგენელმა და წარმოდგენილმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებას ასეთი წარმომადგენლობითი შეთანხმების შესახებ, ვიდრე ეს შეთანხმება შევა ძალაში, როგორც ეს მოცემულია მე-8 მუხლით.

კარი V

შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობა

მუხლი 48

შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობა წვერი სახელმწიფოების საკონსულოებს შორის

1. ჰარმონიზებული საერთო სავიზო პოლიტიკის გამოყენების მიზნით, რომელიც, შესაბამის შემთხვევაში, გაითვალისწინებს ადგილობრივ გარემოებებს, წვერი სახელმწიფოების საკონსულოებმა და კომისიამ უნდა ითანამშრომლონ თითოეულ იურისდიქციაში და შეაფასონ შემდეგი საჭიროებები:

(ა) დამადასტურებელი დოკუმენტების ჰარმონიზებული სია, რომელიც განმცხადებელმა II დანართისა და მე-14 მუხლის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს;

(ბ) განაცხადების განხილვის საერთო კრიტერიუმები ვიზის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით მე-16(5) პუნქტის შესაბამისად და განაცხადის ფორმის გადათარგმნის საკითხებთან დაკავშირებით მე-11(5) პუნქტის შესაბამისად;

(გ) მასპინძელი ქვეყნის მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც რეგულარულად უნდა განახლდეს.

იმ შემთხვევაში, თუ (ა)-(გ) პუნქტებიდან ერთ ან მეტ პუნქტთან დაკავშირებით შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული შეფასებით დასტურდება, რომ საჭიროა ადგილობრივი პარმონიზებული მიდგომა, ამგვარი მიდგომის ზომები 52(2)-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად უნდა იქნას მიღებული.

2. შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდება საერთო საინფორმაციო ფურცელი ერთიანი ვიზების, შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზებისა და აეროპორტის ტრანზიტული ვიზების შესახებ, სახელდობრ, იმ უფლებების შესახებ, რომელთაც ვიზა იძლევა და ვიზის მისაღებად განაცხადების შეტანის პირობების შესახებ, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, 1(ა) პუნქტში მითითებული დამადასტურებელი დოკუმენტების სიის შესახებ.

3. შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში უნდა მოხდეს შემდეგი სახის ინფორმაციის გაცემა:

(ა) ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემები გაცემული ერთიანი ვიზების, შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზების, აეროპორტის ტრანზიტული ვიზებისა და ვიზის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევების რაოდენობის შესახებ;

(ბ) მიგრაციული ან/და უსაფრთხოების რისკების შეფასებასთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია:

(i) მასპინძელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა;

(ii) ინფორმაციის წყაროები ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაზღვევა, ფინანსური რეესტრები და შესვლა-გასვლის რეგისტრაცია;

(iii) ცრუ ინფორმაციის შემცველი, ყალბი ან ფალსიფიცირებული დოკუმენტები;

(iv) არალეგალური იმიგრაციის მარშრუტები;

(v) ვიზის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები;

(გ) ინფორმაცია სატრანსპორტო კომპანიებთან თანამშრომლობის შესახებ;

(დ) ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული სამოგზაურო დაზღვევის სათანადოობის შესახებ, მათ შორის, დაზღვევის დაფარვის ტიპისა და შესაძლო ჭარბი ოდენობის შემოწმება.

4. ოპერატიული საკითხებისა და საერთო სავიზო პოლიტიკასთან დაკავშირებით, წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას შორის შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში რეგულარული შეხვედრები უნდა ჩატარდეს. ამ სხდომებს კომისია მოიწვევს მისი იურისდიქციის ფარგლებში, თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული კომისიის თხოვნით.

შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში, შეიძლება ჩატარდეს შეხვედრები ერთი თემის გარშემო და შეიქმნას ქვე-ჯგუფები კონკრეტული საკითხის განსახილველად.

5. შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობის შეხვედრების შესახებ ანგარიში სისტემატურად უნდა შედგეს და ადგილობრივ დონეზე გავრცელდეს. ანგარიშის შედგენის მოვალეობა კომისიამ შეიძლება რომელიმე წევრ სახელმწიფოს გადასცეს. თითოეული წევრი სახელმწიფოს საკონსულოები აღნიშნულ ანგარიშებს თავიანთ ცენტრალურ ორგანოებს გადაუგზავნიან.

ამ ანგარიშებზე დაყრდნობით, კომისია თითოეული იურისდიქციის ფარგლებში ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება ევროპარლამენტსა და საბჭოს.

6. იმ წევრი სახელმწიფოების საკონსულოების წარმომადგენლები, რომლებიც არ ხელმძღვანელობენ ევროკავშირის კანონმდებლობით ვიზების შესახებ, ან მესამე ქვეყნების

წარმომადგენლები, შესაძლოა, სპეციალურად იყვნენ მოწვეული შეხვედრებზე სავიზო საკითხებზე ინფორმაციის გაცემის მიზნით.

კარი VI

დასკენითი დებულებანი

მუხლი 49

შეთანხმებები ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით

წევრ სახელმწიფოები, რომლებიც მასპინძლობენ ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებს, ვიზების გაცემის გამარტივებისათვის XI დანართში აღწერილი სპეციალური პროცედურებით და პირობებით ხელმძღვანელობენ.

მუხლი 50

დანართის შესწორებები

წინამდებარე რეგულაციის არაარსებითი ელემენტების შეცვლისა და I, II, III, IV, V, VI, VII, VIII და XII დანართებში შესწორებების შეტანის ინსტრუმენტები შემოღებულ უნდა იქნეს არსებული ნორმატიული პროცედურების დაცვით და კონტროლით, 52(3)-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 51

სავიზო კოდექსის პრაქტიკული გამოყენების ინსტრუქცია

ამ რეგულაციის პრაქტიკული გამოყენების ოპერატიული ინსტრუქციები 52(2)-ე მუხელში მითითებული პროცედურის შესაბამისად უნდა შედგეს.

მუხლი 52

კომიტეტის პროცედურები

1. კომისიას მუშაობაში ეხმარება კომიტეტი (სავიზო კომიტეტი).
2. როდესაც მითითება კეთდება ამ პუნქტზე, მოქმედებს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლები, მე-8 მუხლის რეგულაციების გათვალისწინებით, თუ ამ პროცედურის შესაბამისად შემოღებული ზომების განხორციელება არ ცვლის ამ რეგულაციის ძირითად წესებს.

1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 (6) მუხლით გათვალისწინებული პერიოდი სამ თვეს უნდა მოიცავდეს.

3. როდესაც მითითება კეთდება ამ პუნქტზე, მოქმედებს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5ა(1) - (4) და მე-7 მუხლები, მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 53

შეტყობინება

1. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ შემდეგი:
 - (ა) მე-8 მუხელში განხილული წარმომადგენლობის შესახებ შეთანხმებები;
 - (ბ) მესამე ქვეყნების მოქალაქეების შესახებ, რომელთაც ცალკეული წევრი სახელმწიფოების მიერ მოეთხოვებათ აეროპორტის ტრანზიტული ვიზის ქონა მათ ტერიტორიაზე განთავსებული

აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიის ფარგლებში ტრანზიტული გავლის მიზნით, როგორც მითითებულია მე-3 მუხლში.

(გ) შესაბამის შემთხვევაში მოცემული ინდივიდუალური ქვეყნის ფორმა სპონსორობის და/ან კერძო საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის დადასტურებისათვის, 22(1)-ე მუხლის შესაბამისად;

(დ) მესამე ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთაც 22(1)-ე მუხლში მითითებული წინასწარი კონსულტაციის გავლა მოეთხოვებათ;

(ე) მესამე ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა შესახებაც მოითხოვება 31(1)-ე მუხლში მითითებული ინფორმაცია;

(ვ) დამატებითი ეროვნული მასალის მითითება ვიზის ბლანკის 'კომენტარების' ნაწილში, როგორც ეს გათვალისწინებულია 27(2)-ე მუხლით.

(ზ) ვიზის განხილვის დროს უფლებამოსილი ორგანოები, როგორც მითითებულია 33(5)-ე მუხლში;

(თ) არჩეული თანამშრომლობის ფორმების შესახებ, როგორც ეს მითითებულია მე-40 მუხლში;

(ი) სტატისტიკური მონაცემები, რომელიც შეგროვებულია 46-ე მუხლის და XII დანართის და შესაბამისად.

2. 1-ელი პუნქტის შესაბამისად გადაცემული ინფორმაცია კომისიამ წევრი სახელმწიფოებისა და საზოგადოებისათვის რეგულარულად განახლებადი ელექტრონული გამოცემების მეშვეობით უნდა გახადოს ხელმისაწვდომი.

მუხლი 54

(EC) No 767/2008 რეგულაციის შესწორებები

(EC) No 767/2008 რეგულაციაში შევიდეს შემდეგი შესწორებები:

1. მე-4(1) მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(ა) „ა“ პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

(ა) „ერთიანი ვიზა“, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტის და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის რეგულაციის, (EC) No 810/2009, მე-2(3) მუხლით, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანების საზღვო კოდექსის შემოღებას (საზღვო კოდექსი)(²²);

(ბ) გაუქმდეს „ბ“ პუნქტი;

(გ) „გ“ პუნქტი ჩანაცვლდეს:

„(გ) „აეროპორტის ტრანზიტული ვიზა“, როგორც ეს (EC) No 810/2009 რეგულაციის მე-2(5) მუხლით არის განსაზღვრული;

(დ) პუნქტი „დ“ ჩანაცვლდეს შემდეგით:

„შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზა“, როგორც ეს განსაზღვრულია (EC) No 810/2009 რეგულაციის მე-2(4) მუხლით;

(ე) გაუქმდეს „ე“ პუნქტი;

2. მე-8(1) მუხლში სიტყვა 'განაცხადის მიღების თაობაზე' უნდა ჩანაცვლდეს შემდეგით:

„როდესაც განაცხადი მისაღებია (EC) No 810/2009 რეგულაციის მე-19 მუხლის შესაბამისად“;

3. მე-9 მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

(ა) სათაური უნდა შეიცვალოს შემდეგი ტექსტით:

„განაცხადში შესატანი მონაცემები“

(ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(i) ქვეპუნქტი (ა) ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(ა) გვარი (ოჯახის გვარი), გვარი დაბადებისას (ყოფილი გვარ(ებ)ი დაოჯახებამდე), სახელ(ებ)ი (ბოძებული სახელ(ებ)ი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, დაბადების ქვეყანა, სქესი;“

(ii) გაუქმდეს „ე“ ქვეპუნქტი;

(iii) „ზ“ ქვეპუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

(ზ) „წვერი სახელმწიფო(ებ)ის, რომლებიც დანიშნულების ქვეყნებს წარმოადგენს, ტერიტორიაზე ყოფნის ან ტრანზიტის დანიშნულება და ხანგრძლივობა;

(iv) „თ“ ქვეპუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

‘(თ) მოგზაურობის მთავარი მიზანი(ებ)ი;’;

(v) „ი“ ქვეპუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(ი) შენგენის ტერიტორიაზე ჩასვლისა და შენგენის ტერიტორიიდან გამგზავრებისათვის განკუთვნილი თარიღი“;

(vi) „კ“ ქვეპუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(კ) პირველი შესვლის წვერი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე პირველად შედის განმცხადებელი“;

(vii) „ლ“ ქვეპუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(ლ) განმცხადებლის სახლის მისამართი“;

(viii) „მ“ ქვეპუნქტში სიტყვა „სკოლა“ ჩანაცვლდეს სიტყვით „საგანმანათლებლო დაწესებულება“;

(ix) „ნ“ ქვეპუნქტში სიტყვა „დედა და მამა“ შეიცვალოს სიტყვებით „მშობლის უფლებამოსილება, ან მეურვე“.

4. მე-10(1) მუხლს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტი:

„(ლ) შესაბამის შემთხვევაში, მიუთითოს ინფორმაცია, რომ სავიზო ბლანკი შევსებულია ხელით“;

5. მე-11 მუხლის შესავალი პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგი ტექსტით:

„როდესაც ვიზის განხილვის უფლების მქონე ორგანო, რომელიც წარმოადგენს სხვა წევრ სახელმწიფოს, წევრს განაცხადის განხილვას, მან განაცხადის შესახებ შედგენილ საქმეში შემდეგი დამატებითი მონაცემები უნდა შეიტანოს“;

6. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(ა) 1-ელ პუნქტში „ა“ ქვეპუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(ა) ინფორმაცია ვიზის განაცხადის განხილვის შედეგის შესახებ, რომელიც მიუთითებს უარს ვიზის გაცემაზე და განაცხადა თუ არა მოცემულმა ორგანომ უარი სხვა წევრი სახელმწიფოს სახელით“;

(ბ) მე-2 პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

‘2. განაცხადის შესახებ შედგენილ საქმეში ასევე უნდა მიუთითოს უარის მიზეზ(ებ)ი, შემდეგი მიზეზებიდან ერთის ან მეტის მითითებით:

(ა) განმცხადებელმა:

(i) წარმოადგინა სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ცრუ ინფორმაციას, ეალბია ან ფალსიფიცირებული;

(ii) არ წარმოადგინა დარჩენის მიზნის დამამტკიცებელი დოკუმენტი;

(iii) ვერ წარმოადგინა დასაბუთება მოგზაურობის მიზნისა და პირობების შესახებ და ასევე იმის შესახებ, რომ განმცხადებელს აქვს საკმარისი საარსებო საშუალებები, რათა საზღვარგარეთ ყოფნისათვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში იცხოვროს და შემდეგ დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში, ან ტრანზიტით გავლის დროს მესამე ქვეყანაში, სადაც დარწმუნებულია, რომ შეუშვებენ, ან ისეთი მდგომარეობა აქვს, რომ შეუძლია, ასეთი საშუალებები კანონიერად მოიპოვოს.

(iv) მიმდინარე ექვსთვიან პერიოდში სამი თვის განმავლობაში უკვე იმყოფებოდა წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ერთიანი ვიზის ან შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის ფარგლებში;

(v) განმცხადებელი არის პირი, რომლის შესახებაც შენგენის საინფორმაციო სისტემაში შეტანილია გაფრთხილება მისთვის შესვლაზე უარის თქმის შესახებ;

(vi) მიჩნეულია, რომ განმცხადებელი წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფო პოლიტიკის, შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით, როგორც ეს განსაზღვრულია შენგენის საზღვრების კოდექსის მე-2(19) მუხლით, ან - ნებისმიერი სხვა წვერი ქვეყნის საერთაშორისო

ურთიერთობისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაფრთხილება არ არის შეტანილი წვერი ქვეყნების ეროვნული მონაცემთა ბაზის ფარგლებში ამავე მიზეზებით მათთვის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის შესახებ;

(vii) ვერ წარმოადგენს სათანადო და მოქმედი სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის ქონის დამადასტურებელ დოკუმენტს;

(ბ) წარმოდგენილი ინფორმაცია ტერიტორიაზე ყოფნისა და დარჩენის მიზნის შესახებ არ იყო საიმედო;

(გ) განმცხადებლის განზრახვა, ვიზის მოქმედების ამოწურვამდე დატოვოს წვერი სახელმწიფოს ტერიტორია, ვერ დადგინდა;

(დ) ვერ წარმოადგინა საკმარისი დასაბუთება, რომ განმცხადებელს არ შეეძლო წინასწარ მიემართა ვიზის მისაღებად, რაც გაამართლებდა მის მიერ საზღვარზე განაცხადის გაკეთებას ვიზის მისაღებად“;

7. მე-13 მუხლი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„მუხლი 13

დამატებითი მონაცემები ვიზის გაბათილების, ან გაუქმების შემთხვევებში

1. როდესაც მიღებულ იქნება ვიზის გაბათილების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია ვიზის გაცემაზე, განაცხადების შესახებ შედგენილ ინდივიდუალურ საქმეებს შემდეგი მონაცემები უნდა დაამატოს:

(ა) ინფორმაცია ვიზის განხილვის შედეგის შესახებ, რომელიც მიუთითებს ვიზის გაბათილების ან გაუქმების შესახებ;

(ბ) ორგანო, რომელმაც გააბათილა ან გააუქმა ვიზი, ამ ორგანოს ადგილსამყოფელის მითითებით;

(გ) გადაწყვეტილების მიღების ადგილი და დრო.

2. განაცხადის შესახებ შედგენილ საქმეში ასევე უნდა მიეთითოს გაბათილების ან გაუქმების მიზეზ(ებ)ი, რომელიც იქნება:

(ა) ერთი ან მეტი მიზეზი მე-12(2) მუხლში მითითებული ჩამონათვალიდან;

(ბ) ვიზის მფლობელის თხოვნა ვიზის გაუქმების შესახებ;

8. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(ა) 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(i) შესავალი პუნქტი უნდა ჩანაცვლდეს შემდეგნაირად:

„ 1. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია გადაწყვეტილება გაცემული ვიზის მოქმედების ვადის და/ან დარჩენის ვადის გახანგრძლივების შესახებ, ორგანომ, რომელმაც გაახანგრძლივა ვიზა, განაცხადის შესახებ შედგენილ საქმეში შემდეგი დამატებითი მონაცემები უნდა შეიტანოს:“;

(ii) „დ“ პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„ დ“ გახანგრძლივებული ვიზის ბლანკის ნომერი;

(iii) „ზ“ პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„ (ზ) ტერიტორია, სადაც შეუძლია გაემგზავროს ვიზის მფლობელს იმ შემთხვევაში, თუ გახანგრძლივებული ვიზის მოქმედების ტერიტორია განსხვავდება თავდაპირველი ვიზისაგან;“;

(ბ) გაუქმდეს მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტი;

9. მე-15(1) მუხლში სიტყვები „ვიზის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ან შემცირება“ შეიცვალოს შემდეგით „ან ვიზის გახანგრძლივება“;

10. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(ა) მე-4 პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„4. პირველი შესვლის წევრი სახელმწიფო;“;

(ბ) მე-6 პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„6. გაცემული ვიზის ტიპი;“;

(გ) მე-11 პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„11. მოგზაურობის მთავარი მიზანი (მიზნები);“;

11. მე-18(4)(გ) მუხლში; მე-19(2)(გ) მუხლში; მე-20(2)(დ) მუხლში; 22-ე მუხლის (2)(დ) პუნქტში წაიშალოს სიტყვები „ან შემცირდეს“;

12. 23-ე მუხლის (1)(დ) პუნქტში წაიშალოს სიტყვა „შემცირდეს“.

მუხლი 55

(EC) No 562/2006 რეგულაციის შესწორებები

(EC) No 562/2006 რეგულაციის V დანართის „ა“ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(ა) I(გ) პუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგით:

„(გ) ვიზის გაბათილება ან გაუქმება განხორციელდეს ევროპარლამენტის (EC) No 810/2009 რეგულაციის 34-ე მუხლითა და ევროსაბჭოს 2009 წლის 13 ივლისის (EC) No 810/2009 რეგულაციით,

რომელიც თანამეგობრობის სავიზო კოდექსის შემოღებას (სავიზო კოდექსი) ([23](#)), განსაზღვრული პირობების მიხედვით ითვალისწინებს; და

(ბ) გაუქმდეს მე-2 პუნქტი.

მუხლი 56

გაუქმება

1. გაუქმდეს 1985 წლის 14 ივლისის შენგენის შეთანხმების კონვენციის განმახორციელებელი მე-9 – მე-17 მუხლები.

2. გაუქმდეს შემდეგი:

(ა) 1999 წლის 28 აპრილის შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება *საერთო პრაქტიკული სახელმძღვანელოსა და საერთო საკონსულო ინსტრუქციების* საბოლოო ვერსიების შესახებ (SCH/Com-ex (99) 13 (საერთო საკონსულო ინსტრუქციები, დანართების ჩათვლით);

(ბ) 1993 წლის 14 დეკემბრის შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ერთიანი ვიზის გახანგრძლივებისა (SCH/Com-ex (93) 21) და საერთო პრინციპების საფუძველზე ერთიანი ვიზის (SCH/Com-ex (93) 24) მოქმედების ვადის გაუქმების, ანუღირების ან მოქმედების ვადის შემცირების ან შეწყვეტის შესახებ, 1994 წლის 22 დეკემბრის შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ერთიანი ვიზების გაცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის შესახებ (SCH/Com-ex (94) 25), 1998 წლის 21 აპრილის შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება გაცემული ვიზების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის შესახებ (SCH/Com-ex (98) 12) და 1998 წლის 16 დეკემბრის შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მოწვევის, სპონსორობის და განთავსების დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენის შეთანხმებული ფორმის შემოღების შესახებ (SCH/Com-ex (98) 57);

(გ) 1996 წლის 4 მარტის ერთობლივი ქმედება, 96/197/JHA, აეროპორტის სატრანზიტო შეთანხმებების შესახებ ([24](#));

(დ) საბჭოს 2001 წლის 24 აპრილის (EC) No 789/2001 დადგენილება საბჭოსათვის აღმასრულებელი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ცალკეულ დეტალურ დებულებებთან და პრაქტიკულ პროცედურებთან დაკავშირებით სავიზო განაცხადების განხილვის მიზნით ([25](#));

(ე) საბჭოს 2001 წლის 28 მაისის (EC) No 1091/2001 რეგულაცია გრძელვადიანი ვიზით თავისუფალი გადაადგილების შესახებ ([26](#));

(ვ) საბჭოს 2003 წლის 27 თებერვლის (EC) No 415/2003 რეგულაცია საზღვართან ვიზების გაცემის, ასევე ტრანზიტით გამავალი მეზღვაურებისათვის ამგვარი ვიზების გაცემის შესახებ ([27](#));

(ზ) ევროპარლამენტის და საბჭოს 2009 წლის 23 აპრილის (EC) No 390/2009 რეგულაციოს მე-2 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას საერთო საკონსულო ინსტრუქციებში დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებებისათვის ვიზების გაცემისას ბიომეტრიული მონაცემების შემოღებასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოიცავს განაცხადების მიღებისა და დამუშავების ორგანიზების შესახებ დებულებებს. ([28](#)).

3. მითითებული გაუქმებული ნორმების შესახებ განიმარტოს წინამდებარე დებულებების მითითებებად და აღქმულ იქნას XII დანართის კორელაციის ცხრილის მიხედვით.

მუხლი 57

მონიტორინგი და შეფასება

1. წინამდებარე რეგულაციის ყველა დებულების ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ, კომისიამ უნდა განახორციელოს მისი გამოყენების შეფასება. აღნიშნული საერთო შეფასება უნდა მოიცავდეს მიღწეული შედეგების შემოწმებას წინამდებარე რეგულაციით გათვალისწინებულ ამოცანებთან და მისი დებულებების განხორციელებასთან მიმართებით, მე-3 პუნქტში მითითებული ანგარიშების დარღვევის გარეშე.
2. 1-ელ პუნქტში მითითებული შეფასების შედეგებს კომისია ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს გადასცემს. საჭიროების შემთხვევაში, შეფასების საფუძველზე, კომისია წინამდებარე რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ შესაბამის წინადადებებს წარადგენს.
3. საავიზო საინფორმაციო სისტემის ამოქმედებიდან სამი წლის შემდეგ და ყოველ მეოთხე წელს მას შემდეგ, კომისია ვალდებულია, ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოში წარდგენილ ანგარიშში ასახოს ინფორმაცია ამ რეგულაციის მე-13, მე-17, 40 – 44-ე მუხლების შესრულების შესახებ, ასევე ბიომეტრიული იდენტიფიკატორების შეგროვებისა და გამოყენების, ICAO-ს შერჩეული სტანდარტის შესაბამისობის, მონაცემთა დაცვის წესების შესრულების, მომსახურების გარე მომწოდებლებთან მუშაობის გამოცდილების შესახებ, განსაკუთრებით ბიომეტრიული მონაცემების შეგროვების მიმართულებით, ასევე თითის ანაბეჭდების აღების 59-თვიანი ვადის დაცვისა და განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების ორგანიზების შესახებ. ანგარიშში ასევე უნდა შეიცავდეს საავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების მე-17 მუხლის(12), (13) და (14) პუნქტების და 50-(4)-ე მუხლის შესაბამისად იმ შემთხვევებს, როდესაც ვერ მოხდა თითის ანაბეჭდების აღება ან არ მოითხოვებოდა მათი აღება იურიდიული მიზეზთა გამო და შედარდეს იმ შემთხვევებთან, როდესაც განხორციელდა თითის ანაბეჭდების აღება. ანგარიშში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც პირმა ფაქტობრივად ვერ წარმოადგინა თითის ანაბეჭდები და უარი მიიღო ვიზის გაცემაზე. საჭიროებისამებრ, ანგარიშში ასევე უნდა შეიცავდეს შესაბამის წინადადებებს წინამდებარე რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
4. მე-3 პუნქტში მითითებული პირველი ანგარიში ასევე უნდა განიხილავდეს 12 წლამდე ბავშვების თითის ანაბეჭდების მიხედვით იდენტიფიცირების და გადამოწმების საკმარისი საიმედოობის საკითხს, კერძოდ, თუ როგორ ვითარდება ასაკთან ერთად თითის ანაბეჭდები, კომისიის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

მუხლი 58


ძალაში შესვლა

1. წინამდებარე რეგულაცია ძალაში შევა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ.
2. რეგულაცია ძალაში შედის 2010 წლის 10 აპრილიდან.
3. 52-ე მუხლი და 53-ე მუხლის (1)(ა)(თ) და (2) პუნქტები ძალაში შედის 2009 წლის 5 ოქტომბერს.
4. რაც შეეხება შენგენის საკონსულტაციო ქსელს (ტექნიკური პირობები), 52-ე მუხლის (2)(დ) პუნქტი ძალაში შევა საავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების 46-ე მუხლის შესაბამისად.
5. მუხლი 32(2), (3), მუხლი 34(6) და (7) და მუხლი 35(7) ძალაში შევა 2011 წლის 5 აპრილიდან.

წინამდებარე რეგულაცია მოელი მოცულობით არის სავალდებულო და უშუალოდ ვრცელდება
წევრ სახელმწიფოებში ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად.

დანართი I

განაცხადის პარმონიზებული ფორმა



Application for Schengen Visa
განაცხადი შენგენის ვიზის მისაღებად

უფასო ანკეტა



1. Surname (Family name) (x) / გვარი			FOR OFFICIAL USE ONLY ივსება საკონსულო განყოფილების მიერ Date of application/განაცხადის თარიღი: Visa application number/სავიზო
2. Surname at birth (Former family name(s)) (x) / გვარი დაბადებისას (წინანდელი გვარ(ებ)ი)			
3. First name(s) (Given name(s)) (x) / სახელი/სახელები			
4. Date of birth (day-month-year) დაბადების თარიღი (დღე-თვე-წელი)	5. Place of birth /დაბადების ადგილი	7. Current nationality ამჟამინდელი მოქალაქეობა	
8. Sex / სქესი ☐ male მამრობითი ☐ female /მდედრობითი	9. Marital status /ოჯახური მდგომარეობა ☐ Single/დაუქორწინებელი ☐ Married/დაქორწინებული ☐ Separated/გაყრილი ☐ Divorced/განქორწინებული ☐ Widow(er)/ქვრივი ☐ Other (please specify) /სხვა (პlease specify)		
10. In the case of minors: Surname, first name, address (if different from applicant's) and nationality of parental authority/legal guardian /არასრულწოვანების შემთხვევაში: გვარი, სახელი, მისამართი (თუ განსხვავებულია განმცხადებლის მისამართისგან) და მშობლის/მეურვის მოქალაქეობა			
11. National identity number, where applicable /პირადი ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში			

12. Type of travel document /სამგზავრო დოკუმენტის ტიპი ☐ Ordinary passport / ორდინალური პასპორტი ☐ Diplomatic passport / დიპლომატიური პასპორტი ☐ Service passport / სამსახურებრივი პასპორტი ☐ Official passport / ოფიციალური პასპორტი ☐ Special passport / სპეციალური პასპორტი ☐ Other travel document (please specify) / სხვა სამგზავრო საბუთი (მიუთითეთ)				განაცხადის ნომერი: Application lodged at/განაცხადი შეტანილია: ☐ Embassy/consulate საელჩო/ საკონსულო ☐ CAC ☐ Service provider მომსახურების მომწოდებელი ☐ Commercial intermediary კომერციული შუამავალი ☐ Border საზღვარი Name /სახელი:
13. Number of travel document /სამგზავრო დოკუმენტის ნომერი	14. Date of issue /გაცემის თარიღი	15. Valid until /მოქმედების ვადა	16. Issued by /გამცემი ორგანო	
17. Applicant's home address: განმცხადებლის საცხოვრებელი მისამართი და ელექტრონული ფოსტა		E-mail address:	Telephone number(s) / ტელეფონის ნომერი/ნომრები	
18. Residence in a country other than the country of current nationality / ცხოვრობთ თუ არა ქვეყანაში, რომლის მოქალაქე არ ხართ ამჟამად ☐ No / არა ☐ Yes / დიახ				
19. Current occupation /				
20. Employer and employer's address and telephone number. For students, name and address of educational establishment. დამსაქმებელი, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი. სტუდენტებისთვის სასწავლო დაწესებულების სახელწოდება და მისამართი				☐ Commercial intermediary კომერციული შუამავალი
21. Main purpose(s) of the journey/ გამგზავრების მთავარი მიზანი (მიზნები) ☐ Tourism /ტურიზმი ☐ Business /საქმიანი ☐ Visiting family or friends /ნათესავების ან მეგობრების მონახულება ☐ Cultural /კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა ☐ Sports /სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა ☐ Official visit /ოფიციალური ვიზიტი ☐ Medical reasons /მკურნალობა ☐ Study /სწავლა ☐ Transit /ტრანზიტი				☐ Border საზღვარი Name /სახელი:

(1) ღლოც არ არის საჭირო ნორვეგიის, ისლანდიისა და შვეიცარიისათვის.

(x) 1-3 მონიშნული გრაფები უნდა შეივსოს სამოგზავრო დოკუმენტის მონაცემების მიხედვით.

22. Member State(s) of destination დანიშნულების ქვეყანა ევროკავშირში	23. Member State of first entry ევროკავშირის პირველი ქვეყანა შენგენის ზონაში შესვლისთვის	
24. Number of entries requested / მოთხოვნილი შესვლის უფლება	25. Duration of the intended stay or transit. Indicate number of days / შენგენის ზონაში ყოფნის ან ტრანზიტის ვადა	
26. Schengen visas issued during the past three years/ ბოლო სამი წლის მანძილზე მიღებული შენგენის ვიზები ☐ No/ არა		
27. Fingerprints collected previously for the purpose of applying for a Schengen visa ჩაბარებული გაქვთ თუ არა თითის ანაბეჭდების შენგენის ვიზის მისაღებად		
28. Entry permit for the final country of destination, where applicable / საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში შესვლის ნებართვა (თუ ასეთი მოითხოვება) Issued by / გამცემი ორგანო		
29. Intended date of arrival in the Schengen area / შენგენში შესვლის დაგეგმილი თარიღი	30. Intended date of departure from the Schengen area /	
(*)31. Surname and first name of the inviting person(s) in the Member State(s). If not applicable, name of hotel(s) or temporary accommodation(s) in the Member State(s)/ შენგენის ქვეყნიდან თქვენი მომწვევი პირ(ებ)ის გვარი და სახელი. სხვა შემთხვევაში სასტუმრო(ებ)ის დასახელება და შენგენის ქვეყანაში თქვენი დროებითი მისამართი		
Address of inviting person(s)/hotel(s)/temporary accommodation(s) and Email address მომწვევი პირ(ებ)ის/სასტუმრო(ებ)ის/დროებითი საცხოვრებლ(ებ)ის მისამართი და ელ.ფოსტა	Telephone and telefax / ტელეფონი და ფაქსი	
(*)32. Name and address of inviting company/organisation / მომწვევი კომპანიის/ორგანიზაციის დასახელება	Telephone and telefax of company/organisation / კომპანიის/ორგანიზაციის ტელეფონი და ფაქსი	
Surname, first name, address, telephone, telefax, and e-mail address of contact person in company/organisation / მომწვევ კომპანიაში/ორგანიზაციაში საკონტაქტო პირის გვარი, სახელი, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი და ელ.ფოსტა		
(*)33. Cost of travelling and living during the applicant's stay is covered / განმცხადებლის მგზავრობის და ცხოვრების ხარჯების დაფარვა ხდება		

☐ by the applicant himself/herself /თავად განმცხადებლის მიერ Means of support /გადახდის საშუალება ☐ Cash /ნაღდი ფული ☐ Traveller's cheques /სამგზავრო ჩეკები ☐ Credit card /საკრედიტო ბარათი ☐ Pre-paid accommodation /წინასწარ გადახდილი საცხოვრებელი ☐ Pre-paid transport /წინასწარ გადახდილი მგზავრობა ☐ Other (please specify) სხვა (მიუთითეთ)	☐ by a sponsor (host, company, organisation), please specify:/ სპონსორის (მომწვევი პირის, კომპანიის, ორგანიზაციის) მიერ (მიუთითეთ) referred to in field 31 or 32/ 31 ან 32 გრაფაში მიუთითებული ☐ other (please specify) სხვა (მიუთითეთ) Means of support /გადახდის საშუალება ☐ Cash /ნაღდი ფული ☐ Accommodation provided /საცხოვრებლით უზრუნველყოფა All expenses covered during the stay / ყველა ხარჯი იფარება ყოფნის პერიოდში ☐ Pre-paid transport / წინასწარ გადახდილი მგზავრობა ☐ Other (please specify)/ სხვა (მიუთითეთ)
---	---

(*) The fields marked with * shall not be filled in by family members of EU, EEA or CH citizens (spouse, child or dependent ascendant) while exercising their right to free movement. Family members of EU, EEA or CH citizens shall present documents to prove this relationship and fill in fields no 34 and 35.

(*) ევროკავშირის, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ან შვეიცარიის კონფედერაციის მოქალაქის ოჯახის წევრებმა (მეუღლე, შვილი ან წინაპარი, რომელიც მის ხარჯზე) არ უნდა შეავსონ *-ით მონიშნული გრაფა. ისინი ვალდებული არიან მხოლოდ წარმოადგინონ ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შეავსონ გრაფა N34 და N35.

34. Personal data of the family member who is an EU, EEA or CH citizen / პირადი ინფორმაცია ევროკავშირის, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ან შვეიცარიის კონფედერაციის მოქალაქის ოჯახის წევრის შესახებ		
Surname / გვარი	First name(s) სახელი(ებ)ი	

Date of birth / დაბადების თარიღი	Nationality / მოქალაქეობა	Number of travel document or ID card / პირადობის მოწმობის ან სამგზავრო დოკუმენტის ნომერი
35. Family relationship with an EU, EEA or CH citizen / ნათესაური კავშირი ევროკავშირის, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ან შვეიცარიის კონფედერაციის მოქალაქესთან ☐ spouse / მეუღლე ☐ child / შვილი ☐ grandchild / შვილიშვილი ☐ dependent ascendant / მოქალაქის კმაყოფაზე მყოფი წინაპარი		
36. Place and date / შევსების ადგილი და თარიღი	37. Signature (for minors, signature of parental authority/legal guardian)/ ხელმოწერა (მცირეწლოვანის შემთხვევაში მშობლის/მეურვის ხელმოწერა)	

I am aware that the visa fee is not refunded if the visa is refused.

ჩემთვის ცნობილია, რომ ვიზაზე უარის მიღების შემთხვევაში სავიზო მოსაკრებლის დაბრუნება არ ხდება.

Applicable in case a multiple-entry visa is applied for (cf. field no 24):

მრავალჯერად ვიზაზე განაცხადის შემთხვევაში (იხ. გრაფა 24)

I am aware of the need to have an adequate travel medical insurance for my first stay and any subsequent visits to the territory of Member States

მე ვიცი, რომ ევროკავშირის ქვეყნებში პირველი და ყოველი მომდევნო ყოფნისას უნდა მქონდეს სათანადო

სამედიცინო დაზღვევა.

I am aware of and consent to the following: the collection of the data required by this application form and the taking of my photograph and, if applicable, the taking of fingerprints, are mandatory for the examination of the visa application; and any personal data concerning me which appear on the visa application form, as well as my fingerprints and my photograph will be supplied to the relevant authorities of the Member States and processed by those authorities, for the purposes of a decision on my visa application

Such data as well as data concerning the decision taken on my application or a decision whether to annul, revoke or extend a visa issued will be entered into, and stored in the Visa Information System (VIS)ⁱ for a maximum period of five years, during which it will be accessible to the visa authorities and the authorities competent for carrying out checks on visas at external borders and within the Member States, immigration and asylum authorities in the Member States for the purposes of verifying whether the conditions for the legal entry into, stay and residence on the territory of the Member States are fulfilled, of identifying persons who do not or who no longer fulfil these conditions, of examining an asylum application and of determining responsibility for such examination. Under certain conditions the data will be also available to designated authorities of the Member States and to Europol for the purpose of the prevention, detection and investigation of terrorist offences and of other serious criminal offences. The authority of the Member State responsible for processing the data is: Ministry of Foreign Affairs, Consular Affairs and Migration Policy Department (DCM), Postbus 20061, 2500 EB DEN HAAG.

I am aware that I have the right to obtain in any of the Member States notification of the data relating to me recorded in the VIS and of the Member State which transmitted the data, and to request that data relating to me which are inaccurate be corrected and that data relating to me processed unlawfully be deleted. At my express request, the authority examining my application will inform me of the manner in which I may exercise my right to check the personal data concerning me and have them corrected or deleted, including the related remedies according to the national law of the State concerned. The national supervisory authority of that Member State [College Bescherming Persoonsgegevens, Postbus 93374, 2509 AJ DEN HAAG] will hear claims concerning the protection of personal data.

I declare that to the best of my knowledge all particulars supplied by me are correct and complete. I am aware that any false statements will lead to my application being rejected or to the annulment of a visa already granted and may also render me liable to prosecution under the law of the Member State which deals with the application

I undertake to leave the territory of the Member States before the expiry of the visa, if granted. I have been informed that possession of a visa is only one of the prerequisites for entry into the European territory of the Member States. The mere fact that a visa has been granted to me does not mean that I will be entitled to compensation if I fail to comply with the relevant provisions of Article 5(1) of Regulation (EC) No 562/2006 (Schengen Borders Code) and I am therefore refused entry. The prerequisites for entry will be checked again on entry into the European territory of the Member States.

გავეცანი და ვეთანხმები, რომ ამ ანკეტაში მითითებული ჩემი პირადი მონაცემების შეგროვება და ჩემი ფოტოსურათის გადაღება და, საჭიროების შემთხვევაში, თითის ანაბეჭდების აღება, არის საჭიროებული საავტორო განაცხადის შესაფასებლად და, რომ საავტორო განაცხადში მოცემული ჩემთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, ასევე ჩემი ფოტო და თითის ანაბეჭდები, გადაეცემა შენგენის ქვეყნების შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს და შესწავლილ იქნება მათ მიერ ჩემი ვიზის მოთხოვნის განხილვის მიზნით.

ეს მონაცემები, ასევე მონაცემები ჩემს განცხადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ან ვიზის გაუქმების, გაწვევის ან გაგრძელების თაობაზე, აღირიცხება და შეინახება საავტორო საინფორმაციო სისტემაში არაუმეტეს ხუთი წლისა და, ამ დროის განმავლობაში, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ვიზებზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის, აგრეთვე უწყებებისთვის, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ ვიზების შემოწმება ევროკავშირის საგარეო საზღვრებზე და მის წევრ სახელმწიფოებში, ევროკავშირის წევრი

სახელმწიფოების საიმიგრაციო და თავშესაფრის მინიჭებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის, რათა განისაზღვროს, დაკმაყოფილდა თუ არა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, გაჩერებისა და ცხოვრების პირობები, გამოვლინდნენ პირები, რომლებიც არ ან აღარ აკმაყოფილებენ ამ პირობებს, განხილულ იყოს განაცხადი თავშესაფრის მიღების თაობაზე და განისაზღვროს ამ განხილვაზე პასუხისმგებელი მხარე. გარკვეულ შემთხვევებში ეს მონაცემები ასევე ხელმისაწვდომი იქნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ევროპოლის სათანადო უწყებებისათვის ტერორისტული დანაშაულისა და სხვა სერიოზული კრიმინალური დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნით. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ამ მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი უწყება არის საგარეო საქმეთა სამინისტრო, საკონსულო საქმეთა და მიგრაციის პოლიტიკის დეპარტამენტი, Postbus 20061, 2500 EB ჰააგა.

ვიცი, რომ მაქვს უფლება ევროკავშირის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოში მივიღო შეტყობინება ჩემთან დაკავშირებული მონაცემების (VIS) მონაცემთა ბაზაში და თუ ევროკავშირის წევრი რომელი სახელმწიფოს მიერ მოხდა ამ მონაცემების გადაგზავნა, და მოვითხოვო ჩემთან დაკავშირებულ მონაცემებში არსებული უზუსტობების შესწორება და ჩემთან დაკავშირებული უკანონოდ დამუშავებული ინფორმაციის წაშლა. ჩემი მოთხოვნის საფუძველზე, უწყება, რომელიც განიხილავს ჩემს განაცხადს, განმიმარტავს თუ როგორ ვისარგებლო უფლებით, შევამოწმო, შევაცვლევი ან წავაშლევინო ჩემთან დაკავშირებული პირადი ინფორმაცია, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებების შესახებ. ეროვნული სახელმწიფოებთან დაკავშირებული ორგანო [საკონტაქტო მონაცემები] განიხილავს საჩივრებს პირადი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

ვაცხადებ, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩემს მიერ წარმოდგენილი მონაცემები სრული და სწორია. ვიცი, რომ ყალბი ინფორმაციის წარმოდგენამ შეიძლება გამოიწვიოს ვიზის მოთხოვნის უარყოფა, ან უკვე გაცემული ვიზის გაუქმება, ასევე ჩემს წინააღმდეგ შესაძლებელი სამართლებრივი პროცედურის აღძვრა ჩემი განაცხადის განხილვით დაკავებული ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

ვიღებ ვალდებულებას დავტოვო შენგენის ქვეყნების ტერიტორია აღნიშნული ვიზის მოქმედების გასვლისთანავე. ვიცი, რომ ვიზის ქონა შენგენის ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლის აუცილებელ პირობათაგან მხოლოდ ერთია. მხოლოდ ვიზის ქონა არ მაძლევს უფლებას მოვითხოვო რაიმე სახის კომპენსაცია თუ ვერ დავაკმაყოფილებ ევროკავშირის წესდება 562/2006-ის (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მუხლი 5(1)-ის მოთხოვნებს და შესაბამისად ქვეყანაში შესვლისას საზღვარზე მიღებული უარის შემთხვევაში. შენგენის ქვეყნების ევროპულ ტერიტორიაზე შესვლისას კიდევ ერთხელ იქნება შემოწმებული თუ რამდენადაა დაცული ქვეყანაში შესვლის პირობები.

Place and Date / შესვლის ადგილი და თარიღი	Signature (for minors, signature of parental authority/legal guardian)/ ხელმოწერა (მცირეწლოვანის შემთხვევაში მშობლის/მეურვის ხელმოწერა)
---	---

დანართი II

დამადასტურებელი დოკუმენტების არასრული ჩამონათვალი

მე-14 მუხლში აღნიშნული განმცხადებლის მიერ წარსადგენი დამადასტურებელი დოკუმენტები შეიძლება შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

A. მოგზაურობის მიზანთან დაკავშირებული დოკუმენტები

1. საქმიანი მივლინებებისათვის:

(ა) შეხვედრის მომწყოები ფირმის, ან ორგანოს მოწვევა პროფესიასთან, დარგთან ან სამსახურთან დაკავშირებულ შეხვედრებზე, კონფერენციებზე ან ღონისძიებებზე დასასწრებად;

(ბ) სხვა დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პროფესიასთან ან სამსახურებრივ მიზნებთან დაკავშირებულობას;

(გ) საჭიროების შემთხვევაში, ღონისძიებებსა და ყრილობებზე დასასწრები ბილეთები;

(დ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კომპანიის საქმიანობას;

(ე) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის დასაქმების სტატუსს კომპანიაში;

2. სასწავლო ან სხვა სახის სატრენინგო მიზნებით მოგზაურობისათვის:

(ა) ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ პროფესიულ ან თეორიულ კურსებზე დასწრების, ძირითადი სწავლების, ან შემდგომი სწავლების ფარგლებში;

(ბ) სტუდენტის ბარათები ან დასასწრები კურსების სერთიფიკატები;

3. ტურისტული ან სხვა პირადი მიზეზებით მოგზაურობისათვის:

(ა) დოკუმენტი, რომელიც ეხება განთავსებას:

— განმცხადებლის მასპინძლის მოწვევა,

— დაწესებულების დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელს ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია გათვალისწინებული განსახლება;

(ბ) დოკუმენტი, რომელიც ეხება მარშრუტს:

— ორგანიზებული მოგზაურობის დაკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია მოგზაურობის გეგმები,

— ტრანზიტის შემთხვევაში: ვიზები ან მესამე ქვეყანაში შესვლის სხვა სახის ნებართვა, შემდგომი მოგზაურობის ბილეთები;

4. მოგზაურობისათვის, რომელიც განხორციელებულია პოლიტიკური, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და რელიგიური მოვლენების ან სხვა მიზეზების გამო:

— მოწვევა, ბილეთები, პროგრამებში ჩარიცხვები, რომელშიც აღნიშნულია, (სადაც შესაძლებელია) მასპინძელი ორგანიზაციის სახელი, გაჩერების ადგილი ან სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია მოგზაურობის მიზანი;

5. ოფიციალური დელეგაციების წევრების გამგზავრებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან მესამე დაინტერესებული ქვეყნისადმი გამოგზავნილი ოფიციალური მოსაწვევით, რათა მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებში, კონსულტაციებში, მოლაპარაკებებში ან გაცვლით პროგრამებში, ასევე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მთავრობათშორის ორგანიზაციების მიერ მოწვობილ ღონისძიებებში:

— უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილი, რომელიც ადასტურებს მესამე ქვეყნისათვის, რომ განმცხადებელი ოფიციალური დელეგაციის წევრია და წევრ სახელმწიფოში ზემოაღნიშნულ მოვლენებში მონაწილეობისათვის მიემგზავრება, თანდართული ოფიციალური მოწვევის ასლით;

6. სამდევინო დანიშნულებით მოგზაურობისათვის:

— სამედიცინო დაწესებულების ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სამედიცინო მომსახურების აუცილებლობას ადასტურებს და სამედიცინო მკურნალობისათვის საკმარისი ფინანსური სახსრების გადახდის შესაძლებლობის მტკიცებულება.

ბ. დოკუმენტაცია, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს განმცხადებლის განზრახვა წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისას:

1. უკან დაბრუნების ბილეთის ან ორივე მიმართულების ბილეთის დაჯავშნა;
2. მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში ფინანსური საშუალებების მტკიცებულება;
3. დასაქმების მტკიცებულება: საბანკო ამონაწერები;
4. უძრავი ქონების მტკიცებულება;
5. მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში ინტეგრაციის მტკიცებულებები: ოჯახური კავშირები; პროფესიული სტატუსი.

გ. განმცხადებლის ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია:

1. მშობლის, ან მეურვის თანხმობა (როდესაც არასრულწლოვანი არ მგზავრობს მათთან ერთად)
2. მასპინძელთან/მომწვევთან ოჯახური კავშირების დამადასტურებელი მტკიცებულება.

დანართი III

ერთიანი ფორმატი და ბეჭდის გამოყენება, რომელიც ასახავს, რომ სავიზო განაცხადი მისაღებია

... ვიზა ... ⁽¹⁾	
xx/xx/xxxx ⁽²⁾	... ⁽³⁾
ნიმუში:	
C ვიზა FR	
22.4.2009	საფრანგეთის საკონსულო
ჯიბუტი	
(¹) განაცხადის განმხილველი წვერი სახელმწიფოების კოდი. გამოიყენება VII დანართის 1.1 პუნქტით განსაზღვრული კოდები. (²) განაცხადის თარიღი (რვა ციფრი: xxდღე, xxთვე, xxxxწელი). (³) ვიზის განმხილველი ორგანო.	

ბეჭედი უნდა განთავსდეს სამგზავრო დოკუმენტის პირველ ცარიელ გვერდზე, რომელიც არ შეიცავს მონაცემებს ან ბეჭდებს.

დანართი IV

(EC) No 539/2001 რეგულაციის I დანართში მითითებული მესამე ქვეყნების საერთო ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეები ვალდებული არიან, წვერი სახელმწიფოს აეროპორტის ტერიტორიაზე საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიის გავლისას იქონიონ აეროპორტის ტრანზიტული ვიზა:

ავღანეთი

ბანგლადეში

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

ერიტრეა

ეთიოპია

განა

ირანი

ერაყი

ნიგერია

პაკისტანი

სომალი

შრი-ლანკა

დანართი V

ბინადრობის ნებართვების სია, რომლითაც მათ მფლობელებს წვერი-სახელმწიფოს აეროპორტის გავლა შეუძლიათ აეროპორტის ტრანზიტული ვიზის გარეშე.

ანდორა:

— (დროებითი ბინადრობის და სამუშაო ნებართვა) (თეთრი). აღნიშნული ნებართვები გაიცემა სეზონურ მუშებზე; მოქმედების ვადა დამოკიდებულია დასაქმების ხანგრძლივობაზე, მაგრამ არ აღემატება ექვს თვეს. ეს ნებართვა არ არის განახლებადი,

— (ბინადრობის და სამუშაო ნებართვა) (თეთრი). აღნიშნული ნებართვები გაიცემა ექვსი თვით და შეიძლება ერთი წლით განახლება,

— (ბინადრობის ნებართვა) (თეთრი). აღნიშნული ნებართვა გაიცემა ექვსი თვით და შეიძლება ერთი წლით განახლება,

— (დროებითი საცხოვრებელი ნებართვა) (ვარდისფერი). აღნიშნული ნებართვა გაიცემა ერთი წლის ვადით და შესაძლოა განახლდეს ორჯერ თითო წლით,

— (ჩვეულებრივი ბინადრობის ნებართვა) (ყვითელი). ნებართვა გაიცემა სამი წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს სამი წლით,

— (სპეციალური ბინადრობის ნებართვა) (მწვანე). ნებართვა გაიცემა ხუთი წლის ვადით და არის განახლებადი, ყოველ ჯერზე შესაძლოა განახლდეს ხუთი წლით,

— (ბინადრობის ნებართვა) (მწვანე). ნებართვა გაცემულია ერთი წლის ვადით და არის განახლებადი, ყოველ ჯერზე შესაძლოა განახლდეს სამი წლით,

— (დროებითი ბინადრობის და სამუშაო ნებართვა) (ვარდისფერი). ნებართვა გაცემულია ორი წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს ორი წლით,

— (ჩვეულებრივი ბინადრობის და სამუშაო ნებართვა) (ყვითელი). ნებართვა გაიცემა ხუთი წლის ვადით.

— (ბინადრობის სპეციალური და სამუშაო ნებართვა) (მწვანე). ნებართვა გაცემულია 10 წლის ვადით და არის განახლებადი, ყოველ ჯერზე 10 წლის ვადით.

კანადა:

— მუდმივი ბინადრობის მოწმობა (პლასტიკური ბარათი).

იაპონია:

— იაპონიაში ხელახალი შესვლის ნებართვა.

სან მარინო:

— (ბინადრობის ჩვეულებრივი ნებართვა (მოქმედების ვადის ამოწურვის გარეშე)),

— (მუდმივი ბინადრობის სპეციალური ნებართვა (მოქმედების ვადის ამოწურვის გარეშე))

— (სან მარინოს პირადობის მოწმობა (მოქმედების ვადის ამოწურვის გარეშე))

ამერიკის შეერთებული შტატები:

— ფორმა I-551 მუდმივი ბინადრობის მოწმობა (ძალაშია 2-დან 10 წლამდე),

— ფორმა I-551 უცხოელის რეგისტრაციის დამადასტურებელი ბარათი (ძალაშია 2-დან 10 წლამდე),

— ფორმა I-551 უცხოელის რეგისტრაციის დამადასტურებელი ბარათი (მოქმედების ვადის ამოწურვის გარეშე),

— ფორმა I-327 განმეორებითი შესვლის დოკუმენტი (მოქმედებს 2 წლის განმავლობაში, გაიცემა ფორმა I-551-ის მფლობელებზე).

— უცხოელი რეზიდენტის ბარათი (ბარათს აქვს 2, ან 10 წლიანი ან შეუზღუდავი მოქმედების ვადა. ეს დოკუმენტი მფლობელის დაბრუნების გარანტიაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი აშშ-ს ტერიტორიის გარეთ ყოფნის ვადა არ აღემატება ერთ წელს),

— განმეორებითი შესვლის ნებართვა (მოქმედებს ორი წლის განმავლობაში. ეს დოკუმენტი მფლობელის დაბრუნების გარანტიაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი აშშ-ს ტერიტორიის გარეთ ყოფნის ვადა არ აღემატება ორ წელს),

— დროებითი ბინადრობის მოქმედი ბეჭედი პასპორტში (ძალაშია გაცემის დღიდან ერთი წლის განმავლობაში).

დანართი VI

ვიზის გაცემაზე მოტივირებული უარის, ვიზის გაბათილების ან გაუქმების შესახებ შეტყობინების სტანდარტული ფორმა

უარი ვიზის გაცემაზე /გაბათილება/ გაუქმება

ქალბატონო/ბატონო _____

☐ _____საელჩომ / გენერალურმა საკონსულომ / საკონსულომ / [სხვა
კომპეტენტურმა ორგანომ] _____ში

☐ _____[წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოს სახელით (წევრი სახელმწიფოს
დასახელება)]

☐ _____ს [სხვა კომპეტენტურმა ორგანომ]

☐ _____პირების შემოწმებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა

შეამოწმა/შეამოწმეს

☐ თქვენი სავიზო განაცხადი;

☐ თქვენი ვიზა ნომრით: _____, გაცემული: [დღე/თვე/წელი]

☐ გაიცა უარი ვიზაზე ☐ ვიზა გაბათილდა ☐ ვიზა გაუქმდა

ეს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მიზეზ(ებ)ს:

1. ☐ წარმოდგენილი იყო ყალბი/ცრუ ინფორმაციის შემცველი/ფაქტობრივად არ არსებული სამგზავრო
დოკუმენტი
2. ☐ განზრახული ყოფნის მიზნის დასაბუთება არ იქნა წარმოდგენილი
3. ☐ თქვენ ვერ წარმოადგინეთ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ გაქვთ საკმარისი საარსებო
საშუალებები, რათა ყოფნისათვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში იცხოვროთ და დაბრუნდეთ
თქვენი წარმოშობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში, ან გადახვიდეთ მესამე ქვეყანაში, სადაც
დარწმუნებული ხართ, რომ შეგიშვებენ. ან ისეთი მდგომარეობა გაქვთ, რომ შეგიძლიათ ასეთი
საშუალებები კანონიერად მოიპოვოთ
4. ☐ უკვე იმყოფებით წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე 180 დღიანი პერიოდის 90 დღის განმავლობაში
ერთიანი ვიზის ან შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის საფუძველზე.
5. ☐ შენგენის საინფორმაციო სისტემაში შეტანილია გაფრთხილება პირისათვის შესვლაზე უარის
თქმის შესახებ _____ მიერ (მიუთითეთ წევრი სახელმწიფო)

6. ☐ ერთი ან მეტი წვერი სახელმწიფო (ები) განგიხილავთ თქვენ საფრთხედ სახელმწიფო პოლიტიკის, შიდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით, როგორც ეს განსაზღვრულია (EC) No 562/2006 რეგულაციის მე-2 (19) მუხლით (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) ან მიჩნეული ხართ საფრთხედ ერთი ან მეტი წვერი სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებისათვის.
7. ☐ არ არის წარმოდგენილი სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის სათანადო დოკუმენტი.
8. ☐ განზრახული ყოფნის პირობებისა და მიზნის დამადასტურებელი წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის საიმედო.
9. ☐ თქვენი განზრახვა, დატოვოთ წვერი სახელმწიფოს ტერიტორია ვიზის მოქმედების ამოწურვამდე ვერ დადგინდა.
10. ☐ არ იქნა წარმოდგენილი საკმარისი დასაბუთება, რომ თქვენ არ შეგეძლოთ წინასწარ მიგემართად ვიზის მისაღებად, რაც გაამართლებდა თქვენს მიერ საზღვარზე განაცხადის გაკეთებას ვიზის მისაღებად.
11. ☐ ვიზის გაუქმება მოთხოვნილ იქნა ვიზის მფლობელის მიერ ⁽¹⁾.

⁽¹⁾ ვიზის გაუქმება ამ მიზეზით არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

⁽²⁾ ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნის შემთხვევაში.

შენიშვნები:

კომენტარები: პირს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება, ვიზაზე უარის/გაბათილების /გაუქმების შემთხვევაში, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით. პირმა უნდა მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიუთითოს ეროვნული კანონმდებლობა და პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია გასაჩივრების უფლებასთან, მათ შორის კომპეტენტური ორგანო, სადაც შეიძლება საჩივრის შეტანა, ასევე – საჩივრის შეტანის ვადა.

თარიღი და საელჩოს ბეჭედი / გენერალური საკონსულო / საკონსულო / შემოწმებაზე პასუხისმგებელი ორგანოები / სხვა კომპეტენტური ორგანოები

დაინტერესებული პირის ხელმოწერა ⁽²⁾

[► \(1\) M3](#)

დანართი VII

ვიზის ბლანკის შევსება

1. სავალდებულოდ შესავსები სექციები

1.1. სათაური 'ძალაშია':

ეს ნაწილი მიუთითებს ტერიტორიას, სადაც ვიზის მფლობელს გამგზავრების უფლება აქვს.

ეს ნაწილიშესაძლებელია შეივსოს მხოლოდ შემდეგი სახით:

(ა) შენგენის ქვეყნები;

(ბ) შენგენის ქვეყანა ან შენგენის ქვეყნები, რომლის ტერიტორიაზე ვიზის მოქმედება შეზღუდულია (ამ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი აბრევიატურები):

BE ბელგია

CZ ჩეხეთის რესპუბლიკა

DK დანია

DE გერმანია

EE ესტონეთი

GR საბერძნეთი

ES ესპანეთი

FR საფრანგეთი

IT იტალია

LV ლატვია

LT ლიტვა

LU ლუქსემბურგი

HU უნგრეთი

MT მალტა

NL ნიდერლანდები

AT ავსტრია

PL პოლონეთი

PT პორტუგალია

SI სლოვენია

SK სლოვაკეთი

FI ფინეთი

SE შვედეთი

IS ისლანდია

NO ნორვეგია

CH შვეიცარია

1.2. იმ შემთხვევაში, როდესაც ვიზის ბლანკი ერთიანი ვიზის გასაცემად გამოიყენება, ეს ნაწილი შეივსება ვიზის გამცემი წევრი ქვეყნის ენაზე სიტყვებით 'შენგენის ქვეყნები'.

1.3. იმ შემთხვევაში, როდესაც ვიზის ბლანკი წინამდებარე რეგულაციის 25(1) –ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული ტერიტორიული ვიზის გასაცემად გამოიყენება, ამ ნაწილში ვიზის გამცემი წევრი სახელმწიფოს ენაზე ჩაიწერება იმ წევრი სახელმწიფოს (სახელმწიფოების)

სახელი, სადაც ვიზის მფლობელის ყოფნა შეზღუდულია.

1.4. იმ შემთხვევაში, როდესაც ვიზის ბლანკი წინამდებარე რეგულაციის 25 (1)-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული ტერიტორიული ვიზის გასაცემად გამოიყენება, კოდების შევსებისთვის შესაძლოა გამოყენებული იქნას შემდეგი ვარიანტები:

შესაბამისი წვერი სახელმწიფოების კოდების ჩაწერა;

იტყვების ჩაწერა 'შენგენის სახელმწიფოები' და შემდგომ ფრჩხილებში იმ წვერი სახელმწიფოების მინუს ნიშნით აღნიშვნა, რომლის ტერიტორიაზეც არ ვრცელდება ვიზის მოქმედება;

ამ შემთხვევაში, თუ ველი 'ძალაშია' არ არის საკმარისი ყველა იმ წვერი სახელმწიფოს კოდის ჩასაწერად, რომლებიც (არ) აღიარებენ მოცემულ სამგზავრო დოკუმენტს, გამოყენებული შრიფტის ზომა უნდა შემცირდეს.

2. სათაური 'დან...მდე':

ეს სათაური მიუთითებს ვიზის მოქმედების ვადას, რა პერიოდშიც ვიზის მფლობელს უფლება აქვს დარჩეს ტერიტორიაზე ვიზის შესაბამისად.

თარიღი, რომელი დღიდანაც ვიზის მფლობელს უფლება აქვს შევიდეს ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს ვიზა, იწერება ისე, როგორც ეს ქვემოთ არის მოცემული, 'დან' ნაწილაკის შემდეგ:

— დღე იწერება ორი ციფრის შეტანით, რომლიდანაც პირველი უნდა არის ნული, თუ მოცემული დღის რიცხვი ერთიანია,

— ჰორიზონტალური ტირე,

— თვე იწერება ორი ციფრის შეტანით, რომლიდანაც პირველი ციფრი ნული უნდა იყოს, თუ მოცემული თვის რიცხვი ერთიანია,

— ტირე

— წელი, რომელიც იწერება ორი ციფრით, რომელიც შეესაბამება წლის ბოლო ორს ციფრს.

მაგალითად: 05-12-07 = 5 დეკემბერი 2007.

ვიზის მოქმედების ვადის ბოლო დღე, რა დრომდეც ვიზის მფლობელს უფლება აქვს დარჩეს, შეიტანება წინ ნაწილაკამდე 'მდე' და იწერება ისევე, როგორც პირველი მითითებული თარიღი. ამ რიცხვის შუალაშემდეგ ვიზის მფლობელმა უნდა დატოვოს ტერიტორია, რომლისათვისაც განკუთვნილია ვიზა.

3. სათაური 'ტერიტორიაზე შესვლის რაოდენობა':

ეს ნაწილი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ შეუძლია ვიზის მფლობელს შევიდეს იმ ტერიტორიაზე, რომლისთვისაც გაცემულია ვიზა, ანუ იგი აღნიშნავს ყოფნის პერიოდების რაოდენობას, რომელიც შეიძლება გადანაწილდეს ვიზის მოქმედების მთლიან ვადაზე, იხილეთ 4.

ჩანაწერების რაოდენობა შეიძლება იყოს ერთი, ორი ან მეტი. ეს რიცხვი ჩაიწერება დაბეჭდილი ნაწილის მარჯვენა მხარეს, '01', '02' ციფრების გამოყენებით, ან აბრევიატურა 'მრავ.' შეტანით, რაც ნიშნავს, რომ ვიზა ორზე მეტი შესვლის ნებადართვას იძლევა.

იმ შემთხვევაში, როდესაც აეროპორტის ტრანზიტული მრავალჯერადი შესვლის ვიზა გაცემულია წინამდებარე რეგულაციის 26(3)-ე მუხლის შესაბამისად, მისი მოქმედების ვადა გამოითვლება შემდეგნაირად: გამგზავრების პირველი თარიღი, პლუს ექვსი თვე.

ეს ვიზა გაუქმებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ვიზის მფლობელის მიერ ტერიტორიის დატოვების რაოდენობა უტოლდება ტერიტორიაზე ვიზით ნებადართული შესვლის რაოდენობას, თუნდაც ვიზის მფლობელმა არ გამოიყენოს ვიზით განკუთვნილი დღეების რაოდენობა.

4. სათაური 'ვიზიტის ხანგრძლივობა. . . დღეები':

ეს ნაწილი მიუთითებს დღეების რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც ვიზის მფლობელს შეუძლია დარჩეს იმ ტერიტორიაზე, რომლისთვისაც გაცემულია ვიზა. ტერიტორიაზე ყოფნა შეიძლება იყოს უწყვეტი ან, ნებადართული დღეების რაოდენობიდან გამომდინარე, დაიყოს რამდენიმე პერიოდად მე-2 პუნქტში მითითებულ თარიღების ფარგლებში მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტერიტორიაზე შესვლის რაოდენობის გათვალისწინებით.

ნებადართული დღეების რაოდენობა სიტყვებს 'ვიზიტის ხანგრძლივობა' და 'დღეები' შორის არსებულ ცარიელ სივრცეში შეტანილია ორნიშნა ციფრის სახით, რომლიდანაც პირველი არის ნული, თუ დღეების რაოდენობა 10-ზე ნაკლებია.

ამ ნაწილში შეიძლება მიეთითოს მაქსიმუმ 90 დღე.

▼M3

იმ შემთხვევაში, როდესაც ვიზის მოქმედება სცილდება ექვს თვეს, ტერიტორიაზე დარჩენის ხანგრძლივობა არის 90 დღე ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში.

▼B

5. სათაური 'გაცემულია თარიღი':

ამ ნაწილში მიეთითება იმ ადგილის დასახელება, სადაც განთავსებულია ვიზის გამცემი ორგანო. ვიზის გაცემის თარიღი მიეთითება სიტყვის 'თარიღის' შემდეგ.

გაცემის თარიღი იწერება ისევე, როგორც მე-2 პუნქტში მითითებული თარიღი.

6. სათაური 'პასპორტის ნომერი':

ეს ნაწილი მიუთითებს სამგზავრო დოკუმენტის ნომერს, რომელშიც დატანილია ვიზი ბლანკი.

იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელზეც გაიცემა ვიზა ჩაწერილია მეუღლის, მშობლის ან მეურვის პასპორტში, უნდა მიეთითოს ამ უკანასკნელის სამგზავრო დოკუმენტის ნომერი.

იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის სამგზავრო დოკუმენტი არ არის აღიარებული ვიზის გამცემი წევრი სახელმწიფოს მიერ, გამოიყენება ვიზის დასატანად განკუთვნილი ერთიანი ფორმატის ცალკე ფურცელი ვიზის დატანის მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ ვიზის ბლანკი დატანილია ცალკე ფურცელზე, ამ ნაწილში შესატანი ციფრი არის არა პასპორტის ნომერი, არამედ იგივე ტიპოგრაფიული ნომერი, რომელიც აღნიშნულია მოცემულ ფორმაში, და შედგება ექვსი ციფრისაგან.

7. სათაური 'ვიზის ტიპი':

იმისათვის, რომ მაკონტროლებელი ორგანოებისათვის გაამარტივოს საკითხები, მ ნაწილში მითითებულია ვიზის ტიპზე ასოების გამოყენებით A, C და D, შემდეგნაირად:

A: აეროპორტის ტრანზიტული ვიზა (როგორც ეს განსაზღვრულია ამ რეგულაციის მე-2(5) მუხლით.)

C : ვიზა (როგორც ეს განსაზღვრულია ამ რეგულაციის მე-2(2) მუხლით)

D: გრძელვადიანი ვიზა

8. სათაური 'გვარი და სახელი'

ვიზის მფლობელის სამგზავრო დოკუმენტის პირველ სიტყვას 'გვარის' გრაფაში მოსდევს პირველი სიტყვა 'სახელის' გრაფაში ამ თანმიმდევრობით. ვიზის გამცემი ორგანო ამოწმებს, რომ სამგზავრო დოკუმენტში და ვიზაში შეტანილი გვარი და სახელი, რომელიც შეტანილ უნდა იქნას აღნიშნულ ნაწილში და იმ სექციაში, რომელიც ელექტრონულად უნდა დასკანერდეს, ემთხვევა იმ სახელსა და

გვარს, რომელიც სავიზო განაცხადშია მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ გვარის და სახელის სიმბოლოები აღემატება მათთვის განკუთვნილ ადგილს, ჭარბი სიმბოლოები უნდა ჩანაცვლდეს წერტილებით (.).

9. სავალდებულო ინფორმაცია, რომელიც უნდა დაემატოს სექციაში 'კომენტარები'

- სხვა წვერი სახელმწიფოს სახელით გაცემული ვიზის შემთხვევაში მე-8 მუხლის შესაბამისად, უნდა დაემატოს შემდეგი აღნიშვნა: 'R/ [წარმოდგენილი წვერი სახელმწიფოს კოდი]',
- ტრანზიტის განხორციელების მიზნით გაცემული ვიზის შემთხვევაში უნდა დაემატოს აღნიშვნა 'ტრანზიტი'.

წოდესაც სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ რეგულაციის მე-5(1) მუხლში მითითებული ყველა მონაცემი შეტანილია სავიზო საინფორმაციო სისტემაში, უნდა გაკეთდეს შემდეგი აღნიშვნა 'VIS',

როდესაც სავიზო საინფორმაციო სისტემაში შეტანილია მხოლოდ ის მონაცემები, რომელიც მითითებულია სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების მე-5(1) მუხლის, (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში, მაგრამ (გ) პუნქტში მითითებული მონაცემები არ შეგროვდა, რადგან მოცემულ რეგიონში თითო ანაბეჭდების აღება არ არის სავალდებულო, უნდა გაკეთდეს შემდეგი აღნიშვნა: "VIS 0";

(ბ) ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაციის შეტანა სექციაში 'კომენტარები'

ეს სექცია წვერი სახელმწიფოს ენაზე შეიცავს კომენტარებს, რომელიც შეეხება ეროვნულ დებულებებს. თუმცა, ამგვარი კომენტარები არ უნდა წარმოადგენდეს 1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო კომენტარების გამოვრებას;

(გ) ფოტოს განყოფილება

მფლობელის ფერადი სავიზო ფოტოსურათი ინტეგრირებული უნდა იყოს ამ მიზნით განკუთვნილ სივრცეში.

ფოტოს ჩასაკრეფელ ვიზაში ინტეგრირებისას დაცულ უნდა იქნას შემდეგი წესები:

ზომა ნიკაპიდან თხემამდე უნდა იყოს ფოტოს ზედაპირის ვერტიკალური განზომილების 70% - 80%-ს შორის.

რეზოლუციის მინიმალური მოთხოვნებია:

პიქსელი ერთ კვადრატულ დიუმზე (ppi), არაშეკუმშული, სკანირებისათვის
წერტილის ერთ კვადრატულ დიუმზე ფოტოების ფერადი ბეჭდვისათვის.

10.

მანქანურად წაკითხვადი ზონა

ეს სექცია შედგება ორი ხაზის და 36 სიმბოლოსაგან (OCR B-10 cpi).

პირველი ხაზი: 36 სიმბოლო (სავალდებულო)

პოზიციები	სიმბოლოების რაოდენობა	თავსართის შინაარსი	მახასიათებლები
-----------	--------------------------	-----------------------	----------------

1-2	2	დოკუმენტის ტიპი	პირველი მახასიათებელი: V მეორე მახასიათებელი: ვიზის ტიპის გამომხატველი კოდი (A, C და D)
3-5	3	გამცემი სახელმწიფო	ICAO-ს ანბანური კოდი 3- სიმბოლოთი: BEL, CHE, CZE, DNK, D<<, EST, GRC, ESP, FRA, ITA, LVA, LTU, LUX, HUN, MLT, NLD, AUT, POL, PRT, SVN, SVK, FIN, SWE, ISL, NOR
6-36	31	გვარი და სახელი	გვარი სახელისაგან განცალკევებული უნდა იყოს 2 სიმბოლოთი(<<); სახელის შემადგენლობა კი - ერთი სიმბოლოთი(<), სივრცე რომელიც არ უნდა შეივსოს, - ერთი სიმბოლოთი (<)

მეორე ხაზი: 36 სიმბოლო (სავალდებულო)

პოზიციები	სიმბოლოების რაოდენობა	თავსართის შინაარსი	მახასიათებლები
1	9	ვიზის ნომერი	ეს არის ნომერი, რომელიც დაბეჭდილია ჩაკრული ვიზის ზედა მარჯვენა კუთხეში
10	1	კონტროლის სიმბოლო	ეს სიმბოლო შედგენილია ერთული განგარიშებით, ეფუძნება წინა არეს, ICAO-ს მიერ განსაზღვრული ალგორითმის მიხედვით.
11	3	განმცხადებლის ეროვნება	ანბანური კოდირება ICAO- ს 3 სიმბოლოსაგან შემდგარ კოდებზე დაყრდნობით
14	6	დაბადების თარიღი	თანმიმდევრობა შემდეგია YYMMDD, სადაც: YY = წელი year (სავალდებულო) MM = თვე, ან<<

			თუ უცნობია DD = დღე, ან<< თუ უცნობია
20	1	კონტროლის სიმბოლო	ეს სიმბოლო შედგენილია როული გაანგარიშებით, ეფუძნება წინა არეს, ICAO-ს მიერ განსაზღვრული აღგორითმის მიხედვით
21	1	სქესი	F = ქალი M = მამაკაცი < = არ არის განსაზღვრული
22	6	ვადა, როდესაც ვიზა წვეტს მოქმედებას	თანმიმდევრობა შემდეგია YYMMDD, დამატებითი სიმბოლოების გარეშე
28	1	კონტროლის სიმბოლო	ეს სიმბოლო შედგენილია როული გაანგარიშებით, ეფუძნება წინა არეს, ICAO-ს მიერ განსაზღვრული აღგორითმის მიხედვით
29	1	ტერიტორიული მოქმედება	(ა) შეზღუდული ტერიტორიული ვიზისათვის შეაქვთ ასო T (ბ) ერთიანი ვიზისათვის შეაქვთ სიმბოლო <
30	1	შესვლის რაოდენობა	1, 2, ან M
31	2	დარჩენის ხანგრძლივობა	ა) მოკლევადიანი ვიზისათვის: დღეების რაოდენობა

			უნდა მიეთითოს ვიზუალურად წაკითხვად არეში, ბ) ხანგრძლივი ვიზიტი: <<
33	4	მოქმედების ვადის დაწყება	სტრუქტურა შემდეგია MMDD დამატებითი სიმბოლოების გაერეშე

დანართი VIII

ვიზის ბლანკის დატანა

1. ვიზის ბლანკის დატანა ხდება სამგზავრო დოკუმენტის პირველ გვერდზე, სადაც არ არის ინფორმაცია შესვლის შესახებ ან ბეჭდები, გარდა იმ ბეჭდისა, რომელიც დოკუმენტის დასაშვებობაზე მიუთითებს.
2. ვიზის ბლანკი უნდა გაუსწორდეს სამგზავრო დოკუმენტის შესაბამისი გვერდის კუთხეს და დამაგრდეს. ვიზის ბლანკის მანქანურად წაკითხვადი ზონა განთავსებული უნდა იყოს გვერდის კიდეში.
3. გამცემი ორგანოს ბეჭედი უნდა განთავსდეს 'კომენტარების' სექციაში ისე, რომ გასცდეს ვიზის ბლანკს და გადავიდეს სამგზავრო დოკუმენტის გვერდზე.
4. როდესაც საჭიროა, ელექტრონულად დასასკანერებელ სექციაში, რომლის შევსება აღარ არის საჭირო, შეიძლება განთავსდეს ბეჭედი და ამით გახადოს იგი შევსებისათვის გამოუსადეგარი. ბეჭდის ზომა და შინაარსი განისაზღვრება წვერი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.
5. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ვიზისათვის განკუთვნილ ცალკე ფურცელზე ვიზის ბლანკის ხელმოწერა გამოყენება, ვიზის გამცემი ორგანოს ბეჭედი მარჯვნივ უნდა დაესვას ისე, რომ სანახევროდ გადადიოდეს ვიზის ბლანკზე, სანახევროდ კი – ცალკე ფურცელზე ისე, რომ არ ფარავდეს თავსართებს და არ გადადიოდეს მანქანურად წაკითხვად ზონაში.
6. ვიზის ვადის გახანგრძლივება წინამდებარე რეგულაციის 33-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება ვიზის ბლანკის გამოყენებით. გამცემი ორგანოს ბეჭედი დატანილი უნდა იყოს ვიზის ბლანკზე.

დანართი IX

ნაწილი 1

საზღვარზე ვიზის გაცემის წესები ტრანზიტით გამავალი მეზღვაურებისათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება საფიზო პირობები

აღნიშნული წესები შეეხება წვერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ ინფორმაციის გაცვლას ტრანზიტით გამავალი მეზღვაურებისათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება საფიზო პირობები. ვინაიდან გაცვლილი ინფორმაციის საფუძველზე ვიზის გაცემა ხდება საზღვარზე, პასუხისმგებლობა ვიზის გამცემ წვერ სახელმწიფოს ეკისრება.

ამ წესების მიზნებისათვის:

‘წვერი-სახელმწიფოს პორტი’:

ნიშნავს პორტს, რომელიც წარმოადგენს წვერი სახელმწიფოს გარე საზღვარს;

წვერი სახელმწიფოს აეროპორტი: ნიშნავს აეროპორტს, რომელიც წარმოადგენს წვერი სახელმწიფოს გარე საზღვარს.

I. ხომალდზე რეგისტრაცია, რომელმაც ღუზა უნდა ჩაუშვას, ან რომლის შემოსვლაც მოსალოდნელია წვერი სახელმწიფოს პორტში (წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლა)

— გადაზიდვების კომპანია ან მისი აგენტი აცნობებს კომპეტენტურ ორგანოებს წვერი სახელმწიფოში, სადაც გემმა ღუზა უნდა ჩაუშვას, ან მოსალოდნელია, რომ მეზღვაურები, რომელთა მიმართ ვრცელდება სავიზო მოთხოვნები წვერი სახელმწიფოში, საჰაერო, სახმელეთო, ან საზღვაო საზღვრების გადაკვეთით უნდა შევიდნენ. გადაზიდვის კომპანია ან მისი აგენტი ვალდებულია, ხელი მოაწეროს გარანტიას ამ მეზღვაურების მიმართ, რომ მათი ყოფნის ხარჯებს და, საჭიროების შემთხვევაში, მეზღვაურთა უკან დაბრუნების ხარჯებს გადაზიდვების კომპანია გაიღებს.

— ეს კომპეტენტური ორგანოები ამოწმებენ გადაზიდველის ან მისი აგენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს, ასევე ამოწმებენ, დაკმაყოფილდა თუ არა წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის სხვა პირობები. ასევე უნდა დადგინდეს წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაგეგმილი მოგზაურობის მარშრუტი, მაგ. ბილეთები (ავიაკომპანია).

— როდესაც მეზღვაური წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა შევიდეს აეროპორტის გავლით, წვერი სახელმწიფოს პორტში განთავსებულმა კომპეტენტურმა ორგანომ წვერი სახელმწიფოს აეროპორტში განთავსებულ კომპეტენტურ ორგანოს უნდა აცნობოს აღნიშნულის შესახებ ტრანზიტით გასავალი მეზღვაურებისათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება სავიზო მოთხოვნები (როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 ნაწილში) - განკუთვნილი სათანადოდ შევსებული ფორმის მეშვეობით, რომელსაც გააგზავნის ფაქსით, ელექტრონული ფოსტით, ან სხვა საშუალებებით, აცნობებს გადამოწმების შედეგებს და მიუთითებს, პრინციპში შეიძლება თუ არა ვიზის გაცემა საზღვარზე. როდესაც მეზღვაურები წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახმელეთო ან საზღვაო საზღვრის გავლით უნდა შევიდნენ, იმ საზღვარზე განთავსებული კომპეტენტური ორგანო, რომლის გავლითაც მოცემული მეზღვაურები უნდა შევიდნენ წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ინფორმირებული უნდა იყვნენ ამავე წესით.

— როდესაც ხელმისაწვდომი მონაცემების გადამოწმება დადებითია და შედეგი ცალსახად შეესაბამება მეზღვაურის დეკლარაციას ან დოკუმენტებს, წვერი სახელმწიფოს შესვლის ან გასვლის აეროპორტში განთავსებულმა კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება ვიზა საზღვარზევე გასცეს და ნებადართული ყოფნა უნდა შეესაბამებოდეს იმ პერიოდს, რომელიც საჭიროა მეზღვაურებისათვის ტრანზიტის განსახორციელებლად. ამასთან, ასეთ შემთხვევებში მეზღვაურის სამგზავრო დოკუმენტში უნდა დაისვას წვერი სახელმწიფოს შესვლის ან გასვლის ბეჭედი და გადაეცეს მეზღვაურს.

II. სამსახურის დატოვება ხომალდზე, რომელიც წვერი სახელმწიფოს აეროპორტში შევიდა (წვერი სახელმწიფოს ტერიტორიიდან გასვლა)

— გადაზიდვის კომპანია ან მისი აგენტი აცნობებს წვერი სახელმწიფოს პორტში განთავსებულ კომპეტენტურ ორგანოს იმ მეზღვაურების შესვლის შესახებ, რომელთა მიმართაც ვრცელდება სავიზო მოთხოვნები და რომელთაც თავიანთი სამსახური უნდა დატოვონ და გავიდნენ წვერი სახელმწიფოს ტერიტორიიდან წვერი სახელმწიფოს საჰაერო, სახმელეთო, ან სასაზღვრო საზღვრის გავლით. გადაზიდვის კომპანია ან მისი აგენტი ვალდებულია, ხელი მოაწეროს გარანტიას ამ მეზღვაურებისათვის, რომ მათი ყოფნის ხარჯებს და საჭიროების შემთხვევაში მათი უკან დაბრუნების ხარჯებს გაიღებს გადაზიდვების კომპანია.

— კომპეტენტური ორგანოები ამოწმებენ გადაზიდველის, ან მისი აგენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს, ასევე ამოწმებენ დაკმაყოფილდა თუ არა წვერი სახელმწიფოების

ტერიტორიაზე შესვლის სხვა პირობები. ასევე უნდა დადგინდეს წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაგეგმილი მარშუტი, მაგ. ბილეთები (ავიაკომპანია).

— როდესაც ხელმისაწვდომი მონაცემების გადამოწმება დადებითია, კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება გასცეს ვიზა და ნებადართული ყოფნა უნდა შეესაბამებოდეს იმ პერიოდს, რომელიც საჭიროა მეზღვაურებისათვის ტრანზიტის განსახორციელებლად.

III. წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესული ხომალდიდან სხვა ხომალდზე გადაყვანა

— გადაზიდვის კომპანია ან მისი აგენტი წვერი სახელმწიფოს პორტში განთავსებულ კომპეტენტურ ორგანოს აცნობებს იმ მეზღვაურების შესვლის შესახებ, რომელთა მიმართაც ვრცელდება საჰაერო მოთხოვნები და რომელთაც თავიანთი სამსახური უნდა დატოვონ და გავიდნენ წვერი სახელმწიფოს ტერიტორიიდან სხვა წვერი სახელმწიფოს პორტის გავლით. გადაზიდვის კომპანია ან მისი აგენტი ვალდებულია, ხელი მოაწეროს გარანტიას ამ მეზღვაურების მიმართ, რომ მათი ყოფნის ხარჯებს და საჭიროების შემთხვევაში მეზღვაურთა უკან დაბრუნების ხარჯებს გაიღებს გადაზიდვების კომპანია.

— კომპეტენტური ორგანოები ამოწმებენ გადამზიდველის ან მისი აგენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს, ასევე, დაკმაყოფილდა თუ არა წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის სხვა პირობები. წვერი სახელმწიფოს პორტში განთავსებულ კომპეტენტურ ორგანოს, საიდანაც მეზღვაურებმა უნდა დატოვონ წვერი სახელმწიფოების ტერიტორიას გემით, დაუკავშირდებიან შემოწმების მიზნით. შემოწმება უნდა ჩატარდეს იმის დასადგენად, ის ხომალდი, რომელზეც მათ უნდა იმსახურონ, ღუზაზე დგას თუ მოსალოდნელია შემოსვლა. ასევე უნდა დადგინდეს წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე დაგეგმილი მოგზაურობის მარშუტი, მაგ. ბილეთები (ავიაკომპანია).

— როდესაც ხელმისაწვდომი მონაცემების გადამოწმება დადებითია, კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება გასცეს ვიზა და ნებადართული ყოფნა უნდა შეესაბამებოდეს იმ პერიოდს, რომელიც საჭიროა ტრანზიტის განსახორციელებლად.

ნაწილი 2

ფორმა	
მეზღვაურებისათვის, რომელთაც ეხებათ საჰაერო მოთხოვნები	
ოფიციალური სარგებლობისათვის:	
გამცემი:	მიმღები:
(ბეჭედი)	უფლებამოსილი ორგანო:
გვარი/ოფიციალური კოდი:	
მონაცემები მეზღვაურის შესახებ:	

გვარი (ები):	1	სახელი (ები):	1
მოქალაქეობა:	1 C	რანგი/კლასი:	1
დაბადების ადგილი:	2	დაბადების თარიღი:	2
პასპორტის ნომერი:	3	მეზღვაურის წიგნის ნომერი:	4
გაცემის თარიღი:	3	გაცემის თარიღი:	4
მოქმედების ვადა:	3 C	მოქმედების ვადა:	4 C
გემის და გადაზიდვის აგენტის მონაცემები:			
გადაზიდვის აგენტის სახელი:		5	ტელეფონის ნომერი
5		5	
გემის სახელი		6	დროშა:
6		6 C	
I ნომერი		6	
ჩამოსვლის თარიღი:		7	გემის წარმომავლობა:
7		7	
გამგზავრების თარიღი:		8	გემის დანიშნულება:
8		8	
მონაცემები მეზღვაურის გადაადგილების შესახებ:			
მეზღვაურის საბოლოო დანიშნულების ადგილი:			
9			
განაცხადის მიზეზები:			
☐	☐	☐	
რეგისტრაცია	ტრანსფერი	სამსახურის დატოვება	10
სატრანსპორტო საშუალებები მანქანა ☐ მატარებელი ☐ თვითმფრინავი ☐ 11			
თარიღი:	ჩამოსვლა:	ტრანზიტი:	გამგზავრება:
			12
	☐	☐	
	ავტომობილი(*)	მატარებელი (*)	

რეგისტრაციის ნომერი: მოგზაურობის მარშრუტი:			
ინფორმაცია ფრენის შესახებ:	თარიღი:	დრო:	ფრენის ნომერი:
გემის მფლობელის ან გადაზიდვის აგენტის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს მათ პასუხისმგებლობას საჭიროების შემთხვევაში მეზღვაურის დარჩენის ან დაბრუნების ხარჯებთან მიმართებით. ოფიციალური განაცხადი გადაზიდვის აგენტის ან გემთმფლობელის ხელმოწერით, რომელიც ადასტურებს, რომ ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებს მეზღვაურის დარჩენის, და საჭიროების შემთხვევაში, რეპატრაციის ხარჯებს.			

(*) = უნდა შეივსოს, თუ მონაცემები ხელმისაწვდომია.

ფორმის დეტალური აღწერა

პუნქტი 1-4: მეზღვაურის ვინაობა

(1)	A. გვარი(ები)
	B. სახელი (ები)
	C. ეროვნება
	D. რანგი/კლასი
(2)	A. დაბადების ადგილი
	B. დაბადების თარიღი
(3)	A. პასპორტის ნომერი
	B. გაცემის თარიღი
	C. მოქმედების ვადა
(4)	A. მეზღვაურის წიგნაკის ნომერი
	B. გაცემის თარიღი
	C. მოქმედების ვადა

რაც შეეხება მე-3 და მე-4 პუნქტებს: წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემსვლელი მეზღვაურის მოქალაქეობის გათვალისწინებით სამგზავრო დოკუმენტი ან მეზღვაურის წიგნაკი შეიძლება გამოყენებულ იქნას იდენტიფიკაციის მიზნით.

5-8 პუნქტები: დაინტერესებული გადაზიდვის აგენტი და გემი

(5)	გადაზიდვის აგენტის სახელი (ინდივიდუალური ან კორპორაციის, რომელიც ადგილზე წარმოადგენს გემის მფლობელს ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება გემის მფლობელის მოვალეობებს გემის აღჭურვასთან დაკავშირებით) 5A პუნქტის მიხედვით და ტელეფონის ნომერი (და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, როგორიცააა ფაქსის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი) 5 B პუნქტის მიხედვით.
(6)	A. გემის დასახელება
	B. IMO ნომერი (ეს ნომერი შეიცავს 7 რიცხვს და ასევე ცნობილია როგორც 'ლოიდსის ნომერი')
	C. დროშა (რომლის ქვეშაც დაცურავს გემი)

(7)	A. გემის შემოსვლის თარიღი
	B. გემის (პორტი) წარმოშობა
	ასო “A” აღნიშნავს გემის პორტში შემოსვლის თარიღს, სადაც მეზღვაური აწერს ხელს
(8)	A. გემის გამგზავრების თარიღი
	B. გემის დანიშნულების ადგილი (შემდეგი პორტი)

რაც შეეხება 7ა და 8ა პუნქტებს: მიაწოდებთ დროის იმ მონაკვეთს, როდესაც მეზღვაურს შეუძლია იმოგზაუროს გემზე რეგისტრაციამდე.

გასათვალისწინებელია, რომ მარშრუტის განხორციელებისას შესაძლოა გაჩნდეს გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები და გარეშე ფაქტორები, როგორიცაა შტორმები, დაზიანება, და ა.შ.

9-12 პუნქტები: განსაზღვრავს მეზღვაურის მოგზაურობასა და მისი დანიშნულების ადგილს.

(9) ‘დანიშნულების ბოლო პუნქტი’ მეზღვაურის გზის დასასრული. ეს შეიძლება იყოს პორტი, სადაც ის უნდა დარეგისტრირდეს ხელმოწერით, ან ქვეყანა, სადაც ის მიემგზავრება, თუ იგი ტოვებს სამსახურს.

(10) განაცხადის გამოყენების მიზეზები.

(ა) ხელმოწერით დარეგისტრირების შემთხვევაში, საბოლოო პუნქტი არის ის პორტი, სადაც მეზღვაურმა ჩასვლისას უნდა დააფიქსიროს თავისი ხელმოწერა.

(ბ) წვერი სახელმწიფოების ტერიტორიის ფარგლებში ერთი გემიდან მეორე გემზე გადასვლისას, იმავე პორტში უნდა მოხდეს მისი ხელმოწერის დაფიქსირება. სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ მყოფ გემზე გადასვლა განიხილება, როგორც სამსახურის დატოვება.

(გ) სამსახურის დატოვება შეიძლება მოხდეს მრავალი მიზეზით, მაგალითად: კონტრაქტის ამოწურვა, უბედური შემთხვევა სამუშაო ადგილზე, გადაუდებელი ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.

(11) სატრანსპორტო საშუალებები

სავიზო განაცხადში აუცილებელია იმ სატრანსპორტო საშუალებების სიის მითითება, რომლებიც უნდა გამოიყენოს მეზღვაურმა დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ფორმაში გათვალისწინებულია შემდეგი სამი სატრანსპორტო საშუალება:

(ა) მანქანა (ან საქალაქთაშორისო ავტობუსი);

(ბ) მატარებელი;

(გ) თვითმფრინავი.

(12) ჩასვლის თარიღი (წვერის სახელმწიფოების ტერიტორიაზე)

უმთავრესად გამოიყენება მეზღვაურის მიმართ პირველი წვერი სახელმწიფოს აეროპორტში, ან სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (ვინაიდან ის შეიძლება ყოველთვის არ იყოს აეროპორტი) გარე საზღვართან, რომლის გავლითაც მას სურს შევიდეს წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ტრანზიტის თარიღი

ეს არის თარიღი, როდესაც მეზღვაურმა ხელი უნდა მოაწეროს პორტში, რომელიც განთავსებულია წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე და გეზი აიღოს სხვა პორტისაკენ, რომელიც ასევე განთავსებულია წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

გამგზავრების თარიღი

ეს არის თარიღი, როდესაც მეზღვაური წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე პორტში აწერს ხელს სხვა გემზე გადასვლისას იმ პორტში, რომელიც განთავსებულია წვერი სახელმწიფოების ტერიტორიის გარეთ, ან ეს არის თარიღი, როდესაც მეზღვაური თავის ხელმოწერას აფიქსირებს წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებულ პორტში, რათა დაბრუნდეს თავის ქვეყანაში (წვერი სახელმწიფოების ტერიტორიების მიღმა).

გადაადგილების სამი სახის საშუალების განსაზღვრის შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს ამ საშუალებების შესახებ არსებული ინფორმაცია:

(ა) მანქანა, საქალაქთაშორისო ავტობუსი: რეგისტრაციის ნომერი;

(ბ) მატარებელი: სახელწოდება, ნომერი და ა.შ.

(გ) ფრენის მონაცემები: თარიღი, დრო, ნომერი.

(13) ოფიციალური განაცხადი ექსპედიტორის ან გემთმფლობელის ხელმოწერით, რომელიც ადასტურებს, რომ ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებს მეზღვაურის დარჩენის და, საჭიროების შემთხვევაში, უკან დაბრუნების ხარჯებს.

დანართი X

სამართლებრივ დოკუმენტში შესატანი მინიმალური მოთხოვნების ჩამონათვალი მომსახურების გარე მომწოდებლებთან თანამშრომლობის შემთხვევაში

ა. თავისი საქმიანობის განხორციელებისას, პირადი მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, მომსახურების გარე მომწოდებელმა:

(ა) ნებისმიერ დროს უნდა აღკვეთოს მონაცემების ნებისმიერი არასანქცირებული წაკითხვა, ასლის გადაღება, შეცვლა, ან წაშლა, კერძოდ იმ პერიოდში, როდესაც იგი უნდა გადაეცეს დიპლომატიურ მისიას ან წვერი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) საკონსულო დაწესებულების კომპეტენტურ ორგანოებს განაცხადის დასამუშავებლად.

(ბ) წვერი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ინსტრუქციების მიხედვით, მონაცემები უნდა გადასცეს:

— ელექტრონულ, კოდირებულ ფორმაში, ან

— ფიზიკურად, დაცული გზით;

(გ) გადასცეს მონაცემები რაც შეიძლება სწრაფად:

— მონაცემების ფიზიკურად გადაცემის შემთხვევაში, მინიმუმ კვირაში ერთხელ,

— ელექტრონულად ან კოდირებული ფორმით გადაცემის შემთხვევაში, არაუგვიანეს მათი შეგროვების დღის ბოლოს;

(დ) მათი გადაცემის შემდგომ, დაუყოვნებლივ წაშალოს მონაცემები და უზრუნველყოს, რომ მათთან დარჩება მხოლოდ განმცხადებლების სახელი, გვარი და საკონტრაქტო ინფორმაცია გასაუბრებების დანიშნის მიზნით, ასევე პასპორტის ნომერი, სანამ პასპორტი დაუბრუნდება განმცხადებელს, შესაბამის შემთხვევაში;

(ე) უნდა უზრუნველყოს ყველა მოთხოვნილი ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები პერსონალური მონაცემების დაცვისათვის, შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, შემთხვევითი დაკარგვის, შეცვლის, არასანქცირებული გამჟღავნების, ან წვდომისაგან, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამშრომლობა გულისხმობს დოკუმენტებისა და მონაცემების გადაცემას შესაბამის დიპლომატიურ მისიაში ან წვერი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) საკონსულტაციო და დაიცვას მონაცემები ყველა სხვა სახის უკანონო ფორმით დამუშავებისაგან;

(ვ) დაამუშავოს მონაცემები მხოლოდ განმცხადებლების პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნით შესაბამისი წვერი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) სახელით;

(ზ) გამოიყენოს მონაცემთა დაცვის სტანდარტები, რომელიც შეესაბამება, სულ მცირე, 95/46/EC დებულებით განსაზღვრულ სტანდარტებს;

(თ) განმცხადებელს მიაწოდოს ინფორმაცია, სავიზო საინფორმაციო სისტემის შესახებ დებულების 37-ე მუხლის შესაბამისად.

ბ. თავისი საქმიანობის განხორციელებისას, თანამშრომლების ქცევასთან დაკავშირებით, მომსახურების მომწოდებელმა:

(ა) უზრუნველყოს, რომ მისი თანამშრომელი იყოს სათანადოდ მომზადებული;

(ბ) უზრუნველყოს, რომ მისმა პერსონალმა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას:

— თავაზიანად მიიღოს განმცხადებლები,

— პატივი სცეს განმცხადებლის ადამიანურ ღირსებას და პატიოსნებას,

— არ მოახდინოს პირთა დისკრიმინაცია სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომადგენლობის, რელიგიის ან რწმენის, უნარშეზღუდულობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, და

— დაიცვას კონფიდენციალურობის წესები, მათ შორის მაშინაც, როდესაც თანამშრომლები დატოვებენ სამსახურს, ან მათი შრომითი ხელშეკრულების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში;

(გ) ნებისმიერ დროს მოახდინოს მომსახურების გარე მომწოდებლისათვის მომუშავე პერსონალის იდენტიფიცირება;

(დ) დაამტკიცოს, რომ მისი თანამშრომლები არ არიან ნასამართლევი და აქვთ საჭირო გამოცდილება.

გ. მომსახურების გარე მომწოდებლის საქმიანობის შემოწმებისას, მან უნდა:

(ა) უზრუნველყოს წვერი სახელმწიფოების მიერ უფლებამოსილი ორგანოების თანამშრომლების დაშვება მის შენობებში ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, განსაკუთრებით, შემოწმების მიზნებისათვის;

(ბ) უზრუნველყოს გასაუბრებების სისტემაზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობა შემოწმების მიზნით;

(გ) უზრუნველყოს შესაბამისი მონიტორინგის მეთოდების გამოყენება (მაგ. განმცხადებლების ტესტი; ვებკამერა);

(დ) უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის - მათ შორის საანგარიშო ვალდებულებების, გარე აუდიტის და ადგილზე რეგულარული შემოწმების - შესაბამის მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობა;

(ე) დაუყოვნებლად აცნობოს შესაბამის წვერ სახელმწიფოს (სახელმწიფოებს) უსაფრთხოების სისტემის დარღვევის შემთხვევების, განმცხადებლების მიერ მათი მონაცემების არასათანადოდ გამოყენების ან მათზე არასანქცირებული წვდომის გამო პრეტენზიების წამოყენების შესახებ და შესაბამის წვერ სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ითანამშრომლოს, რათა იპოვოს გამოსავალი და პრეტენზიების წარმომდგენ განმცხადებლებს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ახსნა-განმარტებები.

დ. ზოგად მოთხოვნებთან მიმართებით, მომსახურების გარე მომწოდებელმა უნდა:

(ა) იმოქმედოს წვერი სახელმწიფო(ები)ს დავალებით, რომელთაც აქვთ განაცხადის დამუშავების კომპეტენცია;

(ბ) მიიღოს კორუფციასთან ბრძოლის შესაბამისი ზომები (მაგალითად: პერსონალის ანაზღაურების განსაზღვრა; თანამშრომლობა პერსონალის შერჩევისას; ამოცანის შესასრულებლად ორი-ადამიანის წესის დაცვა; როტაციის პრინციპი);

(გ) დაიცვას სამართლებრივი დოკუმენტი სრული მოცულობით, რომელიც უნდა შეიცავდეს დოკუმენტის შეჩერების, ან შეწყვეტის შესახებ მუხლს, სახელდობრ, განსაზღვრული ნორმების გადაცდომის შემთხვევაში, ასევე უნდა ითვალისწიებდეს სამართლებრივი დოკუმენტის გადახედვის შესახებ მუხლს, რათა მასში ასახული იყოს საუკეთესო პრაქტიკა.

დანართი XI

ვიზის გაცემის გამარტივების კონკრეტული პროცედურები და პირობები ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მონაწილეებისა და ოლიმპიური ოჯახის წევრებისათვის

თავი I

მიზანი და განმარტებები

მუხლი 1

მიზანი

შემდეგი კონკრეტული პროცედურები და პირობები ხელს უწყობს ოლიმპიური ოჯახის წევრების მიერ სავიზო განაცხადების წარდგენას და მათზე ვიზების გაცემას წვერი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების პერიოდში.

ამასთან, გამოყენებულ უნდა იქნას ევროკავშირის კანონმდებლობა განაცხადის შეტანისა და ვიზების გაცემის შესახებ.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე რეგულაციის მიზნებისათვის:

1. 'პასუხისმგებელი ორგანიზაციები' აღნიშნავს იმ ზომებს, რომელიც გათვალისწინებულია ოლიმპიური ოჯახის იმ წევრების მიერ განაცხადების შემოტანისა და მათზე ვიზების გაცემის გამარტივებისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ოლიმპიურ/პარაოლიმპიურ თამაშებში და, ოლიმპიური ქარტიის პირობების შესაბამისად, გულისხმობს ოფიციალურ ორგანიზაციებს, რომელთაც ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი წვერი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტისთვის თამაშების სააკრედიტაციო ბარათების გადაცემის მიზნით ოლიმპიური ოჯახის წევრების სიების წარდგენის უფლება აქვთ;

2. 'ოლიმპიური ოჯახის წვერი' ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო ფედერაციის, ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების, ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი კომიტეტებისა და ეროვნული ასოციაციების წვერი, როგორებიცაა სპორტსმენები, მოსამართლეები/მსაჯები, მწვრთნელები, სპორტის სხვა ტექნიკური პერსონალი, გუნდის სამედიცინო პერსონალი ან ინდივიდუალური სპორტსმენი მამაკაცები/ქალები და აკრედიტებული მედია ჟურნალისტები, ზედა რგოლის ხელმძღვანელი პირები, დონორები, სპონსორები ან ოფიციალურად მოწვეული სხვა პირები, რომლებიც თანახმა არიან, იხელმძღვანელონ ოლიმპიური

ქარტიის დებულებით, იმოქმედონ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ, შეტანილი არიან პასუხისმგებელი ორგანიზაციების სიებში და წვერი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ [წელი] ოლიმპიურ ან/და პარაოლიმპიური თამაშებში არიან აკრედიტებული;

3. 'ოლიმპიური სააკრედიტაციო ბარათები', რომელიც გაიცემა ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშების მასპინძელი წვერი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გულისხმობს ოლიმპიური თამაშებისათვის ან პარაოლიმპიური თამაშებისათვის გაცემული ორი უსაფრთხო დოკუმენტიდან ერთ-ერთს. თითოეულ ბარათზე მისი მფლობელის სურათია, რომელიც ოლიმპიური ოჯახის წევრის ვინაობას ადგენს და მის მფლობელს რთავს იმ შენობებში შესვლის ნებას, რომლებშიც ტარდება შეჯიბრები და იმ სხვა ღონისძიებებზე დასწრების ნებას, რომლებიც თამაშების განმავლობაშია დაგეგმილი;

4. 'ოლიმპიური თამაშებისა და პარაოლიმპიური თამაშების ხანგრძლივობა' ნიშნავს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს ოლიმპიური თამაშები და პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს პარაოლიმპიური თამაშები;

5. 'ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მასპინძელი წვერი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტი' ნიშნავს კომიტეტს, რომელიც მასპინძელმა წვერმა სახელმწიფომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების ორგანიზების მიზნით ჩამოაყალიბა და რომელიც თამაშებში მონაწილე ოლიმპიური ოჯახის წევრების აკრედიტაციის შესახებ იღებს გადაწყვეტილებებს.

6. 'ვიზების გაცემაზე პასუხისმგებელი სამსახურები' ნიშნავს ოლიმპიური თამაშებისა და პარაოლიმპიური თამაშების მასპინძელი წვერი სახელმწიფოს მიერ დასახელებული მომსახურების ორგანოს, რომელმაც უნდა შეისწავლოს ოლიმპიური ოჯახის წევრების სავიზო განაცხადები და გასცეს ვიზები.

თავი II

ვიზების გაცემა

მუხლი 3

პირობები

ვიზა შეიძლება გაიცეს წინამდებარე რეგულაციის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი:

(ა) დასახელებულ იქნა ერთ-ერთი პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ და აკრედიტებულია ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მასპინძელი წვერი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, როგორც ოლიმპიური ან/და პარაოლიმპიური თამაშების მონაწილე.

(ბ) ფლობს საზღვრების გადაკვეთის მოქმედ სამგზავრო დოკუმენტს, შენგენის საზღვრების კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად;

(გ) არ არის პირი, რომლის შესახებაც სისტემაში შეტანილია გაფრთხილება მისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უარის თქმის შესახებ ;

(დ) არ მიიჩნევა საფრთხედ რომელიმე წვერი სახელმწიფოს სახელმწიფო პოლიტიკის, ეროვნული უსაფრთხოების, ან საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით;

მუხლი 4

განაცხადის შეტანა

1. იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხისმგებელი ორგანიზაცია ადგენს ოლიმპიურ ან/და პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული პირების სიას, შერჩეული

პირებისათვის ოლიმპიური სააკრედიტაციო ბარათების გაცემაზე განაცხადის გაკეთებისას, მან შესაძლოა ასევე წარადგინოს კოლექტიური განაცხადი ვიზების გაცემაზე შერჩეულ პირთან იმ პირებისათვის, რომელთაც (ჩ) ო 539/2001 რეგულაციის შესაბამისად, ვიზის ქონა მოეთხოვებათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შერჩეული პირები ფლობენ წვერი სახელმწიფოს მიერ გაცემულ ბინადრობის ნებართვას, ან ბინადრობის ნებართვას, რომელიც გაცემულია გაერთიანებული სამეფოს, ან ირლანდიის მიერ 2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2004/38/ ჩ რეგულაციის შესაბამისად, რომლითაც განისაზღვრება ევროკავშირის წვერი სახელმწიფოების მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების თავისუფლად გადაადგილების და ცხოვრების უფლება წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე([29](#)).

2. შესაბამისი პირებისათვის კოლექტიური განაცხადი ვიზების გაცემის შესახებ უნდა გადაიგზავნოს იმავე დროს, როდესაც იგზავნება განაცხადები ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მასპინძელი წვერი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტში ოლიმპიური სააკრედიტაციო ბარათების მისაღებად, კომიტეტის მიერ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

3. ინდივიდუალური სავიზო განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას თითოეული პირისთვის, რომელიც ოლიმპიური ან/და პარაოლიმპიური თამაშებში მონაწილეობს.

4. ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მასპინძელი წვერი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტი ვიზის გაცემაზე პასუხისმგებელ სამსახურებს რამდენადაც შესაძლებელია, სწრაფად, უგზავნის კოლექტიურ განაცხადს ვიზების მისაღებად, შესაბამისი პირებისათვის ოლიმპიური სააკრედიტაციო ბარათების მისაღებად შეესებული განაცხადების ასლებთან ერთად, რომელიც შეიცავს მათ სრულ სახელს და გვარს, ეროვნებას, სქესს, დაბადების თარიღსა და ადგილს, ასევე მათი სამგზავრო დოკუმენტების მოქმედების ვადას.

მუხლი 5

ვიზაზე კოლექტიური განაცხადისა და გაცემული ვიზის ტიპის განხილვა

1. ვიზა გაიცემა ვიზის გაცემაზე პასუხისმგებელი სამსახურების განაცხადის განხილვის და შესწავლის შემდგომ, რათა ვიზის გაცემა მოხდეს მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

▼M3

2. გაცემული ვიზა უნდა იყოს ერთიანი ფორმის, მრავალჯერადი ვიზა გაიცემა არა უმეტეს 90 დღიანი დარჩენის უფლებით ოლიმპიური ან/და პარაოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად განკუთვნილი მთელი დროით.

▼B

3. იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიური ოჯახის შესაბამისი წვერი ვერ აკმაყოფილებს მე-3 მუხლის გ) და დ) პუნქტების მოთხოვნებს, ვიზების გაცემაზე პასუხისმგებელმა სამსახურმა, შესაძლოა, გასცეს შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზა, წინამდებარე რეგულაციის 25-ე მუხლის თანახმად.

მუხლი 6

ვიზის ფორმა

1. ოლიმპიური სააკრედიტაციო ბარათზე ვიზა იღებს ორნომრიან ფორმას. პირველი ნომერი უნდა იყოს ვიზის ნომერი. ერთიანი ვიზის შემთხვევაში, ნომერი უნდა შედგებოდეს შვიდი (7) სიმბოლოსაგან, რომელთაგან ექვსი ციფრია (6) წინ უძღვის ასო “C”. იმ შემთხვევაში თუ ვიზა არის შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების, იგი უნდა შეიცავდეს რვა (8) სიმბოლოს, აქედან ექვსი (6)

ციფრია და წინ უძღვის შემდეგი სიმბოლოები “XX”⁽³⁰⁾). მეორე ნომერი არის დაინტერესებული პირის სამგზავრო დოკუმენტის ნომერი.

2. ოლიმპიური სააკრედიტაციო ბარათების გაცემის მიზნით, ვიზების გაცემის მომსახურებაზე პასუხისმგებელი სამსახურები გაცემული ვიზების სავიზო ნომრებს ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მასპინძელი წევრი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტს უგზავნიან.

მუხლი 7

მოსაკრებლის გადახდისგან განთავსიფლება

სავიზო განაცხადის განხილვა და ვიზის გაცემა არ საჭიროებს მოსაკრებლის გადახდას ვიზის გაცემაზე პასუხისმგებელი სამსახურებისათვის.

თავი III

ზოგადი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 8

ვიზის გაუქმება

როდესაც ოლიმპიური და/ან პარაოლიმპიური თამაშების მონაწილე პირების სია, რომელიც წარდგენილი იყო განსახილველად, იცვლება თამაშების დაწყებამდე, პასუხისმგებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ აცნობონ ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების წევრი სახელმწიფოს საორგანიზაციო კომიტეტს სიიდან ამოღებული პირების შესახებ, რათა გაუქმებულ იქნას ამ პირების სააკრედიტაციო ბარათები. საორგანიზაციო კომიტეტმა ვიზების გაცემაზე პასუხისმგებელ სამსახურებს აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინოს და მოთხოვნილი ვიზების რაოდენობის შესახებ აცნობოს.

შესაბამისი პირების ვიზებს აუქმებენ ვიზის გაცემაზე პასუხისმგებელი სამსახურები. ისინი ვალდებული არიან, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ საზღვარის შემოწმებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს ინფორმაცია სხვა წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს დაყოვნების გარეშე უნდა გადაუგზავნოს.

მუხლი 9

გარე სასაზღვრო შემოწმება

1. ოლიმპიური ოჯახის წევრების, რომლებისათვისაც გაიცა ვიზები წინამდებარე რეგულაციის მიხედვით, მათი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისას შემოწმების პროცედურა უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მე-3 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად:

2. ოლიმპიური ან/და პარაოლიმპიური თამაშების ჩატარების ხანგრძლივობისათვის:

(ა) შესვლისა და გამგზავრების ბეჭდები უნდა დაისვას ოლიმპიური ოჯახის იმ წევრების სამგზავრო დოკუმენტის პირველ ცარიელ გვერდზე, რომელთათვისაც ამგვარი ბეჭდების დასმა შენგენის საზღვრების კოდექსის მე-10 (1) მუხლის შესაბამისად არის აუცილებელი. პირველი შესვლისას, ვიზის ნომერი ამავე გვერდზე უნდა მიეთითოს;

(ბ) შენგენის საზღვრების კოდექსის მე-5 (1) (გ) მუხლით განსაზღვრული პირობები მიჩნეული უნდა იქნას შესრულებულად მაშინ, როდესაც ოლიმპიური ოჯახის წევრი სათანადოდ იქნება აკრედიტირებული.

3. მე-2 პუნქტი ვრცელდება ოლიმპიური ოჯახის იმ წევრების მიმართ, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან მიუხედავად იმისა, მათზე ვრცელდება თუ არა ვიზა (EC) No 539/2001 რეგულაციის შესაბამისად.

დანართი XII

ერთიანი ფორმის ვიზების, შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზებისა და აეროპორტის ტრანზიტული ვიზების წლიური სტატისტიკა

მონაცემები, რომელიც კომისიას 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში უნდა წარედგინოს თითოეული ადგილმდებარეობის მიხედვით, სადაც ინდივიდუალური წევრი სახელმწიფოები გასცემენ ვიზებს:

- A ტიპის სავიზო განაცხადების (მათ შორის, მრავალჯერადი A ტიპის ვიზების) სრული რაოდენობა,
- გაცემული A ტიპის ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი A ტიპის ვიზების) სრული რაოდენობა,
- გაცემული A ტიპის მრავალჯერადი ვიზების სრული რაოდენობა,
- გაუცემელი A ტიპის ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი A ტიპის ვიზების) სრული რაოდენობა,
- C ტიპის სავიზო განაცხადების (მათ შორის, მრავალჯერადი შესვლის C ტიპის ვიზების) სრული რაოდენობა,
- გაცემული C ტიპის ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი შესვლის C ტიპის ვიზების) სრული რაოდენობა,
- გაცემული მრავალჯერადი შესვლის C ტიპის ვიზების სრული რაოდენობა,
- გაუცემელი მრავალჯერადი შესვლის C ტიპის ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი შესვლის C ტიპის ვიზების) სრული რაოდენობა,
- გაცემული LTV ვიზების სრული რაოდენობა.

მონაცემთა წარდგენის ზოგადი წესები:

- წინა წლის სრული მონაცემები ერთ დოკუმენტში უნდა იქნეს თავმოყრილი,
- მონაცემები წარდგენილი უნდა იყოს კომისიის მიერ დადგენილი შაბლონის გამოყენებით,
- მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცალკეული ადგილებისათვის, სადაც შესაბამისი წევრი სახელმწიფო გასცემს ვიზებს და დაჯგუფებულია მესამე ქვეყნების მიხედვით,
- ‘არ გაიცემა’ შეიცავს მონაცემებს ვიზის განხილვის შეწყვეტის და ვიზის გაცემაზე უარის გადაწყვეტილების მიღების შესახებ მე-8(2) მუხლის შესაბამისად.

როდესაც მონაცემები არ არის არც ხელმისაწვდომი და არ შეესაბამება რომელიმე ერთ კონკრეტულ კატეგორიას და მესამე ქვეყანას, სახელმწიფოებმა ეს სექცია უნდა დატოვონ ცარიელი (არ შეიტანონ “0” (ნული), “ N.A.”(არ გამოიყენება) ან შეიტანონ ნებისმიერი სხვა მნიშვნელობა).

დანართი XIII

კორელაციის ცხრილი

რეგულაციის დებულებები	შენგენის კონვენციის დებულებები(CSA), საერთო საკონსულო ინსტრუქციები (CCI), ან შენგენის
-----------------------	---

	აღმასრულებელი კომიტეტის (SCH/Com-ex) დებულებების ჩანაცვლება
ასახელება	
ზოგადი დებულებები	
მუხლი 1 ამოცანა და მოქმედების სფერო	CCI, ნაწილი I.1. მოქმედების სფერო (CSA –ის მე-9 და მე- 10 მუხლები)
მუხლი 2 განსაზღვრებები (1)-(4)	CCI: ნაწილი I. 2. ვიზის ტიპები და განმარტებები CCI: ნაწილი IV ‘სამართლებრივი საფუძველი’ CSA: მუხლები 11(2), 14(1), 15, 16
კარი II	
აეროპორტის ტრანზიტული ვიზა	
მუხლი 3 მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც აეროპორტის ტრანზიტული ვიზის ქონა მოეთხოვებათ	ერთობლივი ქმედების გეგმა 96/197/JHA, CCI, ნაწილი I. 2.1.1
კარი III	
ვიზის გაცემის პირობები და პროცედურები	
თავი I ორგანოები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ განაცხადებთან დაკავშირებულ პროცედურებში	
მუხლი 4 უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც კომპეტენტური არიან მონაწილეობა მიიღონ განაცხადებთან დაკავშირებულ პროცედურებში	CCI ნაწილი II. 4., CSA, Art. მუხლი 12(1), რეგულაცია (EC) No 415/2003
მუხლი 5 განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე წევრი სახელმწიფო	CCI, ნაწილი II 1.1 (ა) (ბ), CSA მუხლი 12(2)

მუხლი 6 საკონსულოს ტერიტორიული კომპეტენცია	CCI, ნაწილი II, 1.1 და 3
მუხლი 7 წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ღებავლურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის ვიზების გაცემის კომპეტენცია	—
მუხლი 8 წარმომადგენლობითი მექანიზმები	CCI, ნაწილი II, 1.2
თავი II	
ანაცხადი	
მუხლი 9 განაცხადის წარდგენის პრაქტიკული პირობები	CCI, დანართი 13, აღნიშვნა (მუხლი 10(1))
მუხლი 10 განაცხადის შეტანის ზოგადი წესები	—
მუხლი 11 განაცხადის ფორმა	CCI, ნაწილი III. 1.1.
მუხლი 12 სამგზავრო დოკუმენტი	CCI, ნაწილი III. 2. (ა), CSA, მუხლი 13(1) (2)
მუხლი 13 ბიომეტრიული იდენტიფიკატორები	CCI, ნაწილი III. 1.2 (ა) და (ბ)
მუხლი 14	CCI, ნაწილი III.2(ბ) და

დამადასტურებელი დოკუმენტაცია	ნაწილი V.1.4, Com-ex (98) 57
მუხლი 15 სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა	CCI, ნაწილი V, 1.4
მუხლი 16 სავიზო მოსაკრებელი	CCI, ნაწილი VII. 4. და დანართი 12
მუხლი 17 მომსახურების მოსაკრებელი	CCI, ნაწილი VII, 1.7
თავი III	
განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება	
მუხლი 18 საკონსულოს კომპეტენციის გადამოწმება	—
მუხლი 19 დასაშვებობა	—
მუხლი 20 განაცხადის დასაშვებობის დამადასტურებელი ბეჭედი	CCI, ნაწილი VIII, 2
მუხლი 21 შესვლის პირობების შემოწმება და რისკების შეფასება	CCI, ნაწილი III.4 და ნაწილი V.1.
მუხლი 22	CCI, ნაწილი II, 2.3 და ნაწილი V, 2.3(ა)-(დ)

სხვა წვერი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების წინასწარი კონსულტაცია	
მუხლი 23 განაცხადთან დაკავშირებული გადაწყვეტილება	CCI, ნაწილი V. 2.1 (მეორე აბზაცი) 2.2, CCI
თავი IV	
<i>ვიზის გაცემა</i>	
მუხლი 24 ერთიანი ვიზის გაცემა	CCI, ნაწილი V, 2.1
მუხლი 25 შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზის გაცემა	CCI, ნაწილი V, 3, დანართი 14, CSA 11(2), 14(1) და 16
მუხლი 26 აეროპორტის ტრანზიტული ვიზის გაცემა	CCI, ნაწილი I 2.1.1 - ერთობლივი ქმედება 96/197/JHA
მუხლი 27 ჩაკრული ვიზის შევსება	CCI, ნაწილი VI.1-2-3-4
მუხლი 28 შევსებული სავიზო ბლანკის გაუქმება	CCI, ნაწილი VI, 5.2
მუხლი 29 სავიზო ბლანკის დატანა	CCI, ნაწილი VI, 5.3
მუხლი 30 ვიზის მიღების შედეგად	CCI, ნაწილი I, 2.1, ბოლო წინადადება

წარმოშობილი უფლებები	
მუხლი 31 სხვა წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების ინფორმირება	—
მუხლი 32 ვიზის გაცემაზე უარი	—
თავი V	
გაცემული ვიზის შესწორება	
მუხლი 33 მოქმედების ვადის გაგრძელება	Com-ex (93) 21
მუხლი 34 გაბათილება და გაუქმება	Com-ex (93) 24 და CCI-ის დანართი 14
თავი VI	
ტრანზიტით გავლისას მეზღვაურებზე გაცემული ვიზები გარე საზღვართან	
მუხლი 35 გარე საზღვართან ვიზის მიღებაზე განაცხადის გაკეთება	რეგულაცია (EC) No 415/2003
მუხლი 36 ტრანზიტით გავლისას მეზღვაურებზე გაცემული ვიზები გარე საზღვართან	
პარი IV	
ადმინისტრაციული მართვა და ორგანიზება	

მუხლი 37 სავიზო განყოფილებების ორგანიზება	CCI, VII, 1-2-3
მუხლი 38 განაცხადების განხილვისა და საკონსულოების მონიტორინგის რესურსები	—
	CCI, ნაწილი VII, 1A
მუხლი 39 პერსონალის ქცევის წესი	CCI, ნაწილი III.5
მუხლი 40 თანამშრომლობის ფორმები	CCI, ნაწილი VII, 1AA
მუხლი 41 წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა	
მუხლი 42 საპატიო კონსულისადმი მიმართვა	CCI, ნაწილი VII, AB
მუხლი 43 თანამშრომლობა მომსახურების გარე მომწოდებლებთან	CCI, ნაწილი VII, 1B
მუხლი 44 მონაცემთა გადაცემის უსაფრთხოება და დაშიფრვა	CCI, ნაწილი II, 1.2, ნაწილი VII, 1.6, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ქვეპუნქტები

მუხლი 45 წვერი სახელმწიფოების თანამშრომლობა კომერციულ შუამავლებთან	CCI, VIII, 5.2
მუხლი 46 სტატისტიკის შედგენა	SCH Com-ex (94) 25 და (98) 12
მუხლი 47 ინფორმაცია ფართო საზოგადოებისათვის	—
კარი V	
შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობა	
მუხლი 48 შენგენის ადგილობრივი თანამშრომლობა წვერი სახელმწიფოების საკონსულოებს შორის	CCI, VIII, 1-3-4
კარი VI	
დასკენითი დებულებანი	
მუხლი 49 შეთანხმებები ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით	—
მუხლი 50 დანართის შესწორებები	—
მუხლი 51 სავიზო კოდექსის პრაქტიკული გამოყენების ინსტრუქცია	—
მუხლი 52 კომიტეტის პროცედურები	—

მუხლი 53 შეტყობინება	—
მუხლი 54 რეგულაციის, (EC) No 767/2008, შესწორებები	—
მუხლი 55 რეგულაციის, (EC) No 562/2006, შესწორებები	—
მუხლი 56 გაუქმება	—
მუხლი 57 მონიტორინგი და შეფასება	—
მუხლი 58 ძალაში შესვლა	—

დანართები

დანართი I განაცხადის ჰარმონიზებული ფორმა	CCI, დანართი 16
დანართი II დამადასტურებელი დოკუმენტების არასრული ჩამონათვალი	ნაწილობრივ CCI, V, 1.4.
დანართი III ერთიანი ფორმატი და ბეჭდის გამოყენება, რომელიც ასახავს, რომ სავიზო განაცხადი მისაღებია	CCI, VIII, 2
დანართი IV	CCI,

(EC) No 539/2001 რეგულაციის I დანართში მიითითებული მესამე ქვეყნების საერთო ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეები ვალდებული არიან, წვერი სახელმწიფოს აეროპორტის ტერიტორიაზე საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიის გავლისას, აეროპორტის ტრანზიტული ვიზა იქონიონ	დანართი 3, ნაწილი I
დანართი V ბინადრობის ნებართვების სია, რომლითაც მათ მფლობელებს წვერი- სახელმწიფოს აეროპორტის გავლა შეუძლიათ აეროპორტის ტრანზიტული ვიზის გარეშე	CCI, დანართი 3, ნაწილი III
დანართი VI ვიზის გაცემაზე მოტივირებული უარის, ვიზის გაბათილების, ან გაუქმების შესახებ შეტყობინების სტანდარტული ფორმა	—
დანართი VII საეიზო ბლანკის შევსება	CCI, ნაწილი VI, 1- 4, დანართი 10
დანართი VIII საეიზო ბლანკის დატანა	CCI, ნაწილი VI, 5.3
დანართი IX საზღვარზე ვიზის გაცემის წესები ტრანზიტით გამავალი მეზღვაურებისათვის, რომელთა მიმართ	რეგულაცია (EC) No 415/2003, დანართი I და II

ვრცელდება პირობები	სავიზო	
დანართი X სამართლებრივ დოკუმენტში შესატანი მინიმალური მოთხოვნების ჩამონათვალი მომსახურების გარე მომწოდებლებთან თანამშრომლობის შემთხვევაში.	CCI, დანართი19	
დანართი XI ვიზის გაცემის გამარტივების კონკრეტული პროცედურები და პირობები, ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მონაწილეებისა და ოლიმპიური ოჯახის წევრებისათვის	—	
დანართი XII ერთიანი ფორმის ვიზების, შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზების და აეროპორტის ტრანზიტული ვიზების წლიური სტატისტიკა	—	

(¹) 2009 წლის 2 აპრილის ევროპარლამენტის მოსაზრება (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და ევროპის საბჭოს 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.

(²) OJ L 239, 22.9.2000, გვ 19.

(³) OJ C 326, 22.12.2005, გვ 1.

(⁴) OJ C 53, 3.3.2005, გვ 1.

(⁵) OJ L 218, 13.8.2008, გვ 60.

(⁶) OJ L 281, 23.11.1995, გვ 31.

([7](#)) OJ L 184, 17.7.1999, გვ 23.

([8](#)) OJ L 105, 13.4.2006, გვ 1.

([9](#)) OJ L 176, 10.7.1999, გვ 36.

([10](#)) OJ L 176, 10.7.1999. გვ 31.

([11](#)) OJ L 176, 10.7.1999. გვ 53.

([12](#)) OJ L 53, 27.2.2008, გვ 52.

([13](#)) OJ L 53, 27.2.2008, გვ 1.

([14](#)) OJ L 83, 26.3.2008, გვ 3.

([15](#)) OJ L 131, 1.6.2000, გვ 43.

([16](#)) OJ L 64, 7.3.2002, გვ 20.

([17](#)) OJ L 81, 21.3.2001. გვ 1.

([18](#)) OJ L 164, 14.7.1995, გვ 1.

([19](#)) OJ L 53, 23.2.2002, გვ 4.

([20](#)) OJ L 267, 27.9.2006, გვ 41.

([21](#)) OJ L 289, 3.11.2005, გვ 23.

([22](#)) OJ L 243, 15.9.2009, გვ 1.';

([23](#)) OJ L 243, 15.9.2009, გვ 1.';

([24](#)) OJ L 63, 13.3.1996, გვ. 8.

([25](#)) OJ L 116, 26.4.2001, გვ 2.

([26](#)) OJ L 150, 6.6.2001, გვ 4.

([27](#)) OJ L 64, 7.3.2003, გვ 1.

([28](#)) OJ L 131, 28.5.2009, გვ 1.

([29](#)) OJ L 158, 30.4.2004, გვ 77.

([30](#)) მინიშნება ორგანიზატორი წევრი სახელმწიფოს ISO-ს კოდეზი.